

გარიგებანი, სანდაზმულობის ვადები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2025, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2025, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2025, №9

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2025, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

საქიუბელი

1. გარიგებანი

იძულებით დადებული გარიგება	4
მოჩვენებითი გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლები	29
თვალთმაქცური გარიგება	45
მოტყუებით დადებული გარიგება	68

2. ხანდაზმულობა

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა	108; 119
ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა	133; 142
სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებულ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა	171

1. გარიგებანი

იძულებით დადებული გარიგება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1257-2019

12 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ზიანის
ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა (შემდგომში – „პირ-
ველი მოპასუხე“ ან „პირველი კასატორი“) და ც. გ-ს (შემდგომში – „პირ-
ველი მოსარჩელე“) შორის 2011 წლის 16 თებერვალს გაფორმდა ჩუქე-
ბის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მჩუქებელმა – პირველ-
მა მოსარჩელემ, დასაჩუქრებულს – პირველ მოპასუხეს საკუთრებაში
გადასცა 83 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა (შენიშვნა: დასაჩუქ-
რებულის რეკვიზიტის ქვეშ პირველი მოპასუხე მოხსენიებულია, რო-
გორც სახელმწიფო).

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინის-
ტროსა (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“ ან „მეორე კასატორი“) და ნ. გ-
ს (შემდგომში – „მეორე მოსარჩელე“) შორის 2011 წლის 16 თებერვალს
გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მეორე
მოსარჩელემ მეორე მოპასუხეს უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით სა-
კუთრებაში გადასცა 89 352 ლარის ღირებულების მოძრავი ქონება, კერ-
ძოდ, კომპიუტერული ტექნიკა (შენიშვნა: დასაჩუქრებულის რეკვიზი-
ტის ქვეშ მეორე მოპასუხე მოხსენიებულია, როგორც სახელმწიფო).

**3. ზემოთ მითითებული ჩუქების ხელშეკრულებების გაფორმე-
ბას წინ უძღოდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

3.1. 2010 წლის 02 ნოემბერს დააკავეს დ. გ-ი (შემდგომში – „მესამე
მოსარჩელე“), რომელსაც წარედგინა ბრალი სისხლის სამართლის კო-
დექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებუ-
ლი დანაშაულის ჩადენისათვის და თბილისის საქალაქო სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 04 ნოემბრის გან-
ჩინებით აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

3.2. პირველი მოსარჩელე არის მესამე მოსარჩელის დედა, ხოლო მე-
ორე მოსარჩელე – და.

3.3. პირველ მოსარჩელესა და შპს „X კ-ს“ შორის 2010 წლის 31 დე-
კემბერს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით პირ-
ველმა მოსარჩელემ სესხის სახით მიიღო 40 000 აშშ დოლარი (დაახლო-
ებით 70 880 ლარი. იმ პერიოდის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 აშშ
დოლარი – 1,772 ლარი), წლიური 48%, ვადა 03 თვე. აღნიშნული ვალდე-
ბულების უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა პირველი
მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. თბი-
ლისი, ... ქ. №22.

3.4. პირველ მოსარჩელესა და შპს „ა-ას“ შორის 2011 წლის 21 იან-
ვარს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც,
პირველმა მოსარჩელემ შეიძინა 89 972 ლარის ღირებულების კომპიუ-
ტერული ტექნიკა. ნასყიდობის ღირებულება მოსარჩელემ 2011 წლის
22 იანვარს გადარიცხა შპს „ა-ას“ ანგარიშზე.

3.5. მეორე მოსარჩელემ 2010 წლის 30 დეკემბერს სს „ლ. ბ-ის“ მეშ-
ვეობით თბილისის სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე გადარიცხა 2 000
ლარი. გადარიცხვის დანიშნულებაში მითითებულია: „საპროცესო (ჯა-
რიმა)“.

3.6. მეორე მოსარჩელესა და შპს „ი-ის“ შორის 2011 წლის 20 იანვარს
გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მეო-
რე მოსარჩელემ შეიძინა 89 352 ლარის ღირებულების კომპიუტერული
ტექნიკა.

3.7. 2011 წლის 17 თებერვალს დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება
სახელმწიფოსა და მესამე მოსარჩელეს შორის და ბრალდებული სასა-
მართლო დარბაზიდან განთავისუფლდა.

4. მესამე მოსარჩელემ 2012 წლის 29 ნოემბერს მიმართა საქართვე-
ლოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს მისი და
მისი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებე-
ბის შესწავლის მიზნით. აღნიშნულ განცხადებაში მოსარჩელე დეტა-
ლურად აღწერდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მის მიმართ
მიმდინარე ზეწოლას, ასევე, უთითებდა პროცესის მწარმოებელი ცალ-
კეული პირების მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს.

5. განცხადებაში მითითებულია შემდეგი: „... ჩემი დაკავებიდან ქ. თბი-
ლისის პროკურატურამ ზეწოლა დაიწყო ოჯახზე. ეს პიროვნება იყო პრო-
კურორის მოადგილე ვინმე კ-ა. მან არ გაიკარა ადვოკატი, პირადად ჩემს
დას ეკონტაქტებოდა, მასზე ახდენდა ზეწოლას და მოითხოვდა 100 კომ-
პიუტერის შეძენას ჩემი განთავისუფლების სანაცვლოდ ...“.

6. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2013 წლის 07 მარტს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ცალკეული საჯარო მოხელეების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.

7. მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხეების მიმართ და მოითხოვეს:

- ბათილად იქნეს ცნობილი 2011 წლის 16 თებერვალს პირველ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება და პირველ მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს 89 972 ლარის გადახდა;

- ბათილად იქნეს ცნობილი 2011 წლის 16 თებერვალს მეორე მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება და მეორე მოპასუხეს მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს 89 352 ლარის გადახდა;

- პირველ მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით, დაეკისროს 5 598,56 ლარის გადახდა;

- მეორე მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით, დაეკისროს 5 598,56 ლარის გადახდა;

- პირველ მოპასუხეს მესამე მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით, დაეკისროს 10 533,5 აშშ დოლარის გადახდა;

- მეორე მოპასუხეს მესამე მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით, დაეკისროს 10 533,5 აშშ დოლარის გადახდა;

- პირველ მოპასუხეს პირველი და მეორე მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისროთ მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, 45 819,5 ლარის გადახდა;

- მეორე მოპასუხეს პირველი და მეორე მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისროთ მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, 45 819,5 ლარის გადახდა;

- პირველ მოპასუხეს მესამე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, 3 390,5 აშშ დოლარის გადახდა;

- მეორე მოპასუხეს მესამე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, 3 390,5 აშშ დოლარის გადახდა.

8. სარჩელის თანახმად:

8.1. მოსარჩელები ერთი ოჯახის წევრები არიან. პირველი მოსარჩელე არის მეორე და მესამე მოსარჩელების დედა;

8.2. 2010 წლის 02 ნოემბერს დააკავეს მესამე მოსარჩელე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით (ნარკოტიკული საშუალების შე-

ძენა-შენახვა დიდი ოდენობით). 04 ნოემბერს მას აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა;

8.3. მესამე მოსარჩელე მოთავსებულ იქნა თბილისის მე-8 საპყრობილეში, სადაც პატიმრები იმყოფებოდნენ წამების, არაადამიანური მოპყრობისა და განსაკუთრებული სისასტიკის პირობებში. მსგავს ფაქტებს ჰქონდა სისტემური ხასიათი. აღნიშნული დაფიქსირებულია ამინისტიის შესახებ 2012 წლის კანონის, საქართველოს სახალხო დამცველის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, გაეროს, ევროსაბჭოსა და ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების დასკვნებში;

8.4. მოსარჩელებზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა ზეწოლას და იძულებას, რის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ აეღოთ ვალი და ქონება სახელმწიფო ორგანოებისათვის ეჩუქებინათ, ხოლო სანაცვლოდ მესამე მოსარჩელე პატიმრობიდან გაეთავისუფლებინათ;

8.5. მესამე მოსარჩელის პატიმრობის პერიოდში, 2010 წლის 31 დეკემბერს პირველმა მოსარჩელემ შპს „... კ-თან“ გააფორმა სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მან სესხად აიღო 40 000 აშშ დოლარი წლიური 48%-ის გადახდის პირობით. ანუ, თვეში მას მხოლოდ პროცენტის სახით უნდა გადაეხადა მთლიანი სესხის 4% – 1 600 აშშ დოლარი. ჯამში პირველ მოსარჩელეს პროცენტის სახით გადახდილი აქვს 11 197,12 ლარი, რაც პროპორციულად უნდა დაეკისროთ მოპასუხეებს (5 598,56 – 5 598,56 ლარი);

8.6. პირველ მოსარჩელესა და შპს „... კ-ს“ შორის 2010 წლის 31 დეკემბერს დადებული იპოთეკის ხელშეკრულებით ზემოაღნიშნული სესხის უზრუნველყოფა მოხდა პირველი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, მდებარე: ქ. თბილისი, ... ქუჩა №22, ფართი 87,91 კვ.მ, მანსარდა 50,85 კვ.მ, ს.კ. №...;

8.7. პატიმრობაში მყოფმა მესამე მოსარჩელემ 2011 წლის 13 იანვარს მეორე მოსარჩელეზე გასცა მინდობილობა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვა-განკარგვის მიზნით. მინდობილობაში კონკრეტულად არის მითითებული მესამე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ბინა, მდებარე: თბილისი, ... ქუჩა №22, ს.კ. №... აღნიშნული მინდობილობის გაფორმების საჭიროება განპირობებული იყო იმით, რომ 2010 წლის 31 დეკემბერს პირველი მოსარჩელის მიერ სესხად აღებული 40 000 აშშ დოლარი არ იყო საკმარისი პროკურატურის მიერ მოთხოვნილი კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვისათვის;

8.8. მესამე მოსარჩელის პატიმრობის პერიოდში, 2011 წლის 21 იანვარს პირველ მოსარჩელესა და შპს „ა-ას“ შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, პირველმა მოსარჩელემ შეიძინა 89 972 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა. აღნიშნუ-

ლი ტექნიკა მიტანილ იქნა პროკურატურის ოფიციალურ მისამართზე: თბილისი, ...;

8.9. მესამე მოსარჩელის პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, 2011 წლის 20 იანვარს შპს „ი-ისა“ და მეორე მოსარჩელეს შორის დაიდო კომპიუტერული ტექნიკის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მეორე მოსარჩელემ შეიძინა 89 352 ლარის კომპიუტერული ტექნიკა;

8.10. კომპიუტერული ტექნიკის გადაცემის შემდგომ, 2011 წლის 17 თებერვალს შედგა ოქმი საპროცესო შეთანხმების შესახებ და იმავე დღეს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა განაჩენი, რომლითაც დამტკიცდა მესამე მოსარჩელესა და პროკურატურას შორის დადებული საპროცესო შეთანხმება და ეს უკანასკნელი სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა;

8.11. მესამე მოპასუხეს საპროცესო შეთანხმების შედეგად სასჯელის სახედ შეეფარდა პირობითი პატიმრობა 6 წლის ვადით და 2 000 ლარი ჯარიმა, ანუ გაცილებით მსუბუქი სასჯელი, ვიდრე ამას მის მიმართ წაყენებული მუხლი (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) ითვალისწინებდა. ამასთან, საპროცესო შეთანხმებაში საერთოდ არ არის მითითებული თუ რა იყო პროკურატურის მხრიდან ასეთი ლიბერალური მიდგომის მიზეზი, ვინაიდან პროკურატურა ოფიციალურად ვერ მიუთითებდა ამ „ჰუმანურობის“ რეალურ მიზეზს – იძულების შედეგად პატიმრის ოჯახის წევრების მხრიდან სახელმწიფოს ჩუქებით გადაეცა 179 324 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა;

8.12. ზემოაღნიშნული საკრედიტო ვალდებულებები მძიმე ტვირთად დააწვათ მოსარჩელებს და ვინაიდან სესხის გადახდას ვეღარ ახერხებდნენ, იძულებულები გახდნენ, ბანკიდან აეღოთ შედარებით დაბალპროცენტიანი ვალი, რომლითაც კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად აღებულ ვალებს გადაფარავდნენ. ამ მიზნით, 2011 წლის 29 აპრილს მესამე მოსარჩელესა და სს „თ. ბ-ს“ შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, ბანკისგან ისესხეს 70 000 აშშ დოლარი. აღნიშნული სესხის ხელშეკრულების 2.16 პუნქტში პირდაპირ მიეთითა, რომ სესხის მიზანს შპს „... კ-ის“ სესხის გადახდა წარმოადგენდა. მესამე მოსარჩელემ ჯამში აღნიშნულ სესხზე 91 067,01 აშშ დოლარი, ანუ სესხზე დამატებით 21 067,01 აშშ დოლარი გადაიხადა, რაც პროპორციულად უნდა დაეკისროთ მოპასუხეებს (10 533,5-10 533,5 აშშ დოლარი);

8.13. სამართალდამცავთა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად მოსარჩელებს ასევე მიადგათ მორალური ზიანი, რომელიც გავლენას ახდენდა და დღემდე ახდენს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე;

8.14. მესამე მოსარჩელემ 2012 წლის 29 ნოემბერს წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, სადაც დეტალურად აღწერა თუ რა სახის დანაშაულებრივ ქმედებებს ჰქონდა ადგილი სამართალდამცავთა მხრიდან მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ. მოსარჩელები 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ სამართლებრივი გზებით ცდილობენ მათ წინააღმდეგ ჩადენილ კანონდარღვევებს სახელმწიფომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს და მოხდეს მათზე მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, თუმცა უშედეგოდ.

9. მოპასუხეებმა წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს. ამასთან, მათ სხვა გარემოებებთან ერთად სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლით დადგენილი შეცდომების ვადის გაშვებაზე მიუთითეს.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით:

- პირველი მოსარჩელის სარჩელი პირველი მოპასუხის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი პირველ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 2011 წლის 16 თებერვალს დადებული ჩუქების ხელშეკრულება და პირველ მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 89 972 ლარის გადახდა;

- მეორე მოსარჩელის სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მეორე მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის 2011 წლის 16 თებერვალს დადებული ჩუქების ხელშეკრულება და მეორე მოპასუხეს მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 89 352 ლარის გადახდა;

- პირველ მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 598,56 ლარის გადახდა;

- პირველი მოსარჩელის სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

- მესამე მოსარჩელის სარჩელი მოპასუხეთა მიმართ არ დაკმაყოფილდა;

- სარჩელი მიუღებელი შემოსავლის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

11. მოპასუხეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივრები, რომლებითაც გადანწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

13. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადან-

ყვეტილების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

14. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტები გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სადავოდ ხდიან სამართლებრივი შეფასების კუთხით და მიუთითებენ, რომ მოცემულ დავასთან მიმართებით არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის გამოყენების საფუძველი, არამედ სასამართლოს უნდა ემსჯელა მოსარჩელეთა მიერ მითითებულ იძულებისა და მუქარის ფაქტებზე და სამართლებრივი შეფასება მოეხდინა სამოქალაქო კოდექსის 85-ე-87-ე მუხლების საფუძველზე;

15. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების ზემოაღნიშნული მითითება და განმარტა, რომ სამართლებრივი შეფასება სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს და იგი მხარეთა სამართლებრივი შეფასებით შებოჭილი არ არის. ამასთან, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 992-ე მუხლებით კვალიფიკაციის წინაპირობები.

16. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით და ყურადღება გაამახვილა საქმის ფაქტობრივ გარემოებებში ასახული მოვლენების განვითარების ქრონოლოგიაზე, საიდანაც ირკვევა, რომ სადავო გარიგებები მოსარჩელეების, პირველი მოსარჩელის – შვილისა და მეორე მოსარჩელის ძმის – მესამე მოსარჩელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემდგომ დაიდო, ხოლო სადავო გარიგებების დადების შემდგომ, 2011 წლის 17 თებერვალს დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და მესამე მოპასუხე სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდა. მითითებული ფაქტების ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულებებით დაირღვა როგორც კანონით დადგენილი წესები და აკრძალვები, ასევე საჯარო წესრიგი, ვინაიდან გარიგებები თავისუფალი ნების პირობებში არ დადებულა.

17. სააპელაციო პალატის განმარტებით, გარიგების მართლსაწინააღმდეგობისა და ამორალურობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა მხარეთა ნებას ენიჭება, თუმცა აუცილებელი არ არის მხარეთა ნება თანმხვედრი იყოს, ანუ გარიგების დადების ამორალური და მართლსაწინააღმდეგო მოტივი და მიზანი ორივე მხარეს ამოძრავებდეს. გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევის მიზეზებისათვის საკმარისია გარიგების ერთ-ერთი მხარის არამართლზომიერი, ამორალური განზრახვა. გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია გარიგების ნეგატიური, კანონსაწინააღმდეგო ან ამორალური შედეგის დადგომა.

18. სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სამართალური თიერთობის საფუძველი მორალურად ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამართალური თიერთობის არსებობისას, როდესაც ამავე ურთიერთობის მხარეებს შორის ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი მაღალია. სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველა იმ სამართალური თიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია, უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალური თიერთობის კერძო სამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაპენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს. შესაბამისად, სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ კანონს შესაბამისობისა და მორალური სტანდარტების დაცვის პრეზუმფცია არსებობს, აღნიშნული პრეზუმფცია კი შეცილებისთანავე ქარწყლდება და მტკიცების ტვირთი ბრუნდება. სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძო სამართლებრივი გარიგებების შეცილების შედეგად მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის. სწორედ სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს კერძო პირთან დადებული გარიგების ნამდვილობა, მისი კანონისა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობა.

19. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ გარიგება უპირველეს ყოვლისა ნების გამოვლენაა. ამასთან, შინაგანი ნების გარეგანი გამოხატულებით გარიგების მონაწილეები აფიქსირებენ იმ მიზანს, რომლის მიღწევაც სურთ, რისთვისაც კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ საშუალებებს იყენებენ. ისეთ შემთხვევებში, როდესაც გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მისი გამოვლენის ნამდვილ შინაგან ნებას და გარიგება ნების გარეგნული გამოვლენის შედეგად დაიდო, ნების ნაკლთან გვაქვს საქმე. გარდა ამისა, გარეგნულად გამოხატული ნება შინაგანი ნების გამოძახილი რომც იყოს, აუცილებელია ასეთი ნება იყოს ნამდვილი, რაც გულისხმობს ნების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას. განსახილველ შემთხვევაში, ცალსახად დგინდება, რომ 2011 წლის 16 თებერვლის ჩუქების ხელშეკრულებების დადებისას პირველი და მეორე მოსარჩელები არ მოქმედებდნენ თავისუფალი ნების ფარგლებში, რაც აღნიშნული გარიგებების ბათილად ცნობის საფუძველია.

20. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით და განმარტა, რომ ვინაიდან სადავო გარიგებები არ ყოფილა განხორციელებული ნების თავისუფალი ფორმირების პირობებში და ისინი სახელმწიფოს მართსანინააღმდეგო ჩა-

რევის შედეგია, აღნიშნული სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს. განსახილველ შემთხვევაში, ზიანის მოცულობა უნდა განისაზღვროს საკრედიტო თანხების მოცულობით – ერთ შემთხვევაში – 89 352 ლარის, ხოლო, მეორე შემთხვევაში – 89 972 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია საპროცენტო განაკვეთის დაკისრების ნაწილში მოთხოვნა დასაბუთებულად და საბოლოოდ მოპასუხეებს სწორად დააკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ მითითებული თანხების ანაზღაურების ვალდებულება.

21. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე პირველმა მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვდა.

22. პირველმა კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძველებზე:

22.1. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე სადავო გარიგებების ბათილად ცნობის საფუძველად იძულებას მიუთითებდა, სასამართლომ ისინი ამორალურ გარიგებებად დააკვალიფიცირა. აღნიშნულით სასამართლომ არამართო გაანთავისუფლა მოსარჩელები მტკიცების ტვირთისგან, არამედ ასევე მოახდინა ხანდაზმული მოთხოვნის გაცოცხლება;

22.2. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა პირველი მოპასუხის პოზიცია, რომ არ დასტურდებოდა სადავო ჩუქების ხელშეკრულებების დადების მიზნით მოსარჩელებზე იძულების განხორციელების ფაქტი;

22.3. იძულება შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. მოტყუების მსგავსად, იძულებაც შეიძლება მესამე პირის მიერ განხორციელდეს. თუმცა, გარიგების ბათილობას განაპირობებს მხოლოდ ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი. პირველი მოსარჩელის შვილთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმება მოსარჩელეზე იძულების განხორციელების ფაქტს ვერ ადასტურებს, ვინაიდან, ერთი მხრივ, საპროცესო შეთანხმების გაფორმება წარმოადგენდა საქართველოს პროკურატურისათვის კანონით მინიჭებულ დისკრეციულ უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, საპროცესო შეთანხმების გაფორმება შეეძლო მხოლოდ პროკურატურას და არა პირველ მოპასუხეს. შესაბამისად, ეს უკანასკნელი,

საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით მოსარჩელეზე იძულებას ვერ განახორციელებდა. ამასთან, ე.წ. მუქარის შინაარსი, რომლის თანახმად, საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში მესამე მოპასუხეს მკაცრი სანქცია დაეკისრებოდა, სამართლებრივად ვერ შექმის იძულების შემადგენლობას, ვინაიდან სასჯელის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს უფლებამოსილებაა და არა პროკურატურის ან სხვა სამართალდამცავი დაწესებულების. სასჯელის როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური ოდენობა იმპერატიულად არის კანონით განსაზღვრული. კანონმდებელი ნათლად განმარტავს, რომ აუცილებელია იძულების ფაქტი საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით იყოს დადასტურებული, რაც მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ იძულებასაც;

22.4. მიუხედავად იმისა, რომ იძულებას თან ახლავს პირის ნების თავისუფლების შეზღუდვა, ის მაინც შეიძლება იყოს მართლზომიერი, თუ პირი მართლზომიერი შედეგის მისაღწევად შესაბამის მართლზომიერ საშუალებას გამოიყენებს. კერძოდ, იძულებად არ მიიჩნევა ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელისათვის პროკურატურის მითითება (მოსარჩელის განმარტებით), რომ იგი საპროცესო შეთანხმებას არ გააფორმებდა, ვერ შექმნიდა იძულების შემადგენლობას, ვინაიდან საპროცესო შეთანხმების გაფორმება-არგაფორმების საკითხი პროკურატურის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს;

22.5. იძულებას, თავისი არსით, ადგილი აქვს მაშინ, როდესაც იგი პიროვნებაში იწვევს შიშს, შეშფოთებას და შეუძლია მისი დამცირება, დაკნინება და, სავარაუდოდ, მისი ფიზიკური თუ სულიერი წინააღმდეგობის გატეხვა ან როდესაც მიზნად ისახავს პირის იძულებას, თავისი სურვილის ან შეგნების წინააღმდეგ მოქმედოს. თუმცა, კონკრეტულმა ღონისძიებამ ადამიანში ეს შიში, შეშფოთება რომ გამოიწვიოს, აუცილებელია, სისასტიკის კონკრეტული მინიმუმი იყოს გადალახული. მოსარჩელის ლოგიკას რომ მივყვეთ, რომელიც მხარდაჭერილია ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ნათელია, რომ მასში შიში და დაუცველობის განცდა გამოიწვია მის მიმართ მკაცრი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობამ. აღნიშნული გარემოება ვერ გახდიდა იძულებას, მუქარას რეალურს, ვინაიდან პირი, რომელიც სარგებლობს პროცესუალური უფლებებით, დაცულია ყოველგვარი არასათანადო მოპყრობისაგან. ინდივიდის უფლებებში ჩარევა ნებადართულია მხოლოდ სამართლიანი პროცესის ჩატარებით. მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამარ-

თლის პროცესის დროს ფართო საპროცესო უფლებები უზრუნველყოფს პიროვნების დაცულობას ყოველგვარი ზემოქმედებისაგან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის (სარჩელის შეტანის) შესაძლებლობას გულისხმობს, არამედ უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას. სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, დადასტურების შემთხვევაშიც, ვერ ქმნის იძულების შემადგენლობისათვის აუცილებელ ერთობლიობას;

22.6. კანონმდებელი იძულებით დადებული გარიგების შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს, კერძოდ, სსკ-ის 89-ე მუხლის შესაბამისად, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია, რაც მის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა;

22.7. დაუსაბუთებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანვეტილებაში განვითარებული მსჯელობა, რომელიც მხარდაჭერილია სააპელაციო სასამართლოს მიერ, რომ მოპასუხეებმა ვერ წარადგინეს ხელშეკრულებების გაფორმებისათვის აუცილებელი პროცედურების თაობაზე ინფორმაცია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უნყებები, დანესებულებები და ა. შ.) ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მოპასუხეებს არ გააჩნიათ ვალდებულება სამოქალაქო ხელშეკრულების გაფორმების უფლებამოსილება, პროცედურები განერონ ნორმატიული სახით. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სასამართლოს განმარტება, მოპასუხის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების წარუდგენლობის შესახებ;

22.8. სასამართლოებმა დაუსაბუთებლად გაიზიარეს მოსარჩელის მითითება, რომ სადავო ხელშეკრულების დასადებად მოსარჩელემ გამოიტანა სესხი და იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ ყოველთვიურად ხორციელდებოდა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების, მათ შორის პროცენტების გადახდა. კასატორის მოსაზრებით, სესხის ხელშეკრულე-

ბის გაფორმება არ არის იმის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულება, რომ სესხის ხელშეკრულებით მიღებული თანხა უპირობოდ სადავო ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონების შეძენას მოხმარდა.

23. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მეორე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

24. მეორე კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

24.1. მეორე მოსარჩელემ განცხადებით მიმართა მეორე მოპასუხეს და თავად გამოთქვა სურვილი კომპიუტერული ტექნიკის სახელმწიფოსათვის ჩუქების თაობაზე. ჩუქების მოტივის მითითება და კვლევა არ წარმოადგენდა დასაჩუქრებული პირის ვალდებულებას. მეორე მოპასუხე, მისი ფუნქციიდან გამომდინარე, ვალდებულიც იყო ქონება მიეღო სახელმწიფო საკუთრებაში, მაშინ როდესაც არანაირი იძულების ან ძალადობის საფუძვლები წარმოდგენილი არ იყო ხელშეკრულების დადების დროს. ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მის ძირითად მაკვალიფიცირებელ წინაპირობას წარმოადგენს, ამიტომ იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული. კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს, მხარეებმა ჩუქების ხელშეკრულება დაუკავშირონ ამა თუ იმ პირობების შესრულებას, აღნიშნული ასევე შეიძლება განპირობებული იყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობით ან საერთო-სასარგებლო მიზნით ან/და შესაძლოა გამჩუქებლისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყოს აღნიშნული გარიგების დადება;

24.2. საქმეში წარდგენილ საპროცესო შეთანხმებაში მითითებულია, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე, ნებაყოფლობით. აღნიშნული დოკუმენტი ძალაშია და არ არსებობს სანინალმდებო მტკიცებულებები, რომლებიც სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან კანონსა-ნინალმდებო ქმედების ჩადენაზე მიუთითებდა;

24.3. სასამართლომ 2011 წლის 16 თებერვლის ხელშეკრულება მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებად მიიჩნია და, შესაბამისად, ბათილად ცნო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი არის ყველაზე ზოგადი და, თავისი არსიდან გამომდინარე, ყველაზე იშვიათად გამოყენებადი უნდა იყოს, რადგან თუ კერძო სამართალში არსებობს სპეციალური ნორმა, უპირატესობა სპეციალურ ნორმას ენიჭება. სწორედ სპეციალური ნორმის საფუძველზე დგება სამართლებრივი შედეგი. თუ სპეციალური ნორმა ბათილობას ვერ დაადგენს, ამ შემთხვევაში 54-ე მუხლიდან გამომდინარე, ხელშეკრულება ბათილი ვერ გახდება. შესაბამისად, სარჩელი ამ კუთხითაც უსაფუძვლოა (იხ.

საქმე №ას-664-635-2016);

24.4. კასატორმა მოიხმო სამოქალაქო კოდექსის 85-ე, 86-ე, 88-ე მუხლები და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მონინალმდეგე მხარის მიმართ რაიმე სახის ზეწოლის განხორციელების ფაქტი არ დასტურდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელები მუქარად მიიჩნევენ პატიმრობაში ყოფნისა და სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების/მკაცრი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას, დაპატიმრებასა და სასჯელის დანიშვნას გააჩნია კანონით მკაცრად დადგენილი სავალდებულო წინაპირობები და პროცედურები. შესაბამისად, ჩუქების ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც, გამოირიცხებოდა მესამე მოსარჩელის უფლებების არაღიგისმურის ხელყოფა, რადგან მისთვის წარდგენილი ბრალის შეფასება მართლმსაჯულების ორგანოში გაგრძელდებოდა;

24.5. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ამასთან, დელიქტით გამოწვეული ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ანაზღაურდება, თუ პირი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, პირის მოქმედება იყო განზრახი ან გაუფრთხილებელი (ანუ ბრალეული), უშუალოდ ამ მართლსაწინააღმდეგო, განზრახმა ან გაუფრთხილებელმა მოქმედებამ მიაყენა პირს ზიანი. სრულიად გაუგებარია, დასახელებული სამართლებრივი საფუძვლით მეორე მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, ვინაიდან სარჩელში არ არის მითითებული არცერთი ფაქტობრივი გარემოება და არც საქმეზე დართული მასალებიდან იკვეთება მეორე მოპასუხის ან სახელმწიფოს რომელიმე მოხელის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განხორციელების ფაქტი. ასევე, არ არის დასახელებული არცერთი კონკრეტული ზიანის მიმყენებელი პირი და არ არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებები;

24.6. კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1005.1 მუხლზე და განმარტა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება დასკვნა, რომ მხოლოდ ზიანის მიმყენებელი პირის სტატუსი არ არის საკმარისი სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, აუცილებელია, მოხელის მიერ ზიანის მიმყენებელი ქმედება სხვა პირის მიმართ ჩადენილი იყოს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას. ამასთან, ამგვარი ქმედების შედეგად დაირღვეს ისეთი ვალდებულება, რომელსაც შეესაბამება სხვა, კერძო პირის უფლება და აღნიშნული იყოს შესაბამისი მტკიცებულებით დადასტურებული. ამდენად, არ არსებობდა მეორე მოპასუხის მიმართ რაიმე მოთხოვნა.

ნის დაყენების სამართლებრივი საფუძველი;

24.7. სასამართლოს არ შეუფასებია ის გარემოება, რომ კომპენსაცია დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ სახეზეა გამდიდრების ფაქტი და ნივთის დაბრუნება შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარდგენილი მტკიცებულება – საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 09 ნოემბრის № 13/85504 წერილი.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

27. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დავის საგანია პირველ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს, ასევე, მეორე მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულებების მართლზომიერება. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია დაიდო თუ არა აღნიშნული ჩუქების ხელშეკრულებები დასაჩუქრებულის, სახელმწიფოს (სახელმწიფო ორგანოების) მხრიდან მჩუქებლების ნებაზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის შედეგად.

28. კასატორის ძირითადი პრეტენზია კანონის არასწორ გამოყენებაში მდგომარეობს. კერძოდ, ისინი დავობენ, რომ მიუხედავად მოსარჩელის მითითებისა, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულებები იძულების შედეგად დაიდო, სასამართლომ მათი მართლზომიერების შეფასებისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით, ნაცვლად იძულებით დადებული გარიგების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებისა.

29. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგა-

ტივა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ. მაგ., სუსგ საქმე №ას-1529-1443-2012, 09 დეკემბერი, 2013 წელი; დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017 წელი, §187).

30. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზების პირობებში (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004წ., გვ. 38-39; ჰ. ბოელინგი/პ. ლუთრინ-გჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009წ., გვ. 15; ს. ჩაჩავა, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2010, გვ. 21).

31. წინამდებარე საქმეში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. მოსარჩელეები მათი მოთხოვნის საფუძველად იმ გარემოებაზე მიუთითებენ, რომ აღნიშნული ხელშეკრულებების დადებას წინ უძღვოდა მესამე მოპასუხის დაპატიმრება, ხოლო შემდგომ, მისი განთავისუფლების სანაცვლოდ, ამ უკანასკნელის დედაზე, პირველ მოსარჩელეზე და დაზე, მეორე მოსარჩელეზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განხორციელდა ზეწოლა სახელმწიფოსათვის ქონების ჩუქების მიზნით. დადგენილია, რომ პირველმა და მეორე მოსარჩელეებმა პირველ და მეორე მოპასუხეებს, რომლებიც სადავო გარიგებებში სახელმწიფოდ არიან მოხსენიებული, ჩუქების ფორმით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს დიდი ოდენობით კომპიუტერული ტექნიკა, რაც, მოსარჩელეთა მტკიცებით, მოტივირებული იყო მათი ოჯახის წევრთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებისა და მისი პატიმრობიდან გათავისუფლების მოლო-

დინით.

32. ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობაში შეფასება საკასაციო სასამართლოს აძლევს ვარაუდის საფუძველს გარიგების იმ-გვარ ნაკლთან მიმართებაში, რომელიც უალტერნატივოდ იწვევს მისი იურიდიული შედეგის გაბათილებას. კონკრეტული გარიგებების ბათილად ცნობის სამართლებრივ შედეგს კი, საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად (იხ. მაგ., სუსგ საქმე №ას-15-15-2016, 01 მარტი, 2016 წელი), შეიცავს სწორედ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, რომლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

33. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების მიმართ იმთავითვე ნავარაუდევია კანონშესაბამისობის, ანუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი სამი დამოუკიდებელი წინაპირობის დაცვის მოლოდინი იმ მხარის მიერ, რომელიც ძლიერ მხარესთან შედის სახელშეკრულებო ბოჭვაში. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი ადგენს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო-სამართლებრივი გარიგების მონაწილეები კანონის ფარგლებში უფლებამოსილი არიან თავისუფლად დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, ანუ მოქმედებს პრინციპი – „ნებადართულია, რაც აკრძალული არ არის“, დასახელებული ნორმის დეფინიციის შესაბამისად, სახელშეკრულებო თავისუფლებაც კანონისმიერ ჩარჩოშია მოქცეული და, აქედან გამომდინარე, როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მხარეა სახელმწიფო, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა შემოწმდეს და შეფასდეს გარიგების „ძლიერი“ კონტრაჰენტის ქცევა/ქმედება რამდენად შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის წინაპირობათაგან ისეთ სპეციფიკურ დანაწესს, როგორიცაა ზნეობის ნორმები. ასეთ ვითარებაში სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია, თუ რამდენად მორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული ისეთი გარიგება, როდესაც სახელმწიფო უსასყიდლოდ იღებს გარკვეულ მომსახურებას, ქონებას საკუთრებაში და ა.შ. ანუ, პრაქტიკულად რატომ შეიძლება კერძო სამართლის პირმა „დაასაჩუქროს“ სახელმწიფო, რამდენად შეესაბამება აღნიშნული იმ ზოგად მორალურ კატეგორიას, რომ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ვალდებულება საკუთარი რესურსებით თითოეული პირის უფლება და ინტერესი დაიცვას, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აჩუქოს რაიმე ქონება (იხ. სუსგ საქმე №ას-501-475-2015, 31 მარტი, 2016 წელი; №ას-212-201-2017, 15 მაისი,

2017 წელი; №ას-1217-1137-2017, 15 ოქტომბერი, 2018 წელი).

34. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თაობაზე მსჯელობისას, დოქტრინაში გამოთქმული არაერთი მოსაზრებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ნორმა ზოგადდეფინიციური ხასიათისაა, ბლანკეტურია, მითითებით მოწესრიგებას წარმოადგენს და მარტოოდენ 54-ე მუხლი სხვა ნორმების მითითების გარეშე, რომლებიც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიცავენ, არ უნდა იქნეს გამოყენებული, თუმცა ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ გარიგების შინაარსის შესაფასებლად შესაძლებელია დამოუკიდებლად იქნეს გამოყენებული დასახელებული მუხლი, როდესაც გარიგების ამორალურობას უკავშირდება სადავო საკითხი. თუმცა, ასეთ ვითარებაში დამატებით, შესაძლოა, კონტრაჰენტთა ქმედებების შეფასება მოხდეს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების მასშტაბითაც, რათა დადგინდეს არა მხარეთა სუბიექტური დამოკიდებულება გარიგებისადმი (მისი კონკრეტული პირობისადმი), არამედ ობიექტური გარემოებების შეფასების საფუძველზე, რაც გარიგების შინაარსის ზნეობის ნორმებთან შესატყვისობას ეხება, გაირკვეს ამორალურია თუ არა მხარეთა შეთანხმება. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მიჩნევის შემთხვევაში, გარიგებით მიღებული სარგებლის დაბრუნება კრედიტორმა მოვალეს შესაძლებელია მოსთხოვოს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე (იხ. სუსგ საქმე №ას-212-201-2017, 15 მაისი, 2017 წელი; №ას-1217-1137-2017, 15 ოქტომბერი, 2018 წელი).

35. საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური), პრეზუმირებულია, რომ იძულება განხორციელდა და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულებას ადგილი არ ჰქონია, მანვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს (იხ. სუსგ საქმე №ას-15-15-2016, 01 მარტი, 2016 წელი; №ას-501-475-2015, 31 მარტი, 2016 წელი; №ას-212-201-2017, 15 მაისი, 2017 წელი; №ას-1217-1137-2017, 15 ოქტომბერი, 2018 წელი).

36. ამრიგად, იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების ერთ-ერთი მხარეა სახელმწიფო, სადავოობისას იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ გარიგების დადებას წინ უძღოდა მეორე მხარის მიერ ნამდვილი ნების გამოვლენა, ეკისრება სახელმწიფოს.

37. მსგავსი მიდგომა გაზიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. ერთ-ერთ საქმეში ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ „... ყველა შემთხვევა არ ხასიათდება *affirmanti incumbit probatio* (ამტკიცებს ფაქტის მიმთითებელი) პრინციპის განუხრელი გამოყენებით, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა...“ (იხ. CASE OF FEDOTOV v. RUSSIA, Application no. 5140/02, 25.10.2005).

38. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეებმა ვერ უზრუნველყვეს მათი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და იმ გარემოების დადასტურება, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულებები დაიდო ნამდვილი ნების საფუძველზე და შეესაბამებოდა ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს.

39. კერძოდ, სადავო გარიგებების მართლზომიერების შეფასების მიზნით საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ ქრონოლოგიას: 2010 წლის 02 ნოემბერს დააკავეს მესამე მოსარჩელე, რომელსაც წარედგინა ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 04 ნოემბრის განჩინებით აღკვეთი ღონისძიების სახით, შეეფარდა პატიმრობა; მესამე მოსარჩელე წარმოადგენს პირველი მოსარჩელის შვილს და მეორე მოსარჩელის ძმას; მესამე მოსარჩელის დაკავებიდან მოკლე პერიოდში, 2010 წლის 31 დეკემბერს პირველ მოსარჩელესა და შპს „... კ-ს“ შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც პირველმა მოსარჩელემ სესხის სახით მიიღო 40 000 აშშ დოლარი (დაახლოებით 70 880 ლარი); ხოლო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე დღეში, 2011 წლის 21 იანვარს შპს „ა-ასა“ და პირველ მოსარჩელეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ამ უკანასკნელმა შეიძინა 89 972 ლარის ღირებულების 83 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა; აღნიშნულის შემდგომ, 2011 წლის 16 თებერვალს პირველ მოპასუხესა და პირველ მოსარჩელეს შორის გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, პირველმა მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს აჩუქა 83 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა. ხელშეკრულებაში მითითებულია შემდეგი: „კომპიუტერული ტექნიკა არის [პირველი მოსარჩელის] საკუთრება, რაც დასტურდება შპს „ა-ას“ სასაქონლო ზედნადებით“; გარდა ამისა, მეორე მოსარჩელესა და შპს „ი-ის“ შორის 2011 წლის 20 იანვარს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მეორე მოსარჩელემ შეიძინა 89 352 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა; იმავე პერიოდში, 2011 წლის 16

თებერვალს მეორე მოპასუხესა და მეორე მოსარჩელეს შორის გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, მეორე მოსარჩელემ მეორე მოპასუხეს აჩუქა 89 352 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა; აღსანიშნავია, რომ დასახელებული ჩუქების ხელშეკრულებების გაფორმებიდან მეორე დღეს, 2011 წლის 17 თებერვალს სახელმწიფოსა და მესამე მოსარჩელეს შორის დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდა.

40. საქმეზე დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და მოვლენათა ამგვარი განვითარება/თანმიმდევრობა, საკასაციო სასამართლოს აძლევს დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ მოსარჩელის მიერ სახელმწიფოსათვის (პირველი და მეორე მოპასუხეებისათვის) ქონების უსასყიდლოდ გადაცემა არ განხორციელებულა ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ პირველი მოსარჩელის მიერ კომპიუტერული ტექნიკა შეძენილია კ-ის დახმარებით, რაც მას დამატებით ფინანსურ ვალდებულებას აკისრებდა და, შესაბამისად, ჩუქების ხელშეკრულების ნების თავისუფალი გამოვლენის პირობებში დადებას ნაკლებ სავარაუდოს ხდის. გარდა ამისა, კითხვის ნიშნებს აჩენს მოსარჩელეთა მიერ შესყიდული ტექნიკის ოდენობაც. მოპასუხეებს არ მიუთითებიათ და, შესაბამისად, არც სასამართლოს დაუდგენია, რომ მოსარჩელები იმგვარ საქმიანობას ეწეოდნენ, რომლის განსახორციელებლად აღნიშნული ოდენობის კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა იყო საჭირო.

41. საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ როდესაც საკითხი ეხება ჩუქების ხელშეკრულებას, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების განმსაზღვრელი ორი ძირითადი კრიტერიუმი: მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა და გამჩუქებლის მატერიალური მდგომარეობა. ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს ამ კრიტერიუმების არსებობის შეფასების კუთხით, ხოლო დასახელებული კრიტერიუმების შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ანალოგიურ გარემოებებში გონიერი ადამიანის ქცევის სტანდარტი.

42. ამ თვალსაზრისით, პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან ნიშანპირობას წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, რაც, როგორც წესი, განაპირობებს მჩუქებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადების მოტივის ჩამოყალიბებას. ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მის ძირითად მაკვალიფიცირებელ ნიშანპირობას წარმოადგენს. ამიტომ, იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული. ნებისმიერ

შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ამგვარი ურთიერთობები კი, როგორც წესი, გარკვეული დროის განმავლობაში ყალიბდება და საფუძვლად უდევს მხართა შორის არსებული მაღლიერება, კეთილგანწყობა, ან დამკვიდრებული ჩვეულებებით დადგენილი ერთგვარი მორალური ვალდებულება (იხ. სუსგ საქმე №ას-6-6-2015, 01 ივლისი, 2015 წელი), რაც სახელმწიფოსთან ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისას ნაკლებ სავარაუდოა.

43. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის ეტაპზე სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადება, რომელიც დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას არ ემსახურება, მაღალი ალბათობით, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს არ წარმოადგენს, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გარიგების გაფორმების მაპროვოცირებელი გარემოებაა, რაც ნების გამოვლენის თავისუფლებას იმთავითვე გამოორიცხავს (იხ. GUSINSKIY v. RUSSIA, Application no. 70246/01, 19.05.2004).

44. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო გარიგებების დადება განაპირობა არა პირველი და მეორე მოსარჩელების თავისუფალი ნების გამოვლენამ, არამედ მათი შვილის/ძმის მკაცრი სასჯელისაგან თავის არიდებისა და მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოლოდინმა, რამაც საბოლოოდ გარიგების დადების პროვოცირება მოახდინა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულებები, როგორც ამორალური გარიგებები, ბათილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე.

45. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს მეორე კასატორის მითითებას სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის პირობებში, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის, გარიგებით მიღებული სარგებლის დაბრუნების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, რომელიც დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ზოგად წესს ადგენს, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმები, კერძოდ, იმავე კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი

უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ასევე, 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით.

46. ამდენად, გარიგების (ხელშეკრულების) ბათილობისას დგება უკვე განხორციელებული შესრულების უკუქცევის საკითხი ანუ, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა-რესტიტუცია. აღნიშნული გულისხმობს, რომ გარიგებას ეცლება ის იურიდიული ზემოქმედება, რაც მან მოახდინა. შესაბამისად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სადავო ჩუქების ხელშეკრულებები ბათილ გარიგებებად იქნა მიჩნეული, მოსარჩელებს წარმოეშვათ მოპასუხეთა მიმართ კონდიქციური მოთხოვნის უფლება.

47. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ პირველმა მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს უსასყიდლოდ, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, გადასცა 89 972 ლარის, ხოლო მეორე მოსარჩელემ მეორე მოპასუხეს 89 352 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კომპიუტერული ტექნიკა ცვეთად მოძრავ ქონებას წარმოადგენს, რომელიც შეძენილ იქნა კონკრეტულად მოპასუხეთათვის გადაცემის მიზნით, ხოლო მოსარჩელებს მათი საკუთრებაში დაბრუნების ინტერესი არ გააჩნიათ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველ მოპასუხეს წარმოეშვა ვალდებულება, დაუბრუნოს პირველ მოსარჩელეს საჩუქრის მიღების დროისათვის არსებული ქონების ღირებულება – 89 972 ლარი, ხოლო მეორე მოპასუხეს წარმოეშვა ვალდებულება, დაუბრუნოს მეორე მოსარჩელეს 89 352 ლარი, რადგან, ბათილი გარიგებების შედეგად, სწორედ ამ ოდენობის კომპიუტერული ტექნიკის ღირებულება დაზოგა სახელმწიფომ.

48. ამდენად, ამ ნაწილში საკასაციო საჩივრები დაუსაბუთებელია, რაც მათ დაკმაყოფილებას გამოიწვევს.

49. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე გადანყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, კასატორების მითითება გარიგების შეცილების ვადაზე და მოთხოვნის ხანდაზმულობაზე სამართლებრივად ვარგის პრეტენზიას არ წარმოადგენს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა უცილოდ ბათილი გარიგება, მასზე შეცილების რაიმე ვადის გავრცელება სამოქალაქო კოდექსით ნაკარნახევი არ არის და მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის საერთო – ათწლიანი ვადა.

50. წინამდებარე საქმეში დავის საგანს ასევე წარმოადგენს შპს „...კ-სა“ და პირველ მოსარჩელეს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სარგებლის – 5 598,56 ლარის პირველი მოპასუხისათვის დაკისრების მართლზომიერება. პირველი მოსარჩელის განმარტებით, მას აღნიშნულ სესხზე საპროცენტო სარგებლის სახით გადახდილი აქვს ჯამში 11 197,12 ლარი, რომლის ნახევრის დაკისრებასაც ზიანის ანაზღაურების სახით, ითხოვს პირველი მოპასუხისათვის.

51. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. ამ გარემოებების დამტკიცება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

52. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი).

53. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება შპს „...კ-თან“ დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კონკრეტულად რა ოდენობის სარგებელი აქვს პირველ მოსარჩელეს გადახდილი. მხოლოდ მისი ახსნა-განმარტება კი, ამ გარემოების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

54. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხ-

ლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლება-მოიხილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

55. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; ხოლო, პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 2.3 ქვეპუნქტი და მე-7 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; პირველი მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ 5 598,56 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს ძალაში.

56. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

57. წინამდებარე საქმეში დავის საგნის ღირებულება ჯამში შეადგენდა 354 929,73 ლარს (სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის დროს მოქმედი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის მიხედვით).

58. საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, დაკმაყოფილდა პირველი მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის 25,35%. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელეებმა სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადეს 3000 ლარი, პირველ მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 3000 ლარის 25,35%, რაც შეადგენს 760,5 ლარს.

59. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. პირველი მოპასუხე გათავი-

სუფლებული რომ არ ყოფილიყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის [სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია] მიხედვით, მას სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით უნდა გადაეხადა 95 570,56 ლარის ($89\,972 + 5\,598,56 = 95\,570,56$) 4%, რაც შეადგენს 3 822,82 ლარს.

60. საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, დაკმაყოფილდა პირველი მოპასუხის სააპელაციო მოთხოვნის 5,86%. შესაბამისად, პირველ მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირველი მოპასუხის მიერ სააპელაციო სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის 3 822,82 ლარის 5,86%, რაც შეადგენს 224,02 ლარს.

61. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხეებმა წარადგინეს საკასაციო საჩივრები. მეორე მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, არ არსებობს მის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის განაწილების წინაპირობები. ხოლო, პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, დაკმაყოფილდა მისი საკასაციო მოთხოვნის ($95\,570,56$ ლარი) 5,86%.

62. პირველი მოპასუხე გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მას საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით უნდა გადაეხადა 95 570,56 ლარის 5%, რაც შეადგენს 4 778,53 ლარს.

63. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, პირველ მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირველი მოპასუხის მიერ საკასაციო სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის 4 778,53 ლარის 5,86%, რაც შეადგენს 280,02 ლარს.

64. ჯამში პირველ მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 504,04 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტ-

ტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ივლისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 2.3 ქვეპუნქტი და მე-7 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ც. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ 5 598,56 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს ძალაში;

6. ც. გ-ს (პ/ნ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს 504,04 (ხუთას ოთხი ლარი და ოთხი თეთრი) ლარის გადახდა;

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (ს/კ: ...) ც. გ-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს 760,5 (შვიდას სამოცი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განეული ხარჯის ანაზღაურების სახით;

8. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოქვეყნებითი გარიგების გათილად ცნობის საფუძვლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმთ

№ას-136-2021

5 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ვ. კაკაბაძე,

ლ. მიქაბერიძე

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა

1.1. გ. თ-მა (შემდგომში „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლო-ში ი. ფ-ის (შემდგომში „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“), მ. ა-სა (ქორწინებამდელი გვარი – კ-ნა) და გ. ა-ის (შემდგომში „თავდაპირველი მოპასუხეები“ ან „ა-ბი“) მიმართ და მოითხოვა 2016 წლის 5 მაისს მასსა და მოპასუხეს შორის, ასევე, 2016 წლის 16 ივნისს, ერთი მხრივ, მოპასუხესა და მეორე მხრივ, თავდაპირველ მოპასუხეებს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების გათილად ცნობა.

1.2. მოსარჩელის განცხადებით, იგი ქ. თბილისში, ... ქუჩა №...-ში მდებარე 69 კვ.მ საცხოვრებელი ბინის (საკადასტრო კოდი: ...) (შემდგომში „სადავო უძრავი ქონება“, „სადავო ქონება“ ან „სადავო ბინა“) 2/3 წილის მესაკუთრე იყო, ხოლო 1/3 ნაწილის მესაკუთრეები იყვნენ მისი ძმის ყოფილი ცოლი და ძმისშვილი, ა-ები.

1.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სადავო ბინის ა-ების კუთვნილ 1/3 ნაწილზე მოსარჩელეს მოპოვებული აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება, თუმცა გადაწყვეტილების აღსრულება იქცა პრობლემად, ვინაიდან მოსარჩელის ყოფილი რძალი და ძმისშვილი ცხოვრობენ მოსკოვში და მოსარჩელეს მათთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. მოსარჩელის ადვოკატი ცდილობდა ეპოვნა მარტივი გზა, რათა მოსარჩელეს სადავო ქონების 1/3 ნაწილზეც მიეღო საკუთრების უფლება. სწორედ ამ მიზნით, მან (ადვოკატმა) მოსარჩელეს გააცნო მოპასუხე, რომელიც დაუახლოვდა მოსარჩელეს და მოიპოვა მისი ნდობა. იგი დაჰპირდა მოსარჩელეს პრობლემის მოგვარებას, დაარწმუნა, რომ ამისათვის საჭირო იყო სადავო ბინის ნაწილის ფიქტიური მესაკუთრე თვითონ გამხდარიყო და შემდგომ ა-საც შეეთავაზებინა მათი კუთვნილი წილის მის-

თვის მიყიდვა, შემდგომ კი, მთლიან ქონებას ისევ უკან გადაუფორმებდა მოსარჩელეს. ამ მიზნით, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2016 წლის 6 მაისს დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მოსარჩელემ, თითქოსდა, მიჰყიდა მოპასუხეს თავისი კუთვნილი წილი, რაშიც მოპასუხემ მას, თითქოსდა, გადაუხადა 50 000 აშშ დოლარი. სინამდვილეში კი, მოპასუხემ მოსარჩელე მოატყუა და ამ გზით მიიღო სადავო ბინაზე საკუთრების უფლება. მოსარჩელემ შეიტყო, რომ მოპასუხემ ა-ის კუთვნილი წილის საკუთრებაში აღრიცხვაც შეძლო მათთან ფიქტიურად გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით და ყოველგვარი თანხის გადახდის გარეშე სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე გახდა. შემდეგ კი, აღნიშნული ქონება მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა.

1.4. მოსარჩელის განცხადებით, მას არ ჰქონდა თავისი წილი ქონების გასხვისების სურვილი, პირიქით, აპირებდა, შეესყიდა ა-ის კუთვნილი წილიც და აღნიშნული ბინა სასტუმროს ტიპის საცხოვრებლად გადაეკეთებინა.

1.5. სადავო ბინაზე გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები მოსარჩენებლად დადებულია და არსებობს მათი ბათილობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

2. მოპასუხეების პოზიცია

2.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელისა და ა-სგან უძრავი ქონების შესყიდვის მიზანი დამატებითი შემოსავლის მიღება იყო – მას სურდა პატარა სასტუმროს მოწყობა, ვინაიდან ოჯახში არიან უმუშევრები. ხელშეკრულების გაფორმების დღეს მოპასუხემ მოსარჩელეს ხელზე გადასცა 50 000 აშშ დოლარი, თუმცა მოსარჩელემ ითხოვა ბინაში ერთი თვით დარჩენა, ხოლო შემდეგ დათქმულ დროს არ დაცალა ბინა, მოითხოვა ნასყიდობის თანხის დამატება, რაზეც უარი მიიღო და რის გამოც, მოპასუხემ პოლიციაში შეიტანა განცხადება მისი გამოსახლების მოთხოვნით.

2.2. მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელე არასათანადო მოსარჩელეა და არ აქვს უფლება მოპასუხესა და ა-ებს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვოს.

2.3. თავდაპირველ მოპასუხეებს სარჩელზე შესაგებელი არ წარუდგენიათ.

2.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის მთავარ სხდომაზე ა-ბის წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავდაპირველი მოპასუხეები უდავოდ ხდიან სარჩელში მითითებულ ყველა ფაქტობრივ გარემოებას. ამასთან, მიუთითა მ. ა-ას განმარტებაზე, რომ მას ხელი არ მოუწერია სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებაზე.

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სადავო უძრავი ქონების 2/3 ნაწილზე 2016 წლის 5 მაისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე მოპასუხესა და ა-ებს შორის ქონების 1/3 წილზე 2016 წლის 16 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება. ამავე გადაწყვეტილებით სადავო ქონების 2/3 ნაწილი საკუთრების უფლებით აღირიცხა მოსარჩელის სახელზე, ხოლო ქონების 1/3 ნაწილზე თანამესაკუთრებელად ცნობილი იქნენ თავდაპირველი მოპასუხეები (ა-ები).

4. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

4.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

5.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.2.1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 27 ივლისის ამონაწერის მიხედვით, სადავო უძრავი ქონების 2/3 წილის მესაკუთრეა მოსარჩელე, ხოლო 1/3 ნაწილისა – მოსარჩელის ყოფილი რძალი და ძმისშვილი (ა-ები);

5.2.2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 20 ივლისის ამონაწერის მიხედვით, სადავო ქონება საკუთრების უფლებით აღრიცხულია მოპასუხის სახელზე, ხოლო უფლების დამდგენ დოკუმენტებად მითითებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება და 2016 წლის 16 ივნისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.

5.2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი ა-ბის მიმართ აუქციონის გზით საზიარო უფლების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა. დადგინდა საზიარო უფლების გაუქმება მხარეთა შორის მათ თანასაკუთრებაში არსებულ სადავო უძრავ ქონებაზე საზიარო საგნის აუქციონზე იძულებითი რეალიზაციის გზით და განისაზღვრა, რომ საზიარო საგნის გაყიდვით ამონაგები თანხა მათ შორის უნდა განაწილებულიყო კუთვნილი წილების მიხედვით, შესაბამისად, ამონაგები თანხიდან მოსარჩელეს მიეკუთვნებოდა 2/3 წილი, ხოლო მოპასუხეებს – 1/3 წილი. მოსარჩელის სარჩელი ა-ბის მიმართ წილის უპირატესი შესყიდ-

ვის უფლების დადგენის შესახებ მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

5.2.4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება წილზე უპირატესი შესყიდვის უფლების დადგენაზე უარის თქმის ნაწილში და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს მიეცა სადავო უძრავი ქონებიდან ა-ის კუთვნილი 1/3 წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში;

5.2.5. 2016 წლის 5 მაისის მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხემ სადავო უძრავი ქონებიდან იყიდა მოსარჩელის კუთვნილი 2/3 წილი და აღრიცხა მის საკუთრებად.

5.2.6. 2016 წლის 11 ივნისს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის მიხედვით, ა-ბმა მოპასუხეს მიანიჭეს უფლებამოსილება: იყოს მათი წარმომადგენელი და ინტერესების დამცველი საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანიზაცია-დანესებულებაში, იუსტიციის სახლში, იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სანოტარო ბიუროში, რათა დადოს მათ საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების წილებთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული გარიგებები. აღნიშნული დავალების შესრულებისათვის მინდობილ პირს მიეცა უფლებამოსილება მარწმუნებლების მაგივრად მოაწეროს ხელი ყიდვა-გაყიდვის ყველა აუცილებელ დოკუმენტს, საკუთარ სახელზე გაფორმების (საკუთარ თავთან ყიდვა-გაყიდვის გარიგების დადების) უფლებით და განახორციელოს ყველა ფორმალობა და კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი პროცედურა, რაც საჭირო არ არის დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის;

5.2.7. 2016 წლის 16 ივნისს მოპასუხემ, როგორც „მყიდველმა“ და როგორც ა-ის წარმომადგენელმა შეიძინა ა-ის თანასაკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების 1/3 ნაწილი;

5.2.8. მოპასუხესა და შპს „მ-სო ო-ია თ-ტს“ შორის 2016 წლის 18 ივნისს გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად იმავე დღეს იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონება.

5.2.9. სადავო მისამართზე მდებარე 79.27 კვ.მ სარდაფის (საკადასტრო კოდი: ...) მესაკუთრეა მოსარჩელე;

5.2.10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მოპასუხის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა სადავო მისამართზე

მდებარე უძრავი ქონება. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და აღსრულებულია.

5.3. საპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლზე, სამოქალაქო კოდექსის 429-ე, 477-ე, 624-ე მუხლებზე და დაასკვნა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებებში მყიდველის მიერ თანხის გადახდასთან დაკავშირებული დებულებები (პირველ ხელშეკრულებაში გაკეთებული ჩანაწერი – „ნასყიდობის საფასური მყიდველის მიერ სრულად არის გადახდილი“, მეორე ხელშეკრულებაში არსებული მითითება – „მყიდველი ნასყიდობის ფასს გადაიხდის ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმებისთანავე“) ფორმალურ ხასიათს ატარებს და სინამდვილეს არ ასახავს. აღნიშნული ჩანაწერების საპირისპიროდ სასამართლო მიუთითებს თავად მოპასუხის ახსნა-განმარტებაზე, სადაც იგი აღნიშნავს, რომ თანხა, რომელიც გადაიხადა, გაატანა მოსკოვში მიმავალ ავტობუსის მძღოლებს, რომელთაც იგი გადასცეს ა-ბს და სანაცვლოდ გამოატანეს სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობები. სასამართლო მიუთითებს სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ურთიერთსაპირისპირო ჩვენებებზეც და დადგენილად მიიჩნევს, რომ მოპასუხეს ნასყიდობის საგნის საფასური მოსარჩელისთვის არ გადაუხდია. ამასთან, მოპასუხის მიერ ა-ვის ნასყიდობის თანხის გადახდა არ დასტურდება სხვა რაიმე მტკიცებულებითაც.

5.4. სააპელაციო პალატამ მიუთითა სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ მითითებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მიეცა ა-ბის კუთვნილი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. შესაბამისად, ის გარემოება, რომ მოპასუხე ა-ბს დაუკავშირდა მოსარჩელის მეშვეობით, ვერ განიხილება სასამართლოთი მინიჭებული უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე უარის თქმად. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის განცხადება, რომ ორივე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიზანი იყო მოსარჩელის მიერ ბინის ორივე ნაწილზე საკუთრების უფლების მოპოვება, რაც გამორიცხავს უპირატესი შესყიდვის უფლებაზე უარის თქმას.

5.5. სასამართლომ ნასყიდობის თანხის გადახდის დამადასტურებელ მტკიცებულებად არ მიიჩნია მოპასუხის შემოსავლების ამსახველი დოკუმენტი, მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლზე (ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი; მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება) და აღნიშნა, რომ ვინაიდან წინამდებარე დავა წარმოშობილია მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან და სადავოა მყიდველის მიერ შეთან-

ხმებული ფასის გადახდის ფაქტი, მყიდველის ფინანსური შემოსავალი ნასყიდობის ფასის გადახდის უტყუარ მტკიცებულებად ვერ განიხილება. მოპასუხემ ვერ დაადასტურა მის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი ან იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც გამორიცხავდა ფულადი ვალდებულების შესრულებას.

5.6. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 56-ე მუხლებით და დაადგინა, რომ სადავო ხელშეკრულებების გაფორმებისას მხარეთა ნებას არ წარმოადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულებების დადება და აღნიშნული გარიგებებით მათი მოწვევებითი ნება გამოვლინდა.

6. მოპასუხის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

6.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

6.2. საკასაციო საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლოებმა დაარღვიეს საპროცესო სამართლებრივი ნორმები და არ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ თავდაპირველ მოპასუხეებს არც სარჩელი წარმოდგენიათ და არც სასამართლო პროცესზე ყოფილან მოწვეული კანონით დადგენილი წესით. სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოებაც, რომ მ. თ.-ის მიერ წარდგენილი რწმუნებულება არ იყო გაცემული მ. კ.-ას (ა-ას) მიერ, ამასთან, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც მოპასუხეებისთვის სასარჩელო გზავნილის ჩაბარებას დაადასტურებდა.

6.3. სასამართლოებმა არასწორად დაადგინეს, რომ მოპასუხეს არ გადაუხდია უძრავი ქონების ნასყიდობის თანხა და სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებები მოსაჩვენებლად დადებული გარიგებებია. კანონის არცერთი ნორმა არ ავალდებულებს მყიდველს საბანკო დანესებულების მეშვეობით გადარიცხოს ნასყიდობის თანხა. ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და ნების გამოხატვა გარიგების შინაარსსა და თანხის მიღებაზე საკმარისია იმისათვის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია ჩაითვალოს. კასატორის მოსაზრებით, თუ მხარეები შეთანხმებული იყვნენ იმაზე, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებებს არ მოჰყვებოდა იურიდიული შედეგი, მაშინ ისმის კითხვა, რატომ აღძრა მოპასუხემ სარჩელი მოსარჩელის სადავო უძრავი ქონებიდან გამოსახლების მოთხოვნით და რატომ გაიღო ამ საკითხის მოგვარებისთვის ხარჯი, დრო და ენერგია.

6.4. სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად, მოსარჩელეს ა-ბის კუთვნილი

1/3 წლის შესყიდვის უპირატესი უფლება ჰქონდა, რაც მისივე მითითებით, ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ ა-ები თავიანთ წილს მოსარჩელის გარდა სხვა პირზე ვერ გაასხვისებდნენ. სინამდვილეში კი, კასატორის აზრით, სადავო ქონებაზე წილის უპირატესი შესყიდვის უფლება მოსარჩელემ დაკარგა მას შემდეგ, რაც თავისი წილი ქონება გაასხვისა მოპასუხეზე და ეს უფლება ავტომატურად გადავიდა მყიდველზე (მოპასუხეზე). ამასთან, მოპასუხე არასდროს ყოფილა ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს სადავო ბინის 1/3 ნაწილის უპირატესი შესყიდვის უფლება ჰქონდა. ამის შესახებ არც მოსარჩელეს უთქვამს მისთვის და აღნიშნულის თაობაზე მხოლოდ სარჩელის აღძვრის შემდგომ შეიტყო. უპირატესი შესყიდვის უფლების არსებობა არ ნიშნავს შესყიდვას, რადგან ა-ბსა და მოსარჩელეს შორის არასოდეს გაფორმებულია ნასყიდობის ხელშეკრულება და არც თანხის გადახდის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება წარმოდგენია მოსარჩელეს.

6.5. სასამართლოები არასწორად აყენებენ ეჭვქვეშ მოპასუხის მიერ ა-ვის ნასყიდობის თანხის გადახდას და არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ, რომ არა თანხის მათთვის გაგზავნა, ა-ები სრულიად უცხო ადამიანის სახელზე არ გასცემდნენ მინდობილობას და არ მისცემდნენ მას ქონების საკუთრებაში დარეგისტრირების უფლებას. სასამართლოებმა ასევე არ გაითვალისწინეს მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მოპასუხემ ნასყიდობის თანხა ა-ებს ქ. მოსკოვში გაუგზავნა ავტობუსის მძღოლის მეშვეობით.

6.6. თავდაპირველად სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა შედგებოდა შემდეგი წევრებისგან: მ. გ-ლი, დ. ბ-ლი და ქ. დ-ქე. 2020 წლის 8 ოქტომბერს მოსამართლე ქ. დ-ქე ჩაანაცვლა ო. ს-ამ, რომელსაც საქმე ფაქტობრივად არ მოუსმენია, არც სასამართლოს დაუწყია საქმის განხილვა მოსამართლის შეცვლის გამო, რის გამოც დაირღვა საპროცესო სამართლებრივი ნორმები (საქმის მოსმენა სასამართლოს უნდა დაეწყო თავიდან მოსამართლის შეცვლის გამო).

7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

7.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 26 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად

7.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაა-

ნალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

8. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

9. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კასატორს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი.

10. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (სუსგ საქმე №ას-251-2018, 08.02.2022 წ.).

11. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორ-

მების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აცხადებს რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრვენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადანყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (იხ.: სუსგ საქმე №ას-1163-2018, 08.02.2019 წ.; საქმე №ას-495-2020, 23.10.2020 წ.).

12. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის შეფასების საგანი სადავო ხელშეკრულებების, როგორც მოჩვენებითი გარიგებების ბათილად ცნობის სამართლებრივი წინაპირობების არსებობის შემოწმებაა. კერძოდ, სადავოა მოსარჩელესა და მოპასუხეს, ასევე მოპასუხესა და ა-ებს შორის გარიგებების დადებისას მხარეთა ნების გამოვლენის ნამდვილობა, რადგან მოსარჩელე სწორედ დასახელებული გარიგებების ბათილად ცნობასა და სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენას ითხოვს.

13. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის ზემოაღნიშნული მოთხოვნა აღიარებითი ხასიათისაა და საკითხის გადანყვეტისას, ბათილობის საფუძვლის არსებობასთან ერთად, უნდა არსებობდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული მოსარჩელის მოთხოვნის ნამდვილი იურიდიული ინტერესი. „დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო შეამოწმებდეს სარჩელის საფუძვლიანობას, მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას?... სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს რომელთაც განეკუთვნება შემდეგი: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებები; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული

შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირლევა“ (იხ. სუსგ №ას-838-802-2014, 19/03/2015წ.).

14. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიზანია სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენა (მიკუთვნებითი მოთხოვნა), შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში, შესამოწმებელია უძრავ ნივთზე დადებული თითოეული გარიგების ბათილად ცნობის მიმართ არსებობს თუ არა მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი.

15. პირველ რიგში, საკასაციო სასამართლო შეაფასებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების საფუძვლიანობას მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2016 წლის 5 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის ნაწილში და ამ მიზნით, მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილ და მხარეთა მიერ შეუდავებელ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

15.1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 27 ივლისის ამონაწერის მიხედვით, სადავო უძრავი ქონების 2/3 წილის მესაკუთრეა მოსარჩელე, ხოლო 1/3 ნაწილისა – ა-ები;

15.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 ივნისის დაუსრულებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი ა-ბის მიმართ აუქციონის გზით საზიარო უფლების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა. დადგინდა საზიარო უფლების გაუქმება მხარეთა შორის მათ თანასაკუთრებაში არსებულ სადავო უძრავ ქონებაზე საზიარო საგნის აუქციონზე იძულებითი რეალიზაციის გზით და განისაზღვრა, რომ საზიარო საგნის გაყიდვით ამონაგები თანხა მათ შორის უნდა განაწილებულიყო კუთვნილი წილების მიხედვით, შესაბამისად, ამონაგები თანხიდან მოსარჩელეს მიეკუთვნებოდა 2/3 წილი, ხოლო ა-ებს – 1/3 წილი. მოსარჩელის სარჩელი ა-ის მიმართ წილის უპირატესი შესყიდვის უფლების დადგენის შესახებ მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

15.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის დაუსრულებელი გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება წილზე უპირატესი შესყიდვის უფლების დადგენაზე უარის თქმის ნაწილში და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს მიეცა სადავო უძრავი ქონებიდან ა-ის კუთვნილი 1/3 წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში;

15.4. 2016 წლის 5 მაისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხემ სადავო უძრავი ქონებიდან იყიდა მოსარჩელის კუთვნილი

2/3 წილი და აღრიცხა მის საკუთრებად.

16. მოსარჩელე ზემოაღნიშნული გარიგების მოჩვენებით ხასიათზე მიუთითებს. მოჩვენებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის საკითხს კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი არეგულირებს, რომლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს.

17. დასახელებული ნორმის მიხედვით, გარიგების მოჩვენებით ხასიათს განაპირობებს მხარეთა განზრახვა, გარიგების დადებით მიაღწიონ მიზანს, რომელიც არ შეესაბამება ამ გარიგების შინაარსიდან გამომდინარე, იურიდიულ შედეგს. ამდენად, მოჩვენებითი გარიგების დადებით ორივე მხარე მოქმედებს საერთო მიზნით და ურთიერთშეთანხმებით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან მათი მოტყუების, პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებისა თუ სხვა მიზნით.

18. ამასთან, როგორც ნესი, მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი მისი არანამდვილობის გამო, წარმოადგენს იმ არსებითი ხასიათის ნაკლს, რაც გამორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. შესაბამისად, ის ფაქტი, რომელიც მიუთითებს სადავო გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობაზე, უნდა დაამტკიცოს მან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება (იხ. სუსგ საქმე №ას-862-812-2015, 11.11.2015წ.).

19. მოსარჩელის განცხადებით, მას არასდროს ჰქონია საკუთარი წილის გასხვისების მიზანი, პირიქით, სურდა როგორც უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს, სადავო ქონებიდან შეეძინა ა-ის კუთვნილი წილი, რის გამოც, მოპასუხის თხოვნით და იმ მიზნით, რომ მოპასუხე დაეხმარებოდა ა-ის წილის შესყიდვაში, გააფორმა კიდევ აღნიშნული ფიქტიური ხელშეკრულება.

20. იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას.

21. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში სააპელაციო პალატამ მართებულად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლები, სამოქალაქო კოდექ-

სის 50-ე-56-ე მუხლები, ამავე კოდექსის 429-ე, 477-ე, 624-ე მუხლები, ასევე მართებულია განახორციელა ის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც, მხარეთა თანასწორუფლებიანობის პირობებში, საჭირო იყო საქმის გარემოებათა დადგენისა და, მხარეთათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთის შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისათვის.

22. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის აპელირებას იმის შესახებ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და ნების გამოხატვა გარიგების შინაარსსა და თანხის მიღებაზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად მიჩნევის საკმარისი საფუძველია. იმ პირობებში, როდესაც დავა წარმოშობილია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან და სადავოა მყიდველის მიერ შეთანხმებული ფასის გადახდის ფაქტი, ამასთან, საქმეში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რომელიც აღნიშნული თანხის მოსარჩელისთვის გადახდას დაადასტურებს, ხოლო მოპასუხე თავისივე ახსნა-განმარტებებით ეწინააღმდეგება ხელშეკრულებაში არსებულ ჩანაწერს (გარიგების დადებისას მყიდველის მიერ ნასყიდობის თანხის სრულად გადახდის შესახებ), ასევე, წინააღმდეგობრივია საქმეზე მოწმის სახით დაკითხულ პირთა ჩვენებებიც, საკასაციო პალატა თვლის, რომ მართებულია ქვედა ინსტანციების სასამართლოების დასკვნა სადავო გარიგების ფიქტიურად მიჩნევის შესახებ.

23. რაც შეეხება მოპასუხესა და ა-ებს შორის ა-ის კუთვნილ 1/3 ნაწილზე 2016 წლის 16 ივნისს დადებული ხელშეკრულების ბათილობის საკითხს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნას ამ ნაწილში უნდა ეთქვას უარი შემდეგ გარემოებათა გამო: როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იმისათვის, რათა სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ამ მხრივ, მართალია, დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების გარეშე, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას მოპასუხესა და ა-ბს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე იურიდიული ინტერესის არარსებობის საფუძველით. იურიდიული ინტერესი არ განისაზღვრება მხოლოდ პირის სუბიექტური დამოკიდებულებით, ანუ მხოლოდ მისი სურვილით, არამედ აუცილებელია მისი ობიექტური მხარეც. ობიექტური თვალსაზრისით, ინტერესი მოიცავს შედეგებს, რომელიც კონკრეტული მოთხოვნა

ნის დაკმაყოფილების შედეგად ობიექტურად მიღწევადი უნდა იყოს.

24. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია და არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ა-ბის კუთვნილ 1/3 ნაწილზე მოსარჩელეს მოპოვებული აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება. სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება, თუ ვალდებული პირი მესამე პირთან დებს მოცემული ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას. ამავე კოდექსის 517-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს მესამე პირებთან.

25. აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, უპირატესი შესყიდვის უფლება გარკვეულწილად ზღუდავს სახელშეკრულებო თავისუფლებას, თუმცა ეს შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირსა და ვალდებულ პირს შორის სამართლებრივ ურთიერთობებზე და, შესაბამისად, აღნიშნული უფლების დარღვევით თანასაკუთრებაში არსებული ნივთის გასხვისება მესამე პირზე ამ გაროგების ბათილობას არ იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-154-579-06, 21 ნოემბერი, 2006 წელი).

26. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 518-ე მუხლს, ეს ნორმა აწესებს, რომ ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის არსებული შეთანხმება ბათილია, თუ ამით ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებული ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე, ან ვალდებულ პირს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი გამოუყენებული იქნება უპირატესი შესყიდვის უფლება. მითითებული ნორმა ადგენს არა ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის დადებული უპირატესი შესყიდვის უფლებით დატვირთული ნივთის ნასყიდობაზე ხელშეკრულების ბათილობას, არამედ ამ პირებს შორის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე შეთანხმების ბათილობას.

27. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელესა და მოპასუხეს (საკასაციო საჩივრის ავტორს) შორის ამგვარი შეთანხმება დადგენილი არ არის და იგი არც წარმოადგენს დავის საგანს. ამდენად, ვალდებული პირის მიერ ნივთის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ შეტყობინების მოვალეობის დარღვევა არ იწვევს იმავე ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში კანონით შესაძლებელია ვალდებული (უფლების დამრღვევი) პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (იხ. სუსგ საქმე №ას-154-579-06, 21 ნოემბერი, 2006 წელი).

28. ზემოაღნიშნული განმარტებებისა და დადგენილი ფაქტობრივი

გარემოებების მხდველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო ას-
კვნის, რომ არ არსებობს მოპასუხესა და ა-ბს შორის დადებული გარი-
გების ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. ამას-
თან, თუნდაც დგინდებოდეს აღნიშნული გარიგების მოჩვენებითობა,
ამ მოტივით მისი ბათილად ცნობის პირობებშიც კი, ვერ მიიღწევა მო-
სარჩელის იურიდიული ინტერესი – უძრავ ნივთზე საკუთრების უფლე-
ბის აღდგენა. შესაბამისად, რომც დაეუშვათ ვარაუდი ამ ნაწილში სარ-
ჩელის წარმატების თაობაზე, იგი მატერიალური სარგებლის მომტანი
მოსარჩელისთვის მაინც ვერ იქნება.

29. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იურიდიულად დაუ-
საბუთებელია გასაჩივრებული განჩინება 2016 წლის 16 ივნისის ნასყი-
დობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში, რაც სსსკ-ის 394-ე
მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ნაწილში მისი გაუქმების საფუძ-
ველია.

30. საკასაციო პალატა ასევე შეაფასებს კასატორის იმ მოსაზრებას,
რომლითაც იგი სადავოდ ხდის ქვედა ინსტანციის სასამართლოების მი-
ერ საპროცესოსამართლებრივი ნორმების დარღვევას.

31. კასატორის განცხადებით, საქმის განხილვისას ა-ები არ იყვნენ
მონვეული კანონით დადგენილი წესით, მათ არც სარჩელი ჩაბარებით
და არც შესაგებელი წარმოდგენიან. აღნიშნული პრეტენზიის საპი-
რისპიროდ კი, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქალაქო სასამარ-
თლოს 2018 წლის 22 ნოემბერის მთავარი სხდომის ოქმზე, რომლითაც
დგინდება, რომ ა-ის წარმომადგენელი, ნ. გ-ლი ესწრებოდა სასამარ-
თლო სხდომას და იცავდა საკუთარი მარწმუნებლების ინტერესებს. მისი
განცხადებით, ა-ბს სარჩელზე შესაგებელი არ წარუდგენიათ, თუმცა
უდავოდ ხდიდნენ სარჩელში მითითებულ ყველა ფაქტობრივ გარემო-
ებას.

32. უსაფუძვლოა, ასევე, საკასაციო საჩივრის ავტორის პრეტენზია
იმის შესახებ, რომ საქმეში წარდგენილი რწმუნებულება არ იყო გაცე-
მული მ. ა-ვას (კ-ას) მიერ, რაც აღნიშნული მინდობილობის ბათილად
ცნობის საფუძველს ქმნიდა. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო
სასამართლოს დასკვნას, რომ მითითებული მოთხოვნის განხილვა მხო-
ლოდ სპეციალური წარმოების ფარგლებშია შესაძლებელი და არსები-
თად სცდება წინამდებარე დავის ფარგლებს.

33. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ საქმის
განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლის ცვლილებით სააპელაციო პა-
ლატამ დაარღვია საპროცესოსამართლებრივი ნორმები, საკასაციო სა-
სამართლო ვერც აღნიშნულს გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:
საქმის მასალებით არ დგინდება და ვერც საკასაციო საჩივრის ავტორი
ადასტურებს, რომ საქმის განხილვაში ჩაბმულმა ახალმა მოსამართლემ

გადაწყვეტილება მიიღო საქმის მოსმენის გარეშე. ამ მსჯელობის საპირისპიროდ, სასამართლო მიუთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ოქტომბრის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმზე, რომლითაც ირკვევა, რომ მითითებულ პროცესზე მოსამართლე ქ. დ-ძე ჩაანაცვლა მოსამართლე ო. ს-ამ, რომელმაც დანარჩენ მოსამართლეებთან ერთად მიიღო მონაწილეობა საქმის არსებით განხილვაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს კოლეგიურმა შემადგენლობამ, მართალია, იმავე დღეს, 2020 წლის 8 ოქტომბერს დაასრულა საქმის განხილვა, თუმცა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადო 2020 წლის 15 ოქტომბერს, საბოლოოდ კი, სარეზოლუციო ნაწილი 2020 წლის 28 ოქტომბერს გამოცხადდა. ამდენად, მხარის მხოლოდ მითითება, რომ საქმის განხილვაში ჩაბმულ ახალ მოსამართლეს საქმე ფაქტობრივად არ მოუსმენია, ვერ მიიჩნევა იმგვარ დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად, რაც წარდგენილი პრეტენზიის დაკმაყოფილებისა და ამ საფუძვლით გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

35. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 ოქტომბრის განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას მოპასუხესა და ა-ებს შორის 2016 წლის 16 ივნისს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე.

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწი-

ეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

37. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 3 670 ლარი, ხოლო მოსარჩელის მიერ საქალაქო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 1 000 ლარი უნდა დარჩეს ბიუჯეტში.

38. კასატორმა საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა მტკიცებულებები. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე [საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები] და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. იმავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე, 408-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა:

1. ი. ფ-ის საკასაციო საჩივარი, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 ოქტომბრის განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით:

2.1. გ. თ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მოსარჩელეს

უარი ეთქვას ერთი მხრივ ი. ფ-ეს და მეორე მხრივ მ. კ-სა და გ. ა-ვს შორის, 2016 წლის 16 ივნისს გაფორმებული უძრავი ქონების 1/3 ნაწილის /ქ. თბილისი, ... ქუჩა №..., ბ. №..., სკ: .../ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე;

3. გ. თ-ის მიერ საქალაქო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 1 000 ლარი დარჩეს ბიუჯეტში;

4. გ. თ-ლს ი. ფ-ის სასარგებლოდ დაეკისროს, ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 3 670 ლარი;

5. ი. ფ-ეს დაუბრუნდეს მიერ მიერ წარმოდგენილი, ახლად მოპოვებული მტკიცებულებები.

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თვალთმაქცური გარიგება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1090-2021

18 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: რ. ნადარაია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე,
ლ. ქოჩიაშვილი**

დავის საგანი: გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადგენა, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2016 წლის 14 აპრილს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში მ. ბ-ემ (შემდეგში: მოსარჩელემ) სარჩელი აღძრა ო. ჭ-ის (შემდეგში: მოპასუხის) მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:

– ბათილად იქნეს ცნობილი 2016 წლის 05 თებერვალს, მხარეებს – მ. ბ-ესა და ო. ჭ-ლს შორის გაფორმებული, უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა – მდებარე, ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ №...) ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულება და ქონებაზე მესაკუთრედ ცნობილ იქნეს მ. ბ-ემ (აღუდგეს საკუთრების უფლება საცხოვრებელ ბინაზე მდებარე, ქ. ბა-

თუმი, ... ქ. №..., ს/კ: №...).

– დადებულად იქნეს აღიარებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (ანუ აღიარებულ იქნეს ის ფაქტი, რომ მოსარჩელე მ. ბ-ესა და მოპასუხე ო. ჭ-ლს შორის ადგილი ჰქონდა არა საცხოვრებელი ბინის ნასყიდობას გამოსყიდვის უფლებით, არამედ სასესხო ურთიერთობას და განხორციელდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში იპოთეკის რეგისტრაცია საცხოვრებელ ბინაზე, მდებარე ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ №... – სესხის ოდენობად განსაზღვრული/აღიარებული იქნეს 10 700 აშშ დოლარი, ხოლო სესხის საპროცენტო (ყოველთვიურ) განაკვეთად დადგინდეს 3.5% – სესხის ვადად განსაზღვრულ იქნეს 02 თვე.

1.1. სარჩელი დაეფუძნა შემდეგ გარემოებებს:

– საცხოვრებელი სახლი, მდებარე, ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ №..., მოსარჩელე მ. ბ-ემ 1999 წლის 02 მარტს მემკვიდრეობით მიიღო და აღნიშნულ სახლში დღემდე თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს. უსახსრობის გამო, აღნიშნული სახლი ამჟამად გაქირავებული აქვს, ხოლო თვითონ მამიდაშვილთან, თავისი ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს. ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ სახლში რეგისტრირებულნი არიან მ. ბ-ის ოჯახის წევრები, იხდიან კომუნალურ გადასახადებს;

– 2016 წლის 05 თებერვალს, მხარეებს – მ. ბ-სა და ო. ჭ-ლს შორის უძრავი ქონების ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც მ. ბ-ემ ო. ჭ-ს აგან სესხის სახით 10700 აშშ დოლარი მიიღო. ეს ხელშეკრულება 2016 წლის 05 თებერვალს რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ფაქტიურად სესხი (და არა ნასყიდობა-გამოსყიდვა) გაცემულ იქნა 02 თვის ვადით – 2016 წლის 05 აპრილამდე;

– მოპასუხე ო. ჭ-მა 2016 წლის 06 აპრილს უძრავ ქონებაზე ამონაწერი განაახლა, სადაც ვალდებულების ნაწილში, მ. ბ-ის მხრიდან საცხოვრებელი სახლის გამოსყიდვის უფლება მითითებული აღარ არის;

– მოპასუხე ო. ჭ-ლი ფაქტიურად უძრავი ქონების მესაკუთრე გახდა, ხოლო მ. ბ-ეს კი, არანაირი უფლება ამ ქონებაზე არ გააჩნია;

– ო. ჭ-მა სესხის სახით მ. ბ-ეს ფაქტიურად 8200 აშშ დოლარი გადასცა, ნაცვლად 10700 აშშ დოლარისა, რადგან დარჩენილი 1500 აშშ დოლარი წინასწარ დაიტოვა, როგორც საპროცენტო განაკვეთი;

– მ. ბ-სა და მის ოჯახს სხვა საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია და მისი ოჯახი ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ რჩება;

– 2016 წლის 07 აპრილს, მაშინ როდესაც მოსარჩელემ ბათუმის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, მოპასუხემ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა განცხადებით უძრავი ნივთის გასხვისების მოთხოვნა.

ნით და გადაიხადა 205 ლარი, იმისთვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაესხვისებინა სადავოდ გამხდარი უძრავი ქონება;

– მოსარჩელის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ნასყიდობის საგანი მყიდველის მფლობელობაში არ გადასულა და მხოლოდ 4-5 თვის შემდეგ, პატრულის მეშვეობით (მაკლერის მეუღლე პატრულის თანამშრომელია) გამოასახლა მოპასუხემ მოსარჩელე. 10700 აშშ დოლარი იყო სესხის თანხა, რაც მოსარჩელეს სრულად არ მიუღია;

– მოპასუხემ, გაიგო რა მოსარჩელის მხრიდან სასამართლოში უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართვის თაობაზე, დაუყონებლივ გამოძებნა „ვითომ მყიდველი და მას მოჩვენებითი ნასყიდობა გაუფორმა. არც კი შეეცადა, რომ დამატებითი ვადა მიეცა მოსარჩელისათვის, გაეფრთხილებინა მაინც. ესეც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ მას ქონება არ უყიდია და არ სჭირდებოდა;

– წარმოდგენილი აუდიტის დასკვნით, სადავო ქონება 30000 აშშ დოლარი ღირს. რატომ გაყიდდა მას მოსარჩელე 8200 ან თუნდაც 10700 აშშ დოლარად, მაშინ, როცა ქონება ძველ ბათუმში მდებარეობს და ღირებულება უძრავ ქონებაზე მზარდია, ყოველთვის მატულობს. შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება მოპასუხემ შენილბა ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულებით, რაც თვალთმაქცური გარიგებაა;

– სესხისა და იპოთეკის ნაცვლად გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობა გაფორმდა იმიტომ, რომ ამით მყიდველმა უფრო მყარი გარანტია მიიღო;

– ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულება ხელმოწერილია მოსარჩელის მიერ, თუმცა ნოტარიუსმა დაადასტურა მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობა და უფლება-მოვალეობები არ განუმარტავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მაკლერი ქ. ბ-ძე ნოტარიუსთან მაკლერის სახით არ წარდგენილა, ის იყო მოპასუხე ქ-ის წარმომადგენელი და დღესაც ამ სადავო ფართს ის განაგებს.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

– მოსარჩელე და მისი ოჯახის წევრები სადავო ბინაში არ ცხოვრობენ. ბინა გაქირავებულია და ქირას მოპასუხე ღებულობს, რაც პირდაპირ მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ შემძენი დაეუფლა საკუთრებაში რიცხულ უძრავ ნივთს;

– 2016 წლის 05 თებერვალს, მ. ბ-ესა და ო. ქ-ლს შორის ნამდვილად გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, თუმცა, არანაირი სასესხო სამართლებრივი ურთიერთობები მხარეთა შორის არ ყოფილა და 10700 აშშ დოლარი იყო ნასყიდობის საფასური და არა სესხის სახით გაცემული თანხა;

– ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით და არა ფაქტიურად სესხი, როგორც ამას მოსარჩელე მცდარად მიუთითებს, გაფორმებული იქნა 02 თვის ვადით და გამოსყიდვის უფლება მოსარჩელეს მიეცა 2016 წლის 05 აპრილამდე;

– მოპასუხემ მიუთითა, რომ მასსა და მ. ბ-ძეს შორის გაფორმდა გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულება და მოცემულ შემთხვევაში, სესხი და პროცენტი არაფერ შუაშია. ნასყიდობის საფასური 10700 აშშ დოლარი მოპასუხემ სრულად გადასცა მოსარჩელეს;

– მოპასუხემ მიუთითა, რომ ნასყიდობის საფასური 10700 აშშ დოლარი მხარეთა მიერ შეთანხმებული შესყიდვის საფასურია და სასამართლო არ არის უფლებამოსილი მხარეებს განუსაზღვროს, რა ფასში, ვისთან და როგორი სახის გარიგება დადონ;

– მოპასუხის განმარტებით მან ნასყიდობის საგანი მიიღო, თავად აქვს გაქირავებული და ეს ნიშნავს, რომ არის მისი მფლობელიც;

– ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოსყიდვის ვადა – 2 თვე გავიდა, მყიდველი სრულუფლებიანი მესაკუთრე გახდა და ის უფლებამოსილი იყო გაესხვისებინა მის საკუთრებაში არსებული ქონება. ნასყიდობის საგანი მყიდველის მფლობელობაში გადავიდა მოსარჩელის გამოსახლების გარეშე, მოსარჩელე იქ არ ცხოვრობს. ამის შემდეგ მოპასუხემ გააქირავა ქონება;

– მოსარჩელეს ადრეც ჰქონდა სესხისა და იპოთეკის თაობაზე ამ ქონების მიმართ გარიგებები, ქონება საცხოვრებლად უვარგისია, არ აქვს სველი წერტილები და მოსარჩელის წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაც შეფასებაზე არაობიექტურია;

– ქონების მისამართზე აბონენტი არ შეცვლილა, თუმცა, კომუნალურ გადასახადებს მოპასუხე იხდის.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით, მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მ. ბ-ესა და ო. ჭ-ლს შორის 2016 წლის 05 თებერვალს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით და დადგენილ იქნა 2016 წლის 05 თებერვალს, მ. ბ-ესა და ო. ჭ-ლს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება შემდეგი პირობებით: 1) სესხის ოდენობა – 10700 აშშ დოლარი, სესხის თვიური საპროცენტო სარგებელი/პროცენტი – 3,5%, სესხის ვადა – 02 თვე; 2) სესხის უზრუნველყოფის საშუალება – იპოთეკა უძრავი ქონებაზე, მდებარე: ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ ...; უძრავი ქონება, მდებარე: ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ №..., აღირიცხა მ. ბ-ის საკუთრებაში და მასზე დარეგისტრირდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ო. ჭ-ის სასარგებლოდ.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩივრა ო. ჭ-მა, რომელმაც გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებით, ო. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და მ. ბ-ის სარჩელი 2016 წლის 5 თებერვალს, მ. ბ-ესა და ო. ჭ-ლს შორის (ქ. ბათუმში ... ქ. №...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე) დადებული ნასყიდობის (გამოსყიდვის უფლებით) ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ამავდროულად უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ აღიარების, სესხისა და იპოთეკის სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის მოთხოვნით – არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის განწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. 2016 წლის 05 თებერვალს, მ. ბ-ესა და ო. ჭ-ლს შორის გაფორმდა უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა – მდებარე, ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ: ...) ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. გამოსყიდვის ვადად განისაზღვრა 02 თვე და გამოსყიდვის უფლება გამყიდველს (მოსარჩელეს) 2016 წლის 05 აპრილამდე მიეცა.

6.2. გამყიდველმა (მოსარჩელემ) დადგენილ ვადაში ვერ გამოისყიდა ქონება, ვერ გადაუხადა თანხა მოპასუხეს, რის საფუძველზეც მეორე დღეს – 2016 წლის 06 აპრილს, მოპასუხემ საჯარო რეესტრს განცხადებით მიმართა და ო. ჭ-სა და მ. ბ-ეს შორის, 2016 წლის 05 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ უძრავ ნივთზე, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეწყვეტის რეგისტრაცია მოითხოვა.

6.3. სადავო უძრავ ნივთზე, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეწყვეტა (გამოსყიდვის უფლების შეწყვეტა) საჯარო რეესტრის სამსახურმა 2016 წლის 06 აპრილს დაარეგისტრირა, ხოლო მეორე დღეს, 2016 წლის 07 აპრილს, უკვე მესაკუთრემ (მოპასუხემ) უძრავი ნივთის ი. თ-ზე გასხვისების მოთხოვნით, განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს;

6.4. 2016 წლის 06 აპრილს, მხარეთა შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ და მას მხარეები ხელს აწერენ.

6.5. საკუთრების სრული უფლების მოპოვებისა და ამ უფლების რე-

გისტრაციის შემდეგ, მოპასუხე დაეუფლა და დღემდე ფლობს ნასყიდობის საგანს. უფრო მეტიც, მას გაქირავებული აქვს ეს უძრავი ნივთი და იღებს შემოსავალს.

6.6. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის თანახმად, ქონების საბაზრო ღირებულება საშუალოდ 30000 აშშ დოლარს შეადგენს.

6.7. მოწმე ქ. ბ-ის ჩვენების მიხედვით, იგი მუშაობს მაკლერად უძრავი ქონების სააგენტოში. 2010 წლიდან იცნობს მოსარჩელის ოჯახს. მოსარჩელეს, ადრე არაერთხელ ჰქონდა სესხი აღებული და იპოთეკით დატვირთული ეს ქონება. უძრავი ქონება არის ჩვეულებრივი ხის სახლი, რომელსაც სველი წერტილები არ გააჩნია, არიან მეზობლები და მისი (ქ. ბ-ის) სველი წერტილებით სარგებლობს. 2013 წელს მოხდა მ-ის გამოსახლება, სახლში მესამე პირები ცხოვრობენ და მოპასუხის თხოვნით ყურადღებას აქცევს ქონებას. სადავო ხელშეკრულება გაფორმდა ნოტარიუსში იმიტომ, რომ ნოტარიუსი უმარტავს მხარეებს უფლებამოვალეობებს. ნასყიდობის ფასს 10700 აშშ დოლარს გამოაკლდა საშუაშეკრულების გაფორმებას როგორც მაკლერი.

6.8. მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე დაკითხული მოწმის – ნ. უ-ის განმარტების თანახმად, იგი არის მოსარჩელის ძმის ცოლი. მ. ბ-ეს ესაჭიროებოდა ფული, რის გამოც ქ. ბ-ის დახმარებით ისესხა სხვისგან. თვითონ არ ესწრებოდა გარიგების დადებას, თუმცა ქონებაში ადრე ინვესტორი 32000-35000 აშშ დოლარსაც სთავაზობდა და ასე იაფად მოსარჩელე ქონებას მოპასუხეზე არ გაყიდდა. ეს ყველაფერი მან მისი მაზლისგან იცის.

6.9. სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ე.წ. იტალიურ ეზოს, რომელსაც მხარეთა განმარტებით სამი თანამესაკუთრე ჰყავს. მოდავე მხარეებთან ერთად, ერთ-ერთ მესაკუთრეს წარმოადგენს ეზოს შესასვლელთან მარცხენა მხარეს განთავსებული ავტოსამრეცხაოს მეპატრონეც. თავად საცხოვრებელი ფართი, რომელიც არის მხარეებს შორის დავის ობიექტი, განთავსებულია ეზოს შიგნით, იზოლირებულად (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 02 აპრილის ადგილზე დათვალიერების ოქმი); არის მოუწესრიგებელი შენობა, სველი წერტილების გარეშე. ოთახებში განთავსებულია ძველი, მოსახმარად თითქმის უვარგისი საყოფაცხოვრებო ნივთები: ძველი მაგიდა, კარადა, სკამი.

6.10. სააპელაციო პალატის შეფასებით, განსახილველ საკითხს, ხელშეკრულების დადების მომენტში, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნების დადგენა წარმოადგენდა. პალატის განმარტებით, მხოლოდ

ის გარემოება, რომ სადავო გარიგების დადების დროს მოსარჩელეს სურდა (ანცობდა) სესხის ხელშეკრულების დადება, მაგრამ ამაზე მოპასუხე არ დაეთანხმა და ამიტომ გაფორმდა ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულება, არასაკმარისი იყო ამ გარიგების ბათილად ცნობისათვის იმ პირობებში, როცა არ დგინდებოდა მოპასუხის ნება – სესხის არსებობის დადგენაზე. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მოსარჩელეს ამგვარ გარემოებებზე (რომ მოპასუხესაც სურდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება), საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ მიუთითებია.

6.11. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოპასუხის მიერ სასამართლოსთვის მიცემულ განმარტებაზე, რომლის მიხედვით, მის ინტერესებში არ შედიოდა თანხის სესხად გაცემა, მას სურდა უძრავი ნივთის შეძენა და არ იყო თანახმა მოსარჩელესთან დადებულიყო სესხის ხელშეკრულება. ეს გარემოება სარჩელში თავად მოსარჩელის მიერაც არის დადასტურებული, სადაც მოსარჩელე განმარტავს, რომ მან მოპასუხისგან მიიღო სესხის სახით 10 700 აშშ დოლარი. მოპასუხემ სესხის ხელშეკრულების გაფორმება არ მოინდომა, შესაბამისად, მოსარჩელე იძულებული გახდა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე დათანხმებულიყო.

6.12. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მხარეთა შორის შეთანხმებულ, უძრავი ქონების გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ნების გამოვლენას ადასტურებდა მონმე ქ. ბ-ის ჩვენებაც, რომელიც მიუთითებდა, რომ მისი, როგორც „მაკლერის“ უშუალო მონაწილეობითა და შუამავლობით დაიდო სადავო ხელშეკრულება და მხარეები ქონების ნასყიდობაზე (გამოსყიდვის უფლებით) შეთანხმდნენ.

6.13. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სესხისა და იპოთეკის თაობაზე მხარეთა შეთანხმების (დაფარული გარიგების) არსებობის მტკიცება მოსარჩელეს ეკისრებოდა; მას უნდა წარმოედგინა მტკიცებულებები და დამტკიცებინა, რომ მხარეებს შორის არსებობდა სესხისა და იპოთეკის გარიგება. ამ გარემოების დამტკიცება შესაძლებელი იყო სესხის ხელშეკრულებით, სესხის სახით თანხის გადაცემის ან მიღების ხელწერილით, ვალის აღიარების ხელშეკრულებით, პროცენტის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებით ან სხვა მტკიცებულებებით, თუმცა, მოსარჩელეს ასეთი მტკიცებულებები სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია. პალატის განმარტებით, მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა ძირითადად ორ ფაქტობრივ გარემოებაზე დააფუძნა, კერძოდ: 1) სადავო ქონების საბაზრო ღირებულება (აუდიტის დასკვნით 30000 აშშ დოლარი) თითქმის სამჯერ აღემატებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებით შეთანხმებულ ღირებულებას 10700 აშშ დოლარს და ასე დაბალ ფასად იგი ქონებას არ გაასხვისებდა; 2) მოპასუხე შეძე-

ნილ ნივთს რეალურად არ დაუფლება.

6.14. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება უძრავი ნივთის ნასყიდობის საგნის მყიდველის მფლობელობაში დაუყოვნებლივ გადასვლის სავალდებულობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ გამოსყიდვის უფლებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პრაქტიკული დანიშნულება სწორედ ისაა, რომ გამყიდველი გამოსყიდვის ვადაში შესაძლებელია უშუალოდ ფლობდეს ნასყიდობის საგანს, ვინაიდან მასზე არ ვრცელდება შემძენის აბსოლუტური საკუთრების უფლება და მისი რეალიზება დამოკიდებულია შემძენის მოქმედებაზე – გამოიყენებს თუ არა გამოსყიდვის უფლებას. ამდენად, პალატის შეფასებით, უსაფუძლო იყო მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების დადებისთანავე არ მომხდარა ბინის გაცემა მყიდველზე, ვინაიდან, ეს გარემოება არ წარმოადგენდა კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული იყო გამოსყიდვის უფლებით იმ პირობით, რომ ბინის 2 თვიანი გამოსყიდვის ვადაში, გამყიდველს ოჯახთან ერთად უნდა ეცხოვრა სადავო ბინაში და თუკი 02 თვიან ვადაში იგი ვერ გამოისყიდდა მას, მაშინ მოპასუხე ხდებოდა სრულუფლებიანი მესაკუთრე საჯარო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციით, რაც გათვალისწინებული იყო სადავო ხელშეკრულებით. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ შეძლო ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ბინის გამოსყიდვა, თანხის (ნასყიდობის საფასურის) მყიდველისათვის დაბრუნება, რის გამოც მოპასუხემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით მიმართა საჯარო რეესტრს და აღირიცხა ნასყიდობის საგნის სრულუფლებიან მესაკუთრედ. პალატის განმარტებით, არც ნასყიდობის შედარებით დაბალი ფასია – გარიგების მოჩვენებითობის – შესაფასებლად ბათილობის საფუძველი. ამასთან, ადგილზე ნანახისა და ვიზუალური დათვალიერებით, სააპელაციო პალატას არ შეექმნა რწმენა და დასაბუთებული ვარაუდი ნასყიდობის საგნის ფასის არაგონივრულობასთან დაკავშირებით.

7. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება მოითხოვა.

კასატორის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7.1. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. კერძოდ, კასატორის განმარტებით სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – ადამიანის უფლე-

ბათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლი, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი და არასწორად განმარტა კანონი – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 56-ე, 81-ე-83-ე, 286-ე, 317-ე, 319-ე, 327-ე და 623-ე მუხლები.

7.2. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიუთითა წინამდებარე საქმეში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს – ო. ჭ-ლს ნამდვილად ჰქონდა ყველა იმ მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება რაც განახორციელა, თუმცა, გარემოებებისა და მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებით, კასატორის მოსაზრებით იკვეთება გარიგების თვალთმაქცური ხასიათის გამო, მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან პასუხისმგებლობის არიდების მცდელობა, რაც მიანიშნებს, რომ მხარეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით რეალურად ნასყიდობის სამართლებრივი შედეგების დადგომაზე ორიენტირებული არ იყო, რადგანაც ხელშეკრულების გაფორმების მიზანი ო. ჭ-ის მხრიდან იყო სესხის დაბრუნებისათვის უფრო მყარი გარანტიის შექმნა, ხოლო, მ. ბ-ეს კი, ფული ესაჭიროებოდა და ხელშეკრულების ფორმალური მხარე მნიშვნელოვნად არ მიიჩნია. ყოველივე ზემოაღნიშნული კასატორის მოსაზრებით, ქმნის დასკვნის საფუძველს, რომ მხარეებმა ნება სესხისა და იპოთეკის გარიგების გაფორმებაზე გამოავლინეს და არა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე.

7.3. ყველაზე მთავარი კასატორის პრეტენზიათა შორის ისაა, რომ ა) ნასყიდობის საგანი მყიდველის მფლობელობაში არ გადასულა (ანუ ნასყიდობის საგანი არ გადასცემია მყიდველს – არ შემდგარა ნასყიდობა) და მხოლოდ 4-5 თვის შემდეგ, პატრულის მეშვეობით (მაკლერის – ქ. ბ-ის მეუღლე პატრულის თანამშრომელია) გამოასახლეს ის მდგმური, რომელიც მ. ბ-ესა და მის ოჯახს საცხოვრებელი ბინის ქირას უხდიდა; ბ) 10700 აშშ დოლარი იყო სესხის თანხა, რაც მოსარჩელეს არ მიუღია სრულად; გ) ო. ჭ-ლი 2 თვის გასვლიდან მე-2 დღესვე ცდილობდა ქონების მესამე პირზე გასხვისებას; დ) მოწინააღმდეგე მხარე არც კი შეეცადა, რომ დამატებითი ვადა მიეცა მოსარჩელისათვის ან გაეფრთხილებინა მაინც; ე) წარმოდგენილი აუდიტის დასკვნით, საცხოვრებელი სახლი 30000 აშშ დოლარის ღირებულებისაა მას კასატორი 8200 ან თუნდაც 10700 აშშ დოლარად არ გაყიდდა; ვ) სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნაცვლად, გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობა გაფორმდა იმიტომ, რომ ამით მყიდველმა უფრო მყარი გარანტია მიიღო. ზ) ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულება ხელმოწერილია მოსარჩელის მიერ, თუმცა ნოტარიუსმა დაადასტურა მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობა

და უფლება მოვალეობები არ განუმარტავს; თ) მაკლერი ქ. ბ-ძე ნოტარიუსთან მაკლერის სახით არ წარდგენილა, ის იყო მოპასუხე ო. ჭ-ის წარმომადგენელი და დღესაც, სადავო ფართს ქ. ბ-ძე განაგებს; ი) მხარეს არც წარმოუდგენია და არც მცდელობა ჰქონია დაედასტურებინა, რომ მაკლერ ქ. ბ-თან რაიმე სახის გარიგება გააჩნდა ნასყიდობის თანხიდან მაკლერის საზღაურის გადახდის თაობაზე; კ) ნასყიდობის საგნის გამოსყიდვის ვადის დროს, 2016 წლის 06 აპრილამდე და მას შემდგომაც, 2016 წლის 16 ივლისამდე, სადავო ქონებას ფლობდა კასატორი, რაც დასტურდება, რომ ამ პერიოდისათვის ნასყიდობი საგანი მყიდველზე – ო. ჭ-ზე არ იყო გადაცემული.

7.4. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არც მოსარჩელის მოწმის – ნ. უ-ის ჩვენება გაითვალისწინა, არც მოპასუხის მოწმის – ქ. ბ-ის ჩვენება და არც ის გარემოება, რომ მართალია მხარეთა შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ და ხელს აწერენ მხარეები, თუმცა, სანოტარო აქტის თანახმად, ნოტარიუსი ადასტურებს ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობას და არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, უფლებამოსილებას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით, მ. ბ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საა-

პელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (სუსგ №ას-2018, 08.02.2022 წ.).

11. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრვენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელ-

ში (სუსგ №ას-1163-2018, 08.02.2019 წ.; №ას-495-2020, 23.10.2020 წ.).

12. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2016 წლის 05 თებერვალს, მ. ბ-სა და ო. ჭ-ლს შორის გაფორმდა უძრავი ქონების (საც-ხოვრებელი ბინა – მდებარე, ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ: ...) ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. გამოსყიდვის ვადად განისაზღვრა 02 თვე და გამოსყიდვის უფლება გამყიდველს (მოსარჩელეს) 2016 წლის 05 აპრილამდე მიეცა. აღნიშნული ხელშეკრულება მოსარჩელის მიერ შედავებულია, როგორც თვალთმაქცური გარიგება, ვინაიდან მისი განმარტებით, სადავო გარიგებით დაფარულ იქნა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება.

13. სადავო საკითხის განხილვის მიზნით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე. ამავე კოდექსის 510-ე მუხლით გამოსყიდვა ხდება თავდაპირველი ფასით. ამასთან, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ის თანხაც, რომლითაც გაიზარდა საქონლის ღირებულება გამოსყიდვის მომენტამდე სასარგებლო დანახარჯების შედეგად, ხოლო გამომსყიდველს შეუძლია მოითხოვოს იმ თანხის გამოკლება, რომლითაც შემცირდა საქონლის ღირებულება მის გამოსყიდვამდე.

14. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობას აქვს გარკვეული თავისებურებანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გამყიდველს უფლება აქვს, დათქმულ ვადაში გამოისყიდოს გასხვისებული ნივთი. ახალ შემძენს უფლება არ აქვს, სასყიდლის მიღებასა და საკუთრების დაბრუნებაზე უარი თქვას. ხელშეკრულების შინაარსი მას ზღუდავს მესაკუთრის აბსოლუტური უფლებით ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს გამოსყიდვის უფლებით შეძენილ ქონებას. იგი გამოსყიდვის ვადით შეზღუდულია და საკუთრების უფლებას შეიძენს გამოსყიდვისათვის დათქმული ვადის გასვლის შემდეგ. თავის მხრივ, გამყიდველსაც დაკისრებული აქვს ვალდებულება გამოსყიდვის ფუნქცია მხოლოდ გამოსყიდვისათვის დათქმულ ვადაში განხორციელოს. თუ ის არ ისარგებლებს გამოსყიდვის ვადაში გამოსყიდვის უფლებით, მაშინ მას უფლება ესპობა ვადის გასვლის შემდგომ გადაიხადოს ღირებულება და ქონება გამოისყიდოს. რა თქმა უნდა, ქონების გამოსყიდვის უფლება მას არ ერთმევა ვადის გასვლის შემდეგაც, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ, ნივთის გაყიდვის უფლება ენიჭება მის ნამდვილ მესაკუთრეს და ის ვალდებული აღარაა იმავე ფასში, ან თუნდაც განსხვავებულ ფასში მიჰყიდოს კუთვნილი ქონება ყოფილ მესაკუთრეს. ეს მისი უფლებაა და მის ნებაზეა დამოკიდებული, გაყიდის თუ არა ქონებას, რომლის გამოსყიდვის ვადაც გავიდა (იხ. სუსგ

№ას-694-665-2016; 31.03.2017 წ.).

15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით. დასახელებული ნორმის ნორმატიული შინაარსის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპით. ხელშეკრულების პირობა წინასწარ შემუშავებულ ხასიათს არ ატარებს, მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ საკითხზე შეთანხმდნენ. ამისათვის მათ არ სჭირდებათ რაიმე ნებართვა ან შინაარსის დაცვა. მთავარია, მათი შეთანხმება არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს, აკმაყოფილებდეს მორალის ფარგლებს და საჯარო წესრიგს არ არღვევდეს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებში განმტკიცებული ნორმების თანახმად (54-ე-56-ე, 81-ე-83-ე მუხლები) ნებისმიერი გარიგება, რომელიც დადებულია დადგენილი წესისა და აკრძალვების, საჯარო წესრიგის ან ზნეობის ნორმების წინააღმდეგ, ასევე მოტყუებით, თვალთმაქცობით ან მოჩვენებით, ბათილია.

16. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც თუ მოსარჩენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

17. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ გარიგების ნამდვილობა მხარეთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე დამოკიდებული. ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, აუცილებელია მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენა. უძრავი ქონების შესაკუთრემ უნდა გამოხატოს ნება, რომ ქონებაზე საკუთრება მყიდველს გადასცეს. კანონმა დაადგინა, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების ფორმა დაცულია, რადგანაც ის გაფორმებულია წერილობით და შეიცავს ყველა აუცილებელ რეკვიზიტს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მას ქონება არ გაუყიდა და ნასყიდობის თაობაზე ნება არ გამოუვლენია. მოსარჩელის განმარტებით, მან მხოლოდ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნება გამოავლინა.

18. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგება, რომელიც დადებულია იმ განზრახვის გარეშე, რომ მას მოჰყვეს შესაბამისი იურიდიული შედეგი. თვალთმაქცური გარიგებისას მხარეებს სხვა გარიგების დაფარვა სურთ. მოჩვენებითი გარიგების დროს, მისი ბათილობის საკითხი დამოკიდებულია მხარეთა მიერ ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერებაზე, ხოლო თვალთმაქცური გარიგებისას, ბათილობის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რომელიც შესაძლოა იყოს ბათილი ან არა, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, იგი ბათილია. როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგება მხოლოდ მოსაჩვენებლად დადებული, არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში მხარეებს არ სურთ ამ გარიგებიდან გამომდინარე შედეგის დადგომა. ორივე შემთხვევაში სახეზეა სიმულაცია, მხოლოდ განსხვავებული მეთოდებით. საერთო ჯამში გარიგება დაიდება იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყოლოდა. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების დროს, გარიგების ბათილობის საკითხის გადანყვეტა დამოკიდებულია მხარეთა მიერ ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერება-არამართლზომიერებაზე. საკითხის გადანყვეტისას აუცილებელია გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რომლის მიმართაც გამოიყენება შესაბამისი მოქმედი წესები (იხ. სუსგ საქმეზე №ას-694-665-2016, 31.03.2017 წ.).

19. თვალთმაქცური გარიგების დროს ნების გამოვლენის სუბიექტების ნება შეთანხმებულია და მათ განზრახული აქვთ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა, თუმცა, მათი შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვევა ერთმანეთს. დადებული გარიგებით ისინი ფარავენ სხვა გარიგებას, რომლის დადების ნებაც რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში, დგება ამ ნორმის საფუძველზე ნების გამოვლენის ბათილობის საკითხი. თვალთმაქცური გარიგების დროს განხილვის საგანი გარიგების მხარეთა მიერ შინაგანი და გარეთ გამოვლენილი ნების ურთიერთმიმართება, ვინაიდან მათ შორის არსებობს შეუსაბამობა (იხ. სუსგ საქმეზე №ას-1142-1088-2014, 23.01.2015 წ.).

20. ამდენად, თვალთმაქცური გარიგების დროს უნდა დადასტურდეს გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ სხვა გარიგების დადების სურვილზე და ამ დაფარული გარიგებისათვის აუცილებელ ყველა წინაპირობის არსებობაზე. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების საგანს შეადგენს იმ ფაქტობრივი შემადგენლობის დადასტურება, რაც თვალთმაქცური გარიგების ყველა წინაპირობას მოიცავს. ამგვარ ვითარებაში, მხარეთა მტკიცებითი ფორმა, როგორც წესი, ორიენტირებულია მხოლოდ მოწმეთა ჩვენებაზე და მეტი დამაჯერებლობისათვის, მათ მიერ დასახელებულ მოწმეთა თანაფარდობაზე. თუ მოსარჩელის არგუმენტაცია გამყარებულია მოწმეთა ჩვენებებით, ამ მტკიცებულე-

ბით უნდა დასტურდებოდეს ყველა იმ გარემოების არსებობა, რომელიც თვალთმაქცური გარიგების შემადგენლობას ქმნის, ხოლო დასკვნა იმის შესახებ ჩაითვალოს თუ არა თვალთმაქცურად გარიგება, უნდა გამოიტანოს სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ საფუძველზე. ამდენად, მოწმეთა მიერ ხდება არა გარიგების თვალთმაქცურობის დადასტურება ან უარყოფა, არამედ – იმ გარემოებებისა, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ შესაბამისი დასკვნა უნდა გააკეთოს (იხ. სუსგ-ები საქმეზე №ას-1126-1082-2016, 10.02.2017წ; №ას-1142-1088-2014, 23.01.2015წ.)

21. განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით ნ. უ-ძე დაიკითხა, რომელიც მ. ბ-ის რძალია (ძმის ცოლი). მისი განმარტების თანახმად, მ. ბ-ეს ესაჭიროებოდა ფული, რის გამოც ქ. ბ-ის დახმარებით ისესხა სხვისგან. თვითონ არ ესწრებოდა გარიგების დადებას, თუმცა, ქონებაში ადრე ინვესტორი 32000-35000 აშშ დოლარსაც სთავაზობდა და ასე იაფად მოსარჩელე ქონებას მოპასუხეზე არ გაყიდდა. ეს ყველაფერი მან მისი მაზლისგან იცის, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით ქ. ბ-ძე დაიკითხა, რომელმაც განმარტა, რომ მუშაობს მაკლერად უძრავი ქონების სააგენტოში, თვითონ არის დირექტორი. 2010 წლიდან იცნობს მოსარჩელის ოჯახს. მოსარჩელეს, ადრე არაერთხელ ჰქონდა სესხი აღებული და იპოთეკით დატვირთული კონკრეტულად ეს ქონება. 2012 წელს, ტ. ნ-თან გაფორმებული ჰქონდა 6000 აშშ დოლარიანი სესხი, რის გამოც იპოთეკით ჰქონდა დატვირთული ქონება. 2014 წელს მას ტ. ნ-მ მიაკითხა, რომელმაც განაცხადა, რომ მ. ბ-ეს ძალიან ბევრი დარღვევა ჰქონდა, რადგან ვერ იხდიდა თანხას, პროცენტი საერთოდ არ იყო გადახდილი და ამის გამო, ჩანაცვლება ითხოვა. ტ. ნ-ძე ჩანაცვლა გ. ნ-ემ, თუმცა, აქაც დაირღვა ვალდებულება და გაიცა სააღსრულებო ფურცელი. მ-მა გადაიხდა თანხა და გაისტუმრა გ. ნ-ძე. უძრავი ქონება არის ჩვეულებრივი ხის სახლი, რომელსაც სველი წერტილები არ გააჩნია, მისი-ქ-ს სველი წერტილებით სარგებლობს, რადგან არიან მეზობლები. 2013 წელს მოხდა მ-ის გამოსახლება, სახლში მესამე პირები ცხოვრობენ და მოპასუხის თხოვნით ყურადღებას აქცევს ქონებას. სადავო ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ გააფორმეს და გაფორმდა ნოტარიუსში იმიტომ, რომ ნოტარიუსი უმარტავს მხარეებს უფლება-მოვალეობებს. ნასყიდობის ფასს 10700 აშშ დოლარს გამოაკლდა საშუალო, ნოტარიუსის ხარჯი, თვითონ ესწრებოდა ნოტარიუსთან ხელშეკრულების გაფორმებას როგორც მაკლერი.

22. გარდა მოწმის სახით დაკითხულ პირთა ჩვენებებისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ხელშეკრულების საგნის ფასს და ამ მიმართებით განმარტავს, რომ ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით ყო-

ველთვის სესხსა და იპოთეკას არ ფარავს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასადგენ გარემოებათა წრეს წარმოადგენს ისეთი ფაქტები, როგორებიცაა, სესხისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, მაგალითად, სარგებელი (ყოველთვიური პროცენტი), ქონების ფასი, სესხის სახით აღებული თანხის ოდენობა და მისი გონივრული შესაბამისობა ქონების ღირებულებასთან და ა. შ. მართალია, სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეებს აძლევს უფლებას, რომ შეთანხმდნენ ნასყიდობის ფასზე ნივთის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობითაც, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატისაგან განსხვავებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გარიგებით განსაზღვრული ფასი აშკარად შეუსაბამო და არაგონივრული იყო ნივთის საბაზრო ღირებულებასთან.

23. დადგენილია, რომ მხარეთა შეთანხმებით ნასყიდობის საფასური 10700 აშშ დოლარით განისაზღვრა, ხოლო, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის თანახმად დგინდება, რომ ქონების საბაზრო ღირებულება საშუალოდ 30000 აშშ დოლარს შეადგენს. საყურადღებოა თავად აუდიტორული დასკვნის შინაარსი, სადაც ექსპერტი აღნიშნავს, რომ მოქალაქე მ. ბ-ძე ფლობს ქონების 1/7 წილს. შენობა-ნაგებობა სრული ამორტიზაციის გამო, არ შეიძლება განხილულ იქნეს ღირებულების მქონე ობიექტად. მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქის პრესტიჟულ ადგილას. ნაკვეთის ირგვლივ საცხოვრებელი სახლების დინამიკა ნაკვეთს ხდის მოთხოვნად პროდუქტად. აღნიშნულიდან და მდებარეობის პრესტიჟულობიდან გამომდინარე, მ. ბ-ის წილი ზემოაღნიშნულ ქონებაში შესაძლოა განისაზღვროს 30 000 აშშ დოლარით. აუდიტორული დასკვნის შინაარსის მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა არარელევანტურად მიიჩნევს სააპელაციო პალატის მსჯელობას მასზედ, რომ სადავო ქონების ადგილზე, ვიზუალური დათვალიერების შედეგად, მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის ფასის არაგონივრულობა არ იკვეთებოდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ის გარემოება, რომ თავად შენობა-ნაგებობა ღირებულების არ მქონე ობიექტია, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნითაც დასტურდება, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტი მ. ბ-ის წილის ღირებულებას 30000 აშშ დოლარით მიწის ნაკვეთის პრესტიჟული ადგილმდებარეობის მიხედვით განსაზღვრავს და არა შენობა-ნაგებობის მდგომარეობით. ამდენად, გასაზიარებელია მოსარჩელის განმარტება მასზედ, რომ ქონების რეალური საბაზრო ღირებულება დაახლოებით სამჯერ აღემატება მხარეთა შორის შეთანხმებულ ოდენობას.

24. ზემოაღნიშნულ გარემოებასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ნასყიდობის საგნის გამოსყიდვის ვადის

მოსვლამდე და მას შემდგომაც, გარკვეული პერიოდი, სადავო ქონებას მოპასუხე არ დაუფლებია. კერძოდ, დადგენილია, რომ ხელშეკრულებით გამოსყიდვის ვადად განისაზღვრა 02 თვე და გამოსყიდვის უფლება გამყიდველს (მოსარჩელეს) 2016 წლის 05 აპრილამდე მიეცა. სადავო უძრავ ნივთზე, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეწყვეტა (გამოსყიდვის უფლების შეწყვეტა) საჯარო რეესტრის სამსახურმა სწორედ 2016 წლის 06 აპრილს დაარეგისტრირა, თუმცა, 2016 წლის 06 აპრილამდე და მას შემდგომაც, 2016 წლის 06 ივლისამდე, ნასყიდობის საგანი მყიდველს მფლობელობაში არ გადასცემია. ამ მიმართებით საყურადღებოა საქმის მასალებში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საქმის მასალები (შეტყობინება და რეაგირების ოქმი), რომლითაც დგინდება, რომ მოსარჩელემ სამართალდამცავ ორგანოებს დახმარებისათვის მიმართა და მიუთითა, რომ მოპასუხემ, თვითნებურად გამოყარა სადავო ქონებიდან მდგურები და სახლს მოსარჩელის დაუკითხავად შეუცვალა კარების საკეტი, რის გამოც მოსარჩელე ითხოვდა დახმარებას. აღნიშნული შეტყობინება პოლიციაში 2016 წლის 06 ივლისს შევიდა. გარდა ამისა, პალატა ყურადღებას მიაპყრობს თავად მოპასუხის განმარტებასაც მასზედ, რომ მოსარჩელემ 02 თვიან ვადაში ვერ შეძლო ბინის გამოსყიდვა და თანხა ვერ დაუბრუნა მყიდველს, მოპასუხემ კი მიმართა საჯარო რეესტრს და გატარდა, როგორც სრულუფლებიანი მესაკუთრე, რის შემდეგაც არაერთხელ მოითხოვა მოსარჩელის მხრიდან ბინის ნებაყოფლობით დაცლა, რაც პალატის მოსაზრებით, დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გამოსყიდვის უფლების ვადის გასვლის შემდგომ, გარკვეული პერიოდი ნასყიდობის საგანი მყიდველს მფლობელობაში არ გადასცემია. ასევე, საყურადღებოა საქმის მასალებში წარმოდგენილი კომუნალური გადასახადების ქვითრები და თავად მოპასუხის მითითება მასზედ, რომ ქონების მისამართზე აბონენტი არ შეცვლილა, რითაც უდავოდ დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში, სადავო ქონების მისამართზე აბონენტად კვლავ მ. ბ.-ძე ფიქსირდება, ხოლო, მოპასუხის იმ განმარტების გასაზიარებლად, რომ კომუნალურ გადასახადებს აბონენტის შეუცვლად თავად იხდიდა, საქმეში რაიმე სახის მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. მოპასუხეს სასამართლოსთვის იმგვარი დასაშვები მტკიცებულება უნდა წარედგინა, რომელიც სასამართლოსათვის უცილობლად სარწმუნოს გახდიდა მისი პოზიციის სისწორეს. ასეთ მტკიცებულებად კი, მოპასუხის ახსნა-განმარტება არ განიხილება, რადგან იგი პროცესის შედეგით დაინტერესებული მხარეა და შესაბამისად, მისი ახსნა-განმარტება, თუ გამყარებული არაა სხვა რელევანტური მტკიცებულებებით, სანდოობისა და ობიექტურობის ტესტს ვერ ლაბავს.

25. საკასაციო პალატა ერთი მხრივ, იზიარებს სააპელაციო პალატის განმარტებას მასზედ, რომ გამოსყიდვის უფლებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პრაქტიკული დანიშნულება ისაა, რომ გამყიდველი გამოსყიდვის ვადაში შესაძლებელია უშუალოდ ფლობდეს ნასყიდობის საგანს, ვინაიდან მასზე არ ვრცელდება შემძენის აბსოლუტური საკუთრების უფლება, თუმცა, მეორე მხრივ, ამ მიმართებით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოპასუხის მიერ სასამართლოსთვის მიცემულ განმარტებაზე, რომ მის ინტერესებში არ შედიოდა თანხის სესხად გაცემა, მას სურდა უძრავი ნივთის შეძენა და არ იყო თანახმა მოსარჩელესთან დადებულიყო სესხის ხელშეკრულება. დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ დგინდება გონივრული კავშირი მოპასუხის მიერ მითითებულ ხელშეკრულების დადების მოტივებსა და იურიდიულ მოქმედებებს შორის. კერძოდ, თუ მოპასუხეს ნამდვილად უძრავი ნივთის შეძენის სურვილი გააჩნდა, გაურკვეველია თუ რატომ გაითვალისწინეს მხარეებმა ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამოსყიდვის უფლება, რატომ აღჭურვა შემძენმა გამყიდველი ამ უფლებით და რატომ არ დაეუფლა შემძენი უძრავ ქონებას შეძენისთანავე. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხარეთა მიერ ფაქტობრივად განხორციელებული მოქმედებები და მოპასუხის განმარტება მასზედ, რომ მას მხოლოდ უძრავი ქონების შეძენა სურდა, არ შეესაბამება ერთმანეთს. ეს გარემოებაც თავის მხრივ, არწმუნებს საკასაციო პალატას იმაში, რომ გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზანს მოპასუხის მხრიდან სესხის დაბრუნებისათვის უფრო მყარი გარანტიის შექმნა წარმოადგენდა.

26. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდის ნასყიდობის საფასურის გარკვეული ნაწილის გადაუცემლობის ფაქტს. კერძოდ, მოსარჩელის განმარტებით, მას 10700 აშშ დოლარი სრულად არ მიუღია. მიუხედავად მოპასუხის მტკიცებებისა, რომ მან ნასყიდობის საფასური – 10700 აშშ დოლარი სრულად გადასცა მოსარჩელეს, სანინალმდეგო დაადასტურა თავად მოპასუხის მიერვე წარმოდგენილმა მონემ – ქ. ბ-ემ, რომელმაც განმარტა, რომ მოსარჩელეს 10700 დოლარი სრულად არ მიუღია და რომ თანხის გარკვეული ნაწილი, დაახლოებით 700 დოლარი, მხარეთა შეთანხმებით, მაკლერის მომსახურების, სანოტარო და რეესტრში რეგისტრაციის ხარჯების ასანაზღაურებლად გაიქვითა, მოსარჩელეს კი მხოლოდ 10000 აშშ დოლარი გადაეცა. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მონემის – ქ. ბ-ის ჩვენებას და ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ 10000 აშშ დოლარის 3.5% 02 თვეზე – 700 აშშ დოლარს შეადგენს, რაც არითმეტიკულად სრულ შესაბამისობაშია მოსარჩელის მოთხოვნასთან

– სესხის ოდენობად განსაზღვრული/აღიარებული იქნეს 10700 აშშ დოლარი, ხოლო სესხის საპროცენტო (ყოველთვიურ) განაკვეთად დადგინდეს 3.5% – სესხის ვადად განსაზღვრულ იქნეს 02 თვე.

27. სადავო საკითხის შეფასების მიზნით, საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას გაამახვილებს მოცემულ საქმეზე დადგენილ, შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

– ხელშეკრულებით გამოსყიდვის ვადა განისაზღვრა 02 თვის ვადით და გამოსყიდვის უფლება მოსარჩელეს მიეცა 2016 წლის 05 აპრილამდე. მოსარჩელემ დადგენილ ვადაში ქონება ვერ გამოისყიდა, რის საფუძველზეც უკვე მეორე დღესვე – 2016 წლის 06 აპრილს, ისე რომ მოსარჩელისათვის დამატებითი ვადის სახით ერთი დღეც არ მიუცია, მოპასუხემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს და მასსა და მოპასუხეს შორის, 2016 წლის 05 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ უძრავ ნივთზე, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეწყვეტის რეგისტრაცია მოითხოვა;

– 2016 წლის 07 აპრილს, მაშინ, როდესაც მოსარჩელემ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართა, მოპასუხემ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა განცხადებით – უძრავი ნივთის გასხვისების თაობაზე და გადაიხადა მომსახურეობის საფასური 205 ლარი, რათა დაჩქარებული წესით განხორციელებულიყო უძრავი ქონების გადაფორმება ვინმე ი. თ-ზე;

– მხარეთა შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (გამოსყიდვის უფლებით) დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ და მას ხელს აწერენ მხარეები, თუმცა, სანოტარო აქტის თანახმად, ნოტარიუსი ადასტურებს მხოლოდ ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირთა ნამდვილობას და არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, უფლებამოსილებასა და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათზე.

28. მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობაში გამოკვლევით, რაზედაც საკასაციო პალატამ ზემოთ იმსჯელა, პალატას მიაჩნია, რომ გარიგების დადებისას მ. ბ-ის, როგორც ოფერენტის ნება, აშკარად სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებისკენ იყო მიმართული. იმ შედეგის გათვალისწინებით კი, რომ რეალურად მხარეთა შორის გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, პალატას უჩნდება რწმენა იმის თაობაზე, რომ წინადადების მიმცემმა ნება სესხის დადებაზე გამოავლინა, მეორე მხარემ კი თანმხვედრი ნების ტრანსფორმირება ისე მოახდინა, რომ

მსესხებელს სესხის სახით მოთხოვნილი თანხა გადასცა, თუმცა, სესხის დაბრუნების გარანტიად მსესხებლის ქონება იპოთეკით კი არ დატვირთა, არამედ, სესხის დაბრუნების უფრო მყარი გარანტიის შესაქმნელად აღნიშნული ქონება, გამოსყიდვის უფლებით, საკუთარ თავზე საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატას კიდევ უფრო მეტად უმყარებს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მოწმის – ქ. ბ-ის განმარტება მასზედ, რომ მოსარჩელეს, ადრე არაერთხელ ჰქონდა სესხის უზრუნველსაყოფად კონკრეტულად ეს ქონება იპოთეკით დატვირთული და ხშირად ჰქონდა თანხის, მათ შორის პროცენტის გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები.

29. ამდენად, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებების ურთიერთშეჯერების, ერთობლივად, მოწმეთა ჩვენებებთან ერთად გაანალიზების, გონივრული და ობიექტური განსჯის შედეგად, საკასაციო პალატას ექმნება გამყარებული შინაგანი რწმენა მასზედ, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეების ნება არა სადავო ქონების ნასყიდობის, არამედ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებისკენ იყო მიმართული და გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით, რეალურად გამსესხებელმა თავისი უფლების დაცვის მეტი გარანტიები შექმნა. შესაბამისად, საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო პალატის მსჯელობა მასზედ, რომ მხარეთა მიზანს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება არ წარმოადგენდა.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა, არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია. თუმცა, ამ საფუძველით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა ტიპებს. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხა-

რეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკა 2015 წლის 17 ივნისის, საქმე №ას-487-461-2015, 2016 წლის 06 ივნისი, საქმე №ას-743-704-2015, 28.09.2015წ.; №ას-1212-1138-2015).

31. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სასამართლოს შეფასებით მოდავე მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა სესხის ხელშეკრულებაა. ამავე კოდექსის 286-ე მუხლის თანახმად კი, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით. სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი დავის საგანი სრულად შეესაბამება თვალთმაქცური გარიგებების მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, რაც სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 52-ე და 56-ე მუხლების საფუძველზე მისი ბათილად ცნობისა და სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებულად ცნობის სამართლებრივ საფუძვლებს ქმნის.

32. სამოქალაქო პროცესში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების პრინციპი არსებობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება, დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, საპროცესო ნორმა განსაზღვრავს იმ მტკიცებულებათა ნუსხას, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არც ერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ სრულ და ობიექტურ განხილვას, შედეგად, სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, თანახმად სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლისა.

33. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციალურ წესს ითვალისწინებს (მაგ. შრომითსამართლებრივი დავები) მტკიცების ტვირთის გადანაწილების ზოგადი წესი მოქმედებს, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ ის გარემოებები უნდა დაამტკიცოს, რომლებზეც იგი თავის მოთხოვნას ამყარებს. არ შეიძლება მხარეს ისეთი გარემოების მტკიცების ტვირთი დაეკისროს, რომლის ზიდვაც მისთვის ობიექტურად შეუძლებელია.

34. განსახილველ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის თანაბრად გადანაწილების საფუძველზე, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების არსებობის მტკიცება მოსარჩელეს, ხოლო მოპასუხეს – გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის დადასტურების ვალდებულება ეკისრებოდა. მოსარჩელე მხარემ სასამართლოში რელევანტური წერილობითი მტკიცებულებებისა და სხდომაზე მოწმის გამოცხადების უზრუნველყოფით, მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი წარმატებით დასძლია, ხოლო მოპასუხემ, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო ხელშეკრულება თვალთმაქცურ ხასიათს არ ატარებდა და მის მიერ გაცემული სესხის უზრუნველყოფისთვის უკეთესი სამართლებრივი გარანტიების შექმნას არ ემსახურებოდა, ვერ დაადასტურა. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მ. ბ. სა და ო. ჭ-ლს შორის, 2016 წლის 05 თებერვალს გაფორმებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა – მდებარე, ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ: ...) ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, როგორც თვალთმაქცური გარიგება, ბათილია, რის გამოც სახეზეა მ. ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინამძღვრები.

35. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადგენისა და უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, უნდა დაკმაყოფილდეს.

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანაცვები, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიცხადდა მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

37. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელზე წინასწარ გადახდილი აქვს ჯამში 778 ლარი (სახელმწიფო ბაჟი – 728 ლარი და სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი), რისი ანაზღაურებაც მოპასუხეს უნდა დაეკისროს. ამასთან, მასვე უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 535 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რომლის გადახდისგანაც განთავისუფლდა მოსარჩელე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 257.1-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი მ. ბ-სა და ო. ჭ-ლს შორის 2016 წლის 05 თებერვალს გაფორმებული უძრავი ქონების (მდებარე: ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ ...) ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით;
5. დადგენილ იქნეს, რომ 2016 წლის 05 თებერვალს მ. ბ-სა და ო. ჭ-ლს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: სესხის ოდენობა – 10700 აშშ დოლარი; სესხის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი/პროცენტი – 3.5%, სესხის ვადა 02 თვე;

სესხის უზრუნველყოფის საშუალება – იპოთეკა უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ ...;

6. უძრავი ქონება, მდებარე: ქ. ბათუმი, ... ქ. №..., ს/კ ... – აღირიცხოს მ. ბ-ის საკუთრებაში და მასზე დარეგისტრირდეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ო. ჭ-ის სასარგებლოდ;

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 აპრილის განჩინებით სარჩელის აღძვრამდე გამოყენებული უზრუნველყოფა დარჩეს ძალაში;

8. ო. ჭ-ლს (...) მ. ბ-ის (...) სასარგებლოდ დაეკისროს 778 (50+728) ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

9. ო. ჭ-ლს (...), სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისროს საკასაციო ინსტანციაში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 535 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;

10. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოტყუებით დაღებული გარიგება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-241-2023

19 ივნისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. კაკაბაძე,

ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა

1.1. პ. კ-იმ (შემდგომში მოსარჩელე ან მეორე საკასაციო საჩივრის ავტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა-ის“ (შემდგომში მოპასუხე, კომპანია ან მოპასუხე კომპანია), ბ. ვ-ძისა (შემდგომში მოპასუხე, მოპასუხე კომპანიის დირექტორი ან დირექტორი, კომპანია და მისი დირექტორი ორივე ერთად ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირვე-

ლი საკასაციო საჩივრის ავტორები) და ვ. ე-ვის (შემდგომში მოპასუხე, ხოლო სამივე მოპასუხე ერთად ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხეები) მიმართ და მოითხოვა:

1.1.1. ბათილად იქნეს ცნობილი:

ა) მოპასუხე კომპანიის მიერ 2018 წელს გაცემული ე.წ. მონეტების თავდაპირველი შეთავაზების დოკუმენტი (Initial Coin Offering, abbrev. ICO);

ბ) 2018 წლის გონიერი კონტრაქტი (Smart Contract, იგივე ჭკვიანი კონტრაქტი) (ნომრით 0x...);

გ) მოპასუხე კომპანიის მიერ გამოშვებული ე.წ. ტოკენების მოსარჩელის მიერ შეძენის შესახებ 2018 წლის 10 მაისის, 15 მაისისა და 10 ივნისის ტრანზაქციები;

1.1.2. მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 216 044 აშშ დოლარისა და 17 236.16 აშშ დოლარის გადახდა;

1.1.3. მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 216 044 აშშ დოლარის წლიური 4%-ის გადახდა სარჩელის შეტანიდან გადანყვებილების აღსრულებამდე;

1.2. სარჩელის თანახმად, მოპასუხე კომპანიამ (რომელიც დაფუძნდა 2018 წლის თებერვალში) 2018 წელს გასცა ICO, რომელშიც გაწერა ინვესტირების პირობები. ICO ითვალისწინებდა ტოკენების გამოშვებას, რომლებსაც დაერქმეოდა AMBT ტოკენები. ინვესტორები AMBT ტოკენებს შეიძენდნენ საშუალოდ 0.5 აშშ დოლარად. სანაცვლოდ, კომპანია ინვესტირებული თანხით შეიძენდა მაინერებს გლდანში, თბილისის ტექნოლოგიურ პარკში (მისამართი: ...). კომპანია აცხადებდა, რომ ააშენებდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდ, 20 მგვტ სიმძლავრის მაინინგფერმას, რომელიც გამოიმუშავებდა მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ კრიპტოვალუტებს და მოგების კოეფიციენტი საშუალოდ 141%-ის ფარგლებში იმერყევებდა. 2018 წლის 19 აპრილს ეთერიუმის პორტალზე კომპანიამ შექმნა გონიერი კონტრაქტი. მოსარჩელემ 2018 წლის მაისსა და ივნისში ჯამურად 3 ტრანზაქციით მოპასუხე კომპანიისგან შეიძინა რამდენიმე ასეული ათასი AMBT ტოკენი და გადაიხდა 216 044 აშშ დოლარი. შესაბამისად, ელოდა, რომ ამ ინვესტირებით მოპასუხე ააშენებდა „მ. ფერმას“ და გამოიმუშავებდა კრიპტოვალუტებს გაცხადებული პირობების შესაბამისად. ინვესტიციის განხორციელებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 2019 წლის ივლისიდან 2019 წლის სექტემბრამდე, მოპასუხე კომპანიის 90%-იანი მენილესა და დირექტორთან (ბ. ვ-ძე) კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას სინამდვილეში არანაირი აპარატურა არ უყიდია და არც მ-ი არ დაწყებულა. კომპანიის დირექტორმა დაადასტურა, რომ ინვესტორებისგან შეგროვებული 2.4 მილიონი აშშ დოლარიდან მათ მხოლოდ 1.2 მილიონი აშშ დოლარი დარჩათ და ამ თანხიდანაც 800 000 აშშ დოლარი თავიანთი

ვალების გასტუმრებას მოახმარეს. მისივე ინფორმაციით, კომპანიას მხოლოდ 400 000 აშშ დოლარი ჰქონდა, რომლითაც პროექტი ვერ განხორციელდებოდა. მოსარჩელის მოსაზრებით, სრულიად გაუგებარია, შეგროვებული 2.4 მილიონიდან მოპასუხე კომპანიამ და მისმა დამფუძნებლებმა სად გააქრეს ინვესტიციის 50%, ხოლო დარჩენილი 1.2 მილიონი დოლარიდან 800 000 აშშ დოლარი თავიანთი ვალების გადასახდელად რატომ გამოიყენეს. მოსარჩელის განცხადებით, აშკარაა, რომ იგი გახდა მოპასუხეების თაღლითური სქემის მსხვერპლი, რომლის ფარგლებშიც ინვესტორებზე ყალბი დაპირებების გაცემითა და მოტყუებით შეგროვდა რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი. 2020 წელს შსს-დან და საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციით მოსარჩელემ ასევე დაადგინა, რომ მონეტების თავდაპირველი შეთავაზების შემდეგ, 2018-2020 წლებში კომპანიის დირექტორმა შეიძინა არაერთი ძვირადღირებული ავტომანქანა მაშინ, როდესაც კომპანია არ ფუნქციონირებდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვს ინვესტიციურებასთან დაკავშირებული გარიგებების ბათილად ცნობას და მის მიერ გადახდილი 216,044 აშშ დოლარის უკან დაბრუნებას. ამასთან, ვინაიდან, მოპასუხე კომპანია ფუნქციონირებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმით და იგი წარმოადგენდა მისი დამფუძნებლების თაღლითური სქემის ნაწილს, კომპანიასთან ერთად სოლიდარულად თანხის გადახდა გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველზე (piercing of corporate veil) უნდა დაჰკისროდათ მის მენილეებს, მოპასუხეებს – ბ. ვ-ძესა და ვ. ე-ვს.

2. მოპასუხეების პოზიცია

2.1. მოპასუხე კომპანიამ და კომპანიის დირექტორმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელებული ინვესტიციების საფუძველზე კომპანიას არანაირი მოგება არ მიუღია, რაც გამოწვეული იყო ბაზარზე არსებული მდგომარებით, როდესაც მკვეთრად გაუფასურდა კრიპტოვალუტის, მათ შორის ბიტკოინის ფასი. შესაბამისად, კომპანიის დანახარჯებმა გაასწრეს კომპანიის მიერ მიღებულ შემოსავლებს და, ბუნებრივია, არანაირ დივიდენდების განაწილებაზე არ არის საუბარი. შესაბამისად, გაუგებარია, საიდან უნდა მიეცა სანარმოს ინვესტორებისთვის ფული. ინვესტორს არც ერთ თავის ელექტრონული ფოსტით არა აქვს მოთხოვნილი აუდიტორული დასკვნა, მას არც კი აინტერესებდა, კომპანიამ მიიღო თუ არა მოგება. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ყოვლად მიუღებელი და არაეთიკურია მოსარჩელის მითითება თაღლითურ სქემასა და მოტყუებაზე. მოპასუხეებმა წინასწარ ვერ განსაზღვრა კრიპტოვალუტის შემდგომი ფასი. სხვაგვარად იგი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობებს და მიზნობრივად ხარჯავდა კომპანიის სახსრებს. ეს რომ ასე არ

ყოფილიყო, მოსარჩელე, ბუნებრივია, მიმართავდა საგამოძიებო ორგანოებს, რაც მას არ გაუკეთებია, ვინაიდან მშვენივრად იცის, რომ მოპასუხეს უკანონოდ არ უმოქმედია. რაც შეეხება, ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ საკითხს, მოპასუხეებმა აღნიშნეს, რომ ამ ნაწილშიც სარჩელი უსაფუძვლოა, ვინაიდან, კომპანიის მენილეებისთვის „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ფარგლებში თანხის დასაკისრებლად უნდა არსებობდეს შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება (სასამართლოს განაჩენი) ან უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ სანარმოს კუთვნილი თანხების დირექტორის მიერ მითვისებას, რაც წინამდებარე საქმის მასალებით არ დგინდება და მოსარჩელის მსჯელობაც ემყარება მხოლოდ ვარაუდს.

2.2. მოპასუხე ვ. ე-ვმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არ არსებობს სადავო გარიგების, როგორც მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის ფაქტობრივსამართლებრივი წინაპირობა. კანონის დანაწესის შესაბამისად, მოტყუების საფუძველით გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია, რომ მოტყუებას ნების გამომვლენში ისეთი შეცდომის გამონევა უნდა შეეძლოს, რომელიც ნების გამოვლენის საფუძველი ხდება. მოტყუების დროს პირს შექმნილი უნდა ჰქონდეს ისეთი ობიექტური ვითარება, რომელიც ხელს შეუშლის ნების გამომვლენს ნამდვილი, ანუ მისთვის სასურველი ნების გამოვლენაში და აღნიშნული გარემოება, ყველა ნორმალურ მოაზროვნე ადამიანში არანამდვილი ნების გამოვლენას უნდა იწვევდეს, ანუ ადამიანს ობიექტური განსჯის შედეგად არ უნდა ჰქონდეს თავისი ნამდვილი ნების გამოვლენის შესაძლებლობა, შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი. ამასთან, მოტყუებით დადებული გარიგების გასაჩივრების ვადა არის 1 წელი და ეს ვადა უნდა აითვალოს გარიგების დადების დღიდანვე. ამდენად, მოპასუხის აზრით, მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოსთან ერთად ხანდაზმულიცაა. რაც შეეხება „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ საკითხს, მოპასუხის აზრით, ამ სახის პასუხისმგებლობის მისთვის დაკისრების არანაირი ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რადგან ამისათვის უტყუარი მტკიცებულებებია საჭირო, რომლებიც დაადასტურებს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას. ამასთან, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხე კომპანიაში მოსარჩელემ ტრანზაქციები განახორციელა მანამ, სანამ ვ. ე-ვი თავის წილს შეიძენდა. შესაბამისად, იგი მოპასუხეთა სიაში არც კი უნდა ირიცხებოდეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-

ლეგიის 2022 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3.2. საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე კომპანიის ვებგვერზე გამოქვეყნებული მონეტების თავდაპირველი შეთავაზების დოკუმენტით პოტენციური ინვესტორებისთვის წარდგენილ იქნა კომპანიის საქმიანობის მოდელი და მის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა ტოკენების პოტენციური მფლობელებისთვის ინფორმაციის მიწოდება, რათა მათ გაეკეთებინათ კომპანიის დეტალური ანალიზი „ა. ტოკენების“ (AMBT) შეძენის მიზნით. სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ დოკუმენტში მოცემულია სამომავლო განცხადებები ან ინფორმაციები. შესაბამისად, მასში მითითებული ინფორმაცია არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ინვესტორების მოტყუების საშუალება. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ე.წ. „გონიერ კონტრაქტზე“ ხელის მოწერისას არ იკვეთებოდა მოპასუხეთა მხრიდან მოსარჩელის მოტყუების ფაქტი და, შესაბამისად, არ არსებობდა მოტყუებით დადების საფუძველზე გარიგების ბათილობის ფაქტობრივსამართლებრივი წინაპირობა. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხეებს არ შეიძლებოდა დაჰკისრებოდათ პასუხისმგებლობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ საფუძველზე, ვინაიდან მოსარჩელე თავის მტკიცების ფარგლებში ვერ ადასტურებდა მოპასუხეთა მხრიდან კომპანიის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას, რაც გამორიცხავდა ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებას.

4. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

4.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე კომპანიის 2018 წლის გონიერი კონტრაქტი ნომრით 0x...; ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე კომპანიის მიერ გამოშვებული ტოკენების შეძენის შესახებ 2018 წლის 10 მაისის, 2018 წლის 15 მაისისა და 2018 წლის 10 ივნისის ტრანზაქციები; მოპასუხე კომპანიასა და მის დირექტორს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 216 044 აშშ დოლარისა და 17 236.16 აშშ დოლარის გადახდა, ასევე, 216 044 აშშ დოლარის წლიური 4%-ის ანაზღაურება სარჩელის შეტანიდან (2020

ნლის 8 ივნისი) გადაწყვეტილების აღსრულებამდე; დანარჩენ ნაწილში წარდგენილი სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

5.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადან-ყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებე-ბი:

5.2.1. 2018 წლის 28 თებერვალს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ-მა სააგენტომ დაარეგისტრირა სამეწარმეო საზოგადოება შპს „ა. მ-ი“, რომლის 100% წილის მესაკუთრე პარტნიორი და დირექტორი იყო მო-პასუხე ბ. ვ-ძე. 2018 წლის 27 აპრილის მდგომარეობით შპს „ა. მ-ს“ შე-ეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „ა-ი“. 2018 წლის 1 ნოემბრის ამო-ნაწერის თანახმად, მოპასუხე კომპანიის დირექტორი და წილის 90%-ის მესაკუთრე ბ. ვ-ძეა, ხოლო 10%-ის მფლობელი პარტნიორი – ვ. ე-ვი;

5.2.2. 2018 წლის 10 მაისს მოსარჩელემ 104 156 აშშ დოლარად შეის-ყიდა 254 039.975 (133 ეთერიუმი) ა-თოკენი. ტოკენები გადაირიცხა მო-სარჩელის ეთერიუმის ელექტრონულ საფულეში ნომრით: 0x...;

5.2.3. 2018 წლის 15 მაისს მოსარჩელემ 26 688 აშშ დოლარად შეისყი-და 52 897.45 (29 ეთერიუმი) ა-თოკენი. ტოკენები გადაირიცხა მოსარ-ჩელის ეთერიუმის ელექტრონულ საფულეში ნომრით: 0x... ..

5.2.4. 2018 წლის 10 ივნისს მოსარჩელემ 85 000 აშშ დოლარად შეიძი-ნა 148 324 ა-თოკენი (110 ეთერიუმი). ტოკენები გადაირიცხა მოსარჩე-ლის ეთერიუმის ელექტრონულ საფულეში ნომრით: 0x... დაბა ...

5.2.5. ჯამურად სამი ტრანზაქციით მოსარჩელემ შეიძინა 455 261.425 ა-თოკენი, რაშიც გადაიხადა 216 044 აშშ დოლარი;

5.2.6. 2018 წლის 13 ივნისს მოსარჩელემ ბონუსის სახით უსასყიდ-ლოდ მიიღო 186 000 ა-თოკენი. შესაბამისად, იგი ფლობს 641 261.425 ა-თოკენს;

5.2.7. მოსარჩელემ მოპასუხე კომპანიაში ჯამურად გადაირიცხა 272 ეთერიუმი.

5.3. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხე კომპანიას შორის ურთიერთობა არ წარმო-ადგენდა სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ ტიპურ სახელშეკრუ-ლებო ურთიერთობას, თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო სამართალში არსებობს ნების ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავი-სუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრუ-ლებათა შინაარსი. ამდენად, სასამართლოს უნდა შეეფასებინა, თუ რო-მელი დოკუმენტი წარმოადგენდა მხარეთა შორის გაფორმებულ ხელ-შეკრულებას, რომელიც ამ ურთიერთობის მხარეებს წარმოუშობდა ურ-თიერთმობოჭავ უფლება-მოვალეობებს.

5.4. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ გარიგების დასადასტურებლად აუცილებელია ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა. მოცემულ შემთხვევაში, კი, ვინაიდან, უდავოა, რომ მხარეთა შორის არსებობდა გარკვეული პირობები, რაზეც ისინი თანხმდებოდნენ, შესაბამისად, აშკარაა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ოფერტი და აქცეპტი.

5.5. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებმა ტრანზაქციებისას გამოიყენეს კრიპტოვალუტის სახეობა, ეთერიუმი და მოსარჩელემ შეიძინა ა-თოკენი. სასამართლომ განმარტა, თუ რას წარმოადგენს ეთერიუმი (ეთერიუმი არის ღია პროგრამული პლატფორმა და დაფუძნებულია Blockchain ტექნოლოგიაზე. ეს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, შექმნან და განავითარონ სხვადასხვა დეცენტრალიზებული აპლიკაცია. ეთერიუმი, რა თქმა უნდა, არის კრიპტოვალუტა თავისი დამახასიათებელი თვისებებით და ოპერირებს Blockchain-ის ქსელში, რომელიც, ამავდროულად, მუშაობს „ჭკვიანი კონტრაქტების“ მიმართულებითაც), ასევე, განმარტა ე.წ. „ჭკვიანი კონტრაქტის“ (Smart Contracts) არსი („ჭკვიანი კონტრაქტები“ არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს ხელშეკრულების პირობების დადებასა და აღსრულებას სპეციალური კოდის გამოყენებით. „ჭკვიანი კონტრაქტების“ გამოყენებას შეუძლია, მნიშვნელოვნად გარდაქმნას ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საოპერაციო და ტრანზაქციული რისკები, დააჩქაროს და უზრუნველყოს ხელშეკრულებით მხარეთა მიერ ნაკისრი უფლება-მოვალეობების შესრულება), ICO-ს, ანუ ე.წ. მონეტების თავდაპირველი შეთავაზების დოკუმენტის ცნება და აღნიშნა, რომ ICO არ ნიშნავს კრიპტოვალუტის შექმნას, მის წინასწარ გამოცემას, არც Smart Contract-ის ან ფერადი მონეტის შექმნას. ICO მოიცავს პირობებს, წინასწარ ინფორმაციას, შეთავაზებას, რასაც ეცნობა ინვესტორი და თანხმდება შემოთავაზებას ან უარს ამბობს მასზე.

5.6. სასამართლომ ერთმანეთთან გააიგივა ICO და ე.წ. „თეთრი ფურცელი“ (White Paper) და აღნიშნა, რომ ორივე მათგანი კომპანიის მიერ შეთავაზებული პირობებია, რაზე თანხმობის შემთხვევაშიც დაიწყებოდა სამართლებრივად მნიშვნელოვანი მოქმედება, როგორიცაა – ინვესტორის მიერ თანხის გადარიცხვა, ICO-თი განსაზღვრული კაპიტალის შევსება, რაც, თავის მხრივ, კომპანიას წარმოუშობდა მაინინგის ვალდებულებას.

5.7. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოსა და მოპასუხეთა შეფასება, რომ ICO (იგივე თეთრი ფურცელი) არ წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, ვინაიდან იგი არის

ოფერტი, ხოლო ოფერტი მბოჭავი ხასიათისაა. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ თეთრი ფურცელი მხოლოდ კომპანიის მომავლის ხედვის გაცნობაა პოტენციური ინვესტორებისთვის და კომპანია მასზე არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს. პალატამ მიიჩნია, რომ სწორედ ICO (თეთრი ფურცელი) წარმოადგენს იმ დოკუმენტს, რის საფუძველზეც იღებს პირი ინვესტირების გადაწყვეტილებას. პირი, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას იწყებს კომპანიასთან (ამ შემთხვევაში მოპასუხე კომპანიასთან), სრულყოფილად უნდა ფლობდეს ინფორმაციას ინვესტიციის მიზნებზე, პირობებზე, ოდენობაზე, ვინაიდან შეძლოს რისკების შეფასება და მხოლოდ ყველა გარემოების აწონ-დაწონვის საფუძველზე მიიღოს ინვესტირების გადაწყვეტილება. პალატა მიუთითებს, რომ ინვესტორს, როგორც დამოუკიდებელ სამართალსუბიექტს, რა თქმა უნდა, არ აქვს ინფორმაცია მისი კონტრაქტორი კომპანიის ფინანსებზე, შესაძლებლობებსა და მასშტაბებზე. იგი კონტრაქტზე წარმოდგენას იქმნის სწორედ ე.წ. ICO თეთრი ფურცლით, ვინაიდან იგი ნებას სწორედ იმ პირობებზე გამოხატავს, რაც მასში არის ასახული. სხვა შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ ICO მხოლოდ კომპანიის სამომავლო ხედვაა, რომელიც საერთოდ არ შეესაბამება რეალობას, გამოგვაქვს დასკვნა, რომ ინვესტორი იმ გარიგებაზე გამოთქვამს თანხმობას, რომლის არსებითი პირობები შეთანხმებული არ არის მხარეთა შორის. ასეთ შემთხვევაში კი, არც ხელშეკრულება არ მიიჩნევა დადებულიად.

5.8. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ICO-ს მნიშვნელობას ის გარემოებაც უსვამს ხაზს, რომ მის საფუძველზე ორივე მხარე ასრულებს იურიდიული მნიშვნელობის ქმედებებს, რაც გამოიხატება ინვესტორის მხრიდან ინვესტირებაში, ხოლო კომპანიის მხრიდან კრიპტოვალუტის მაინინგში. პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კი, მაინინგფერმის აშენებასა და დივიდენდის განაწილებაში. ამასთან, ICO-ს საფუძველზე იქმნება ე.წ. „ჭკვიანი კონტრაქტი“. ICO-ს მნიშვნელობას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ის ფაქტი, რომ ჭკვიანი კონტრაქტი წარმოადგენს არა დოკუმენტს, რომელზეც მხარეები ხელს აწერენ, არამედ არის კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც ქმნის მოპასუხე კომპანია.

5.9. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს შესაძლებლობა აქვს, კონტრაქტის პროგრამული ენიდან დაადგინოს სმარტშეთანხმების არსებითი პირობები. სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლება ინვესტორს მოეთხოვოს კომპიუტერული კოდის ცოდნა და, მით უფრო, მისი შემოწმება გარიგების დადებამდე. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი

ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. შესაბამისად, როდესაც მხარეთა შორის არსებობს ICO (თეთრი ფურცელი), სადაც განერილია პირობები, პალატას მიაჩნია, რომ ჭკვიანი კონტრაქტი სწორედ აღნიშნულ პირობებს უნდა შეესაბამებოდეს. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, დგება მოტყუების საფუძველით გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთან, პალატამ დაასკვნა, რომ ICO დამოუკიდებლად არ წარმოადგენს გარიგებას, ვინაიდან იგი არის ოფერტი, რაზე აქცეპტის შემთხვევაშიც იქმნება ჭკვიანი კონტრაქტი, რომელიც უნდა ასახავდეს ICO-ს პირობებს და შეესაბამებოდეს მას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ICO-ს ბათილად ცნობა დამოუკიდებლად არ წარმოადგენს იურიდიული შედეგის მომტან ქმედებას, ვინაიდან მის საფუძველზე შეიქმნა ჭკვიანი კონტრაქტი, როგორც გარიგების რეალურად განხორციელების საშუალება და მექანიზმი. შესაბამისად, მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი წარმოადგენს მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს.

5.10. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხეთა შედავება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან სმარტკონტრაქტები დაკავშირებული იყო ბიზნესრისკებთან, აღნიშნული ქმნიდა სარჩელზე უარი თქმის საფუძველს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეებს არ წარუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მათ მიერ მაინინგის წარმოებას ინვესტიორებისგან მიღებული თანხით (ინვესტირებული თანხით კომპანიას უნდა შეეძინა მაინერები და თბილისის ტექნოლოგიურ პარკში აეშენებინა 20 მგვტ. სიმძლავრის მაინინგფერმა, საიდან მიღებული თანხაც (კრიპტოვალუტების გაყიდვით მიღებული თანხა) უნდა გადაეცათ ინვესტიორებისთვის), ასევე, არ დგინდებოდა, ინვესტიორებმა იცოდნენ თუ არა, რომ მათგან მიღებული თანხებით კომპანიას უნდა შეესრულებინა მანამდე აღებული ვალდებულებები. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ICO-ს შეთავაზება არ შეესაბამებოდა მის რეალურ განხორციელებას – ჭკვიან კონტრაქტს, რის გამოც, არსებობდა სსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი.

5.11. სასამართლომ ასევე განმარტა, თუ რას გულისხმობს ე.წ. „soft cap“, ანუ მონეტების საჯარო შესყიდვის პროგრამის მინიმალური თანხა (კაპიტალი), რომლის შეგროვების შემთხვევაში პროექტი გაგრძელდებოდა და მოიცავდა მაინინგფერმის აშენებას და ამონაგები თანხის გაცემას. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეები ვერ თანხმდებოდნენ, თუ რას წარმოადგენდა მინიმალური კაპიტალი. მოსარჩელის მითითებით, ეს იყო 3 მლნ აშშ დოლარი, ხოლო მოპასუხეების მითითებით – 6 მლნ ტოკენის გაყიდვა. მინიმალური კაპიტალის შეუსრულებლობა კი ნიშნავდა პროექტის ავტომატურ ჩაშლას, რის შემდეგაც ინვესტიორებს თანხები ავტომატურად უკან უნდა

დაბრუნებოდათ. სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია მინიმალური კაპიტალის ოდენობად 3 მლნ აშშ დოლარის მიჩნევის შესახებ მოსარჩელის პოზიცია და აღნიშნა, რომ მინიმალური კაპიტალი გამოხატული უნდა იყოს მყარ ერთეულში, რომელიც ორივე მხარეს მისცემს შესაძლებლობას, ნება გამოხატონ ერთმნიშვნელოვნად და არაორაზროვნად (მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც ტოკენების გამცემია მოპასუხე კომპანია ცალმხრივად. ამასთან, ტოკენების გაცემის ფასსაც ის არეგულირებს, რაც ნიშნავს სრულ კონტროლს პროცესზე). საბოლოოდ, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხეთა პოზიცია იმის შესახებ, რომ პროექტის მინიმალური კაპიტალი შეადგენდა 6 მლნ ტოკენს და დაასკვნა, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდებოდა პროექტის დასრულებისას (2018 წლის 10 ივნისს) 3 მლნ აშშ დოლარით soft cap-ის შევსება.

5.12. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მოსარჩელის მოთხოვნის – ე.წ გონიერი კონტრაქტისა და მის საფუძველზე შესრულებული ტრანზაქციების (ტოკენების შეძენის შესახებ) – ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობა.

5.13. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 463-ე, 464-ე, 976-ე მუხლებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.6 მუხლით და დაასკვნა, რომ მოპასუხე კომპანიისა და მისი დირექტორის მიმართ მოსარჩელის მიმართ პასუხისმგებლობის სოლიდარულად დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანია, ვინაიდან დირექტორი წარმოადგენდა კომპანიას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ქმნიდა ICO-ს, მაგრამ არ ზრუნავდა მის განხორციელებაზე. ამასთან, სასამართლომ დაადგინა კომპანიის მხრიდან მოსარჩელის მოტყუების ფაქტიც (ვინაიდან ICO-ს მონაცემები არ ემთხვეოდა რეალურ მდგომარეობას), და ის გარემოება, რომ კომპანიას არ ჰქონდა შემოსავალი, როგორც ამაზე დირექტორი ინვესტორებს უქმნიდა წარმოდგენას, არამედ ჰქონდა შესასრულებელი ვალდებულებები. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კომპანიის დირექტორმა კომპანია გამოიყენა საკუთარი ვალდებულებებისაგან თავის ასარიდებად, ვინაიდან კომპანიიდან გაიტანა ეთერიუმები, ხოლო კომპანია გამოიყენა ინვესტიციების მოსაზიდ ინსტრუმენტად (სააპელაციო პალატის დასკვნით, მოსარჩელის პოზიციის მართებულობას უფრო სარწმუნოს ხდიდა ის ფაქტი, რომ სწორედ 2018 წლის აპრილში, ანუ ICO-ს პროექტის მიმდინარეობას ემთხვეოდა კომპანიის დირექტორის მიერ ავტომატური (BMW X5 (2018 წლის მაისში), ლურჯი BMW-ს (2019 წელს), წითელი იაგუარის (2018 წლის ივლისში), შავი მერსედესის (2019 წელს)) შეძენის ფაქტი, რომელთა ღირებულების დაფარვის წყაროც მო-

პასუხეს არ დაუდასტურებია, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც კომპანიას ეკისრა ფულადი ვალდებულებები, რაც „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ საფუძველზე მოპასუხე კომპანიასთან ერთად მისი დირექტორისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის დაკისრების საფუძველს ქმნიდა.

5.14. რაც შეეხება მოპასუხე ვ. ე-ვის (კომპანიის 10% წილის მფლობელი პარტნიორის) პასუხისმგებლობის საკითხს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მის მიმართ წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივსამართლებრივი წინაპირობა, ვინაიდან ვ. ე-ვმა მოპასუხე კომპანიის წილი შეიძინა 2018 წლის ოქტომბერში და ორგანიზაციის პარტნიორად ფიქსირდება იმავე წლის 1-ელი ნოემბრიდან, სადავო ICO-ს პროექტის განხორციელების ვადა კი იწურებოდა 2018 წლის 10 ივნისს. შესაბამისად, ვინაიდან პროექტის განხორციელებისას იგი არ იყო მოპასუხე კომპანიის პარტნიორი, მისთვის პასუხისმგებლობის და, მითუმეტეს, „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დაკისრება ვერ გამართლდებოდა.

5.15. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილითაც და აღნიშნა, რომ გამდიდრების ობიექტი ფულადი თანხაა და მისი განსაკუთრებული ბრუნვაუნარიანობა და შემოსავლის მიღების თავისთავადი თვისება უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს წარმოუშობს კრედიტორისადმი მიუღებელი შემოსავლის სახით პროცენტის გადახდის ვალდებულებას, მიუხედავად ბრალისა. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ საპროცენტო სარგებლის დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო და მოპასუხე კომპანიას დირექტორთან ერთად სოლიდარულად უნდა დაჰკისრებოდა სადავო თანხის (216 044 აშშ დოლარის) 4%-ის გადახდა სარჩელის შეტანიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

6. მოსარჩელისა და მოპასუხეების საკასაციო საჩივრების მოთხოვნა:

6.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა – კომპანიამ და კომპანიის დირექტორმა (შემდგომში, პირველი საკასაციო საჩივრის ავტორები), ასევე, მოსარჩელემ (შემდგომში, მეორე საკასაციო საჩივრის ავტორი).

6.2. პირველი საკასაციო საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა;

6.3. მეორე საკასაციო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღე-

ბით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

7. პირველი საკასაციო საჩივრის ავტორების (მოპასუხე კომპანიისა და მისი დირექტორის) საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

7.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ე.წ. „თეთრი ფურცელი“ და „ჭკვიანი კონტრაქტი“ და არასწორად გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის ერთადერთ იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს ე.წ. „თეთრი ფურცელი“, რომელსაც სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ საინფორმაციო დატვირთვა აქვს, ხოლო „ჭკვიანი კონტრაქტი“, რომელიც მხოლოდ კოდების ერთობლიობად შეფასდა, სწორედაც რომ, მხარეთა მიერ ხელმოწერილი ელექტრონული ხელშეკრულებაა, რომელიც იურიდიულ შედეგებს წარმოშობს. იმ პირობებში, როდესაც ე.წ. „თეთრი ფურცლის“ პირველივე გვერდზე გარკვევით წერია, რომ ეს ფურცელი არ მოიცავს სახელშეკრულებო ურთიერთობის რაიმე ელემენტს, იგი არ შეიძლება სასამართლოს მიეჩნია მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ დოკუმენტად. ამასთან, უდავოა, რომ თეთრ ფურცელს მხარეები ხელს არ აწერენ და, შესაბამისად, არ დგინდება მასზე მხარეთა ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა. იგი უბრალოდ აცნობდა პოტენციურ ინვესტორებს კომპანიის მომავალ ხედვას ტოკენების გამოშვებასთან დაკავშირებით, წარუდგენდა მათ შესაბამისი საქმიანობის მოდელს და პირდაპირ აცხადებდა, რომ ეს ფურცელი არ მოიცავდა რაიმე სახელშეკრულებო ელემენტს და მას მხოლოდ საინფორმაციო დატვირთვა ჰქონდა (სხვაგვარად რომ ითქვას, თეთრი ფურცლის ერთადერთი მიზანი იყო ინფორმაცია მიეწოდებინა ტოკენების პოტენციური მფლობელებისთვის, რათა მათ თავად განესაზღვრათ, შეიძენდნენ თუ არა ა-ტოკენებს). თეთრ ფურცელში ასევე, აღნიშნული იყო, რომ მაინინგფერმის მშენებლობის ვადები ეფუძნებოდა გონივრულ შეფასებებს, მაგრამ ეს არ იყო გარანტირებული, რადგან, ზოგადად, კრიპტოვალუტები უკიდურესად არასტაბილურია და კომპანია შეიძლება დაზარალებულიყო ამ ფასების მკაცრი ცვლილებებით, ტოკენებს შესაძლოა, შეჰქმნოდათ ბაზარზე შეზღუდული ლიკვიდურობის რისკი (მენეჯმენტს შესაძლოა, ვერ გამოეშვა ტოკენები ან, თუ გამოუშვებდა, ვერ უზრუნველყო მათი მომგებიანობა). ამრიგად, თეთრი ფურცლით იურიდიული ძალის მქონე რაიმე შეთანხმება მხარეთა შორის ვერ მიიღწეოდა და განისაზღვრებოდა მხოლოდ ე.წ. „სმარტ კონტრაქტით“, რაზეც ელექტრონულად ხელი მოაწერა კიდევც მოსარჩელემ. სწორედ, ჭკვიანი კონტრაქტით განისაზღვრა, რომ მინიმალური კაპიტალი, ანუ „სოფთკაპი“, რომლის გაყიდვაც მოპასუხე კომპანიას უნდა მოეხერხებინა, იყო 6 000 000 ა-ტოკენი, რაც კომპანიამ განახორციელა კიდევც წარმატებით ხელშეკრულებით დადგენილი

ვადით (2018 წლის 10 ივნისს, 13:08 საათზე, თავად მოსარჩელემ განახორციელა მესამე ტრანში (110 ეთერიუმი), რის სანაცვლოდაც მოპასუხე კომპანიის ანგარიშიდან მას ავტომატურად ჩაერიცხა 148 324 ა-თოკენი);

7.2. სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა თავად მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოება, რომ სწორედ ჭკვიანი კონტრაქტია ის მთავარი დოკუმენტი, რაზეც მხარეები ხელს აწერენ და რის შემდეგაც ხელშეკრულება შედის ძალაში. მოსარჩელევე მიუთითებდა, რომ ჭკვიანი კონტრაქტის შენახვისთვის აუცილებელია მისი ბლოკჩეინპლატფორმაზე ჩაწერა. მოცემულ შემთხვევაში კი, დადგენილია, რომ აღნიშნული კონტრაქტი ჩაწერილია ეთერსკანზე, რომელიც ბლოკჩეინის პლატფორმაა და რისი შემდგომში შეცვლაც შეუძლებელია (ნებისმიერ პირს შეუძლია კონტრაქტის გახსნა და მასში განერილი პირობების მონახულება);

7.3. სასამართლომ არასწორად დაასკვნა ისიც, რომ „სოფთ კაპი“ 3 000 000 აშშ დოლარი იყო და ამ დასკვნისას იგი დაეყრდნო ICO-ს, მაშინ, როდესაც ICO-ს არანაირი სამართლებრივი დატვირთვა არ გააჩნია. „ჭკვიანი კონტრაქტის“ მიხედვით, კი მინიმალური „სოფთ კაპი“ 6 000 000 აშშ ტოკენს შეადგენდა. სააპელაციო სასამართლოს დოლარის კურსით არ უნდა განესაზღვრა „სოფთ კაპი“, ვინაიდან ინვესტირება ხდებოდა კრიპტოვალუტით, რომელთა ღირებულება დოლართან მიმართებით ყოველწუთიერად და ყოველწამიერად იცვლებოდა და კომპიუტერული პროგრამა ვერ გამოიცინობდა წინასწარ, თუ რა იქნებოდა მისი ღირებულება ICO-ს დამთავრებისას (2018 წლის 10 ივნისს) ან მის შემდგომ, როდესაც ეთერიუმები გადაიცვლებოდა აშშ დოლარზე. „თეთრ ფურცელში“ ნახსენებ 3 000 000 აშშ დოლარს რომ მხოლოდ პირობითი დატვირთვა ჰქონდა, ამას ადასტურებს კომპანიის მთავარი ამოცანაც, ხელშეკრულების თანახმად, 6 000 000 ა-თოკენის რეალიზაცია, ერთი ტოკენის საშუალო ფასი „თეთრ ფურცელში“ ჩაიწერა 0,50\$, მაგრამ უნდა გადახდულიყო ეთერიუმებით, რომელიც ICO-ს წარმატებით დამთავრების მომენტამდე, 6 000 000 ა-თოკენის გაყიდვამდე, პროგრამულად დაბლოკილი იყო და მას ვერც კომპანია და ვერც ინვესტორი ვერ შეეხებოდა (ანუ მასზე წვდომა ორივე მხარეს ეზღუდებოდა). ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ICO წარმატებით დასრულდებოდა, პროგრამა მოხსნიდა შეზღუდვას და კომპანიას შეეძლებოდა ICO-ს ანგარიშზე არსებულ ეთერიუმებზე ხელის ხლების უფლება, ხოლო ICO-ს წარუმატებლობით დამთავრების შემთხვევაში (ანუ, თუ 6 000 000 ტოკენი ვერ გაიყიდებოდა), ინვესტორს ჰქონდა უფლება, უკან გამოეთხოვა მის მიერ ჩარიცხული ეთერიუმები ლილაკზე თითის დაჭერით. რადგან ერთი ტოკენის საშუალო ფასს მოპასუხე კომპანია ვარაუდობდა 0.50 \$-ს, ამიტომაც

ჩაინერა თეთრ ფურცელში 3 000 000 \$ ($6\,000\,000 \times 0.50 = 3\,000\,000$ \$), მაგრამ ეს 50 ცენტი იყო ვაჭრობის საგანი. როდესაც კომპანიამ ჭკვიანი კონტრაქტი დადო ეთერსკანზე და თავის ვებგვერდზე, ტოკენის ფასი დაიყო – პირველი 17 მლნ ტოკენის ფასად განისაზღვრა 0,40 \$, 17 მლნ-დან 20 მლნ-მდე გაყიდულ ტოკენებზე – 0,40 \$, თუ გაიყიდებოდა 20 მლნ-ზე მეტი ტოკენი – 0,475 \$, ხოლო 40 მლნ-ზე მეტი ტოკენის გაყიდვის შემთხვევაში, ფასი განისაზღვრებოდა 0,50 \$-ით. ხელშეკრულებაში არსად არ იყო ნახსენები 3 000 000 აშშ დოლარი. მოსარჩელე გაეცნო ამ ხელშეკრულებას და შესაბამისი უჯრის მონიშვნით დაადასტურა მისი წაკითხვა, ამის შემდეგ კი გადავიდა შემდეგ გვერდზე, სადაც მას უკვე ეთერიუმებით ტოკენების შეძენის უფლება მიეცა. სხვაგვარად ის ხელშეკრულების მომდევნო გვერდზე ვერ გადავიდოდა და ვერც ტოკენების ყიდვას ვერ შეძლებდა. მოსარჩელემ წაკითხა რა ჭკვიანი კონტრაქტი, გაეცნო კომპანიის სამომავლო გეგმებს, რაც ასახული იყო საინფორმაციო ფურცელში, მან გაითავისა ყველა ის რისკები და საფრთხეები, რომელთა შესახებაც კომპანია თეთრი ფურცლით ატყობინებდა პოტენციურ ინვესტორებს და თავისი ეთერიუმები, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჩარიცხა კომპანიის აისიოს ანგარიშზე. აისიოს დასრულების შემდეგ კი, როცა მოსარჩელემ მოპასუხისგან ბონუსტოკენებიც კი მიიღო და მას კომპანიისგან არ მოუთხოვია ეთერიუმების უკან დაბრუნება, გაუგებარია, სააპელაციო სასამართლო რის საფუძველზე ასკვნის, რომ მოპასუხემ იგი მოატყუა და თაღლითურად დაეუფლა მის თანხებს.

7.4. სააპელაციო სასამართლო არასწორადვე უთითებს მოპასუხე კომპანიის მხრიდან თანხების არამიზნობრივად ხარჯვაზე და უმართებულოდ აპელირებს კომპანიის დირექტორის მიერ ოთხი ძვირადღირებული ავტომანქანის შეძენაზე, მაშინ, როდესაც საქმის მასალებით დგინდება, რომ მითითებული ავტომანქანებიდან ერთი შეძენილია მანამ, სანამ კომპანიას ჩარიცხულ ეთერიუმებზე მიუწვდებოდა ხელი, ხოლო ორი მათგანი – ICO-ს დასრულებიდან საკმაოდ დიდი ხნის (13 და 15 თვის) გასვლის შემდეგ, როცა კომპანიაში ყველა ხარჯითი ოპერაცია დასრულებული იყო, ყველა ხარჯი მიზნობრივად იყო განეული, შეძენილი იყო ყველა საჭირო ინვენტარი, ნაყიდი იყო ელენერგიის სიმძლავრე და აშენებული იყო მაინინგფერმა. შესაბამისად, ამ მანქანების შეძენას ICO-ს ეთერიუმებთან კავშირი ვერ ექნებოდა. რაც შეეხება მეოთხე ავტომანქანას, რომელიც კომპანიის დირექტორს შეძენილი აქვს ICO-ს დასრულებიდან ერთ თვეში 30 000 აშშ დოლარად, მაშინ, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ კომპანიის დირექტორის საბანკო ანგარიშებზე ICO-ს ეთერიუმებზე წვდომამდეც საკმაოდ სოლიდური თანხა ფიქსირდებოდა (358 902 ლარის, 477 690

აშშ დოლარისა და 84 963 ევროს ბრუნვა), მითითებული ღირებულების ავტომატური პირადი თანხით შეძენა შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო.

7.5. კომპანიის დირექტორის მიმართ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ საფუძველზე თანხის დაკისრება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველსაც, ვინაიდან მსგავსი სახის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ბოროტად გამოიყენა ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა და ამით მიიღო სარგებელი. მოპასუხე კომპანიის დირექტორს კი, რაიმე სარგებელი კომპანიისგან არ მიუღია, რაც უტყუარად დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

7.6. სააპელაციო სასამართლოს სხვა მტკიცებულებებთან ერთად უნდა გამოეკვლია საქმეზე წარდგენილი, სპეციალისტის – დ. ქ-ის დასკვნა, რომლითაც დასტურდება ICO წარმატებით დასრულება, რაც ნიშნავს, რომ ხელშეკრულების ერთადერთი საგანი, სოფტკაპი, 6 მლნ ტოკენი, უდავოდ რეალიზდა.

8. მეორე საკასაციო საჩივრის ავტორის (მოსარჩელის) საკასაციო საჩივრის საფუძველები:

8.1. სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაასკვნა, რომ ICO-ში ასახული პირობები რეალურად არ შესრულებულა, მოსარჩელე მოატყუეს და კომპანიის დირექტორმა კომპანია გამოიყენა ინვესტიციების მოსაზიდად და საკუთარი ვალდებულებებისაგან თავის ასარიდებლად. სასამართლომ ასევე მართებულად შეაფასა ფაქტობრივი გარიგებების უმრავლესობა, თუმცა მან არასწორად განმარტა, რომ ICO დამოუკიდებლად არ წარმოადგენს გარიგებას, ვინაიდან იგი არის ოფერტი და მის საფუძველზე შეიქმნა ჭკვიანი კონტრაქტი, როგორც გარიგების რეალურად განხორციელების საშუალება და მექანიზმი.

8.2. ICO არის მთავარი დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა, მასში მითითებულია ინვესტიციის პირობები და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები (ეს დოკუმენტი შეიძლება შედარდეს ემისიის პროსპექტს, რომელიც გამოიცემა აქციების გამოშვების დროს და რომელიც ასევე მოიცავს სრულ ინფორმაციას ინვესტორებისთვის დაგეგმილ პროექტზე). ამდენად, იგი სასამართლოს უნდა მიეჩნია ხელშეკრულებად და ბათილად ეცნო, როგორც მოტყუებით დადებული გარიგება.

9. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

9.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 9 მარტის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივრები წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

9.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის 2024 წლის 6 მარტის განჩინებით – საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად გამოაქვს დასკვნა, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოპასუხის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

10. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

11. პირველი საკასაციო საჩივრის ავტორები სადავოდ ხდიან როგორც, ზოგადად, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის სასამართლოს მხრიდან შეფასების სისწორეს, ისე – ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტების – ICO-ს, თეთრი ფურცლისა და ჭკვიანი კონტრაქტის სამართლებრივ შედეგებსაც და იმასაც, თუ რას გულისხმობდა ე.წ „სოფთ კაპი“ და შეგროვდა თუ არა იგი ICO-ში მითითებული პირობების შესაბამისად. მეორე კასატორი კი მიიჩნევს, რომ, მართალია, სააპელაციო სასამართლომ მართებულად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებების უმრავლესობა, თუმცა მან არასწორად განმარტა ICO-ს, როგორც სამართლებრივი დოკუმენტის, მოქმედების ფარგლები და არასწორად დაასკვნა, რომ იგი დამოუკიდებლად არ წარმოადგენდა გარიგებას. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ შეიცავს პრეტენზიას მოპასუხე ვ. ე-ვის მიმართ, შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილება (რომლითაც სარჩელი ვ. ე-ვის მიმართ არ დაკმაყოფილდა) საბოლოოა და შესულია კანონიერ ძალაშია შესაბამისად, მასზე საკასაციო პალატა აღარ იმსჯელებს.

12. კასატორების პრეტენზიების შემონმების მიზნით, უპირველესად, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი სახე

უნდა განისაზღვროს და მხოლოდ ამის შემდეგ შეფასდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება.

13. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნავს სასამართლოს ვალდებულება და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში ასახული აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგს.

14. განსახილველი დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან შესაფასებელია მოსარჩელესა და მოპასუხე კომპანიას შორის გაფორმებული ე.წ. „სმარტ კონტრაქტის“ ანუ ქვეიანი კონტრაქტისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების – ICO-სა და თეთრი ფურცლის ნამდვილობის, ასევე, ე.წ. „სოფტ კაპის“ არსებობა-არარსებობის საკითხი, საკასაციო სასამართლო, უპირველესად, საჭიროდ მიიჩნევს, თანმიმდევრობით განმარტოს თითოეული მათგანის არსი და ერთმანეთთან ურთიერთქმედება, ხოლო შემდეგ, საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებით, შეაფასოს კასატორების პრეტენზიები.

14.1. რა არის აისიოუ (ICO – Initial Coin Offering – მონეტების თავდაპირველი შეთავაზების დოკუმენტი) და თეთრი ფურცელი (White Paper)?

კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის ტექნოლოგიის სამყაროში ხშირად გამოიყენება ტერმინები „მონეტების საწყისი შეთავაზება“ (ICO) და „White Paper“ ანუ „თეთრი ფურცელი“. ორივე განუყოფელი ახალი კრიპტოვალუტის პროექტების წამოწყებისა და განვითარებისთვის. ამ ორ კონცეფციას შორის განსხვავებებისა და მსგავსების გაგება გადამ-

წყვეტია ინვესტორებისთვის, დეველოპერებისა და კრიპტოსივრცეში ერთუზიასტებისთვის (იხ. <https://www.coindesk.com/markets/2018/06/14/the-eos-blockchain-is-now-officially-live/>).

ICO შექმნილია მენარმეებისთვის, რათა მოიძიონ გარე ფინანსები შუამავლის გარეშე ტოკენების ემისირების მიზნით. ადრეულ ეტაპზე, დაფინანსების არსებული მექანიზმებისგან განსხვავებით, ტოკენები პოტენციურად აძლევს ინვესტორებს სწრაფ შესაძლებლობებს, ინვესტიციის საფუძველზე მიიღონ შესაბამისი სახის ფინანსური ზრდა, თუმცა, ICO ბაზარი ძალიან მგრძნობიარეა სხვადასხვა სახის ეკონომიკური შოკების მიმართ (იხ. How Do Bitcoin Transactions Work?, COINDESK <https://www.coindesk.com/information/how-do-bitcoin-transactions-work/>), რაც წარმოშობს მათში ინვესტირების შემდგომ წარუმატებლობის დიდ რისკებსა და ინვესტორების კეთილდღეობის მნიშვნელოვან დანაკარგებს (იხ. Measuring ICO Performance Indicators: An Empirical Study Via White Papers, Charlotte; Shiao-Han Wu; Huang-Chih Sung; Tsung-Chi Cheng, 2019 IEEE International Conference on Blockchain and Cryptocurrency (ICBC) 14-17 May 2019, Seoul), ტრადიციული ფინანსური ბაზრის მსგავსად, ICO-ს შემთხვევაშიც კომპანიის აქტივები საჯაროდ თავსდება, თუმცა სწორედ ამ აქტივის სამართლებრივი ბუნებაა განსხვავებული – ტრადიციული საჯარო განთავსება (შეთავაზება) გულისხმობს საწარმოს აქციების წილების გასხვისების სურვილს, რაც მყიდველს აქცევს კომპანიის მფლობელად, ხოლო ICO-ს შემთხვევაში, კომპანია ყიდის არა წილს, არამედ ციფრულ ტოკენებს, რომელიც მყიდველს არ წარმოუშობს საწარმოს წილზე უფლებას, რადგან ციფრული ტოკენები არის ელექტრონულად გამომუშავებული კრიპტოვალუტა და არა კომპანიის წილი (შედარებისთვის იხ. ARVIND NARAYANAN ET AL., BITCOIN AND CRYPTOCURRENCY TECHNOLOGIES 263–70 (2016)).

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირია ICO-ს და თეთრი ფურცლის ერთი კონტექსტით გამოყენება, მართალია, ისინი სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტებია, თუმცა მჭიდროდ უკავშირდება ბლოკჩეინისა და კრიპტოვალუტის პროექტების კონტექსტს (იხ. Martin Pochyla, International Remittances and New Technologies, in SELECTED PAPERS OF THE 19TH INTERNATIONAL CONFERENCE ON INFORMATION TECHNOLOGY FOR PRACTICE 251, 256). ICO არის სახსრების მოზიდვის მეთოდი, რომელსაც იყენებენ ბლოკჩეინის სტარტაპები კაპიტალის მოსაზიდად ინვესტორებისთვის საკუთარი კრიპტოვალუტის ტოკენების გაცემით. ეს ტოკენები, როგორც წესი, იყიდება დამკვიდრებული კრიპტოვალუტების სანაცვლოდ, როგორებიცაა, მაგალითად, ბიტკოინი და ეთერიუმი.

რაც შეეხება თეთრ ფურცელს, ესაა დოკუმენტი, რომელიც ასახავს ბლოკჩეინის პროექტის ტექნიკურ დეტალებს, ხედვასა და ბიზნესმო-

დელს. როგორც წესი, ის შეიცავს პრობლემის შესახებ ინფორმაციას, რომლის გადაჭრასაც პროექტი მიზნად ისახავს, მის შემოთავაზებულ გადაწყვეტას, მის მიღმა არსებულ ტექნოლოგიას, დეტალებს სიმბოლური ეკონომიკის, პროექტის უკან მყოფი გუნდის შესახებ და ზოგჯერ განვითარების საგზაო რუკას. მისი მიზანია, პოტენციურ ინვესტორებსა და მომხმარებლებს მიაწოდოს პროექტისა და მისი მიზნების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად, ხშირია შემთხვევა, როდესაც ინვესტორების მოსაზიდად გასაჯაროებულ თეთრ ფურცელს თან ახლავს ICO-ები, აქედან გამომდინარე, ICO, შესაძლოა, იყოს თეთრი ფურცლის შემადგენელი ნაწილიც (იხ. Jay Preston, Initial Coin Offerings: Innovation, Democratization and the SEC, 16 DUKE L. & TECH. REV. 318, 318 & nn.1–2 (2018)).

ICO-ს უპირველესი მიზანია ბლოკჩეინის პროექტისთვის სახსრების მოზიდვა ინვესტორებისთვის ციფრული ტოკენების გაყიდვით. ეს ნიშნები შეიძლება წარმოადგენდეს პროექტის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტსა ან სერვისზე მომავალ ხელმისაწვდომობას. თეთრი ფურცლის პირველადი მიზანი კი პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებაა, მათ შორის მისი ტექნიკური მახასიათებლების, პრობლემის გადაჭრის, შემოთავაზებული გადაწყვეტის, პროექტის მიღმა მყოფი გუნდისა და მისი ბიზნესმოდელის ჩათვლით. ICO ამოქმედდება თეთრი ფურცლის გამოქვეყნების შემდეგ. ეს არის ეტაპი, სადაც ინვესტორებს სთავაზობენ ტოკენების შეძენას. თეთრი ფურცელი ჩვეულებრივ გამოდის ICO-ს წინ ან პარალელურად. ის უზრუნველყოფს პოტენციურ ინვესტორებს აუცილებელი ინფორმაციით, რათა შეაფასონ პროექტი და გადაწყვიტონ, დასთანხმდებიან თუ არა ICO-ს მიღებას (იხ. Holoweiko S, what is an ICO? Defining security on the blockchain, George Washington journal, vol. 87, N6, 2019).

ICO-ს მოკლე აღწერა:

ICO-ს, იგივე მონეტების საწყისი შეთავაზების, ბუნება შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმებით დახასიათდეს: 1) მიზანი: ციფრული ხალხმრავალი დაფინანსების კამპანიის მსგავსად, კომპანიები ყიდნიან ტოკენებს (როგორც ციფრული მონეტები) თავიანთი პროექტებისთვის ფულის მოსაზიდად, შესაბამისად, ესაა შეთავაზება, იგივე მონეტა ოპერატორზე; 2) ბუნება/რისკი: იყიდება ისეთი სახის ტოკენები, რომელსაც ყიდვის დროს, შესაძლოა, სულაც არ ჰქონდეს ღირებულება, თუმცა შესაძლებელი იყოს ფასის გაზრდა; 3) დრო: ICO-ს წარდგენა ხდება ორი სახით: პირველი, როდესაც თეთრი ფურცელი გამოიცემა, შესაბამისი საზოგადოება გაეცნობა მას და ამის შემდეგ გამოვა ICO, მეორე, როდესაც თავად თეთრი ფურცელთან ერთად გამოდის ICO. მთავარი აქისაა, რომ ICO-ს წარდგენა თეთრ ფურცელს წინ ვერ გაუსწრებს; 4) შინაარსი:

მოიცავს დეტალებს იმის შესახებ, თუ რამდენი ტოკენი იყიდება, რა ფასად და როგორ იქნება გამოყენებული ფული.

თეთრი ფურცლის მოკლე აღწერა:

თეთრი ფურცლის დახასიათება, შესაძლებელია, დაიყოს შემდეგი სახით: 1. მიზანი: ესაა ერთგვარი მოკლე ანალიზი, ანოტაცია, რომელიც განმარტავს, თუ რის შესახებაა პროექტი, რა მიზნები აქვს მას, როგორ მუშაობს და ვინ დგას მის უკან; 2) ბუნება: მოკლე ანოტაცია იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს აღნიშნული მიზნების განხორციელებას და რაში გამოიყენებს მოზიდულ ინვესტიციას; 3) დრო: თეთრი ფურცელი წინ უსწრებს ან გამოიცემა ICO-სთან ერთად; 4) შინაარსი: მოიცავს ყველაფერს პროექტის შესახებ: პრობლემას, რომელსაც ის წყვეტს, ტექნოლოგიას, რომელსაც იყენებს, მასზე მომუშავე გუნდს და რის მიღწევას ისახავს მიზნად (იხ. Florysiak D., the information content of ICO white papers, jan. 15, 2019).

მართალია, თავად თეთრი ფურცელი შეიძლება პირდაპირ არ იყოს შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირებული, თუმცა ის შეიძლება შეიცავდეს მარეგულირებლის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას. მაგალითად, თუ პროექტი გულისხმობს ტოკენების გაცემას ICO-ს მეშვეობით, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, თეთრი ფურცელი უნდა შეესაბამებოდეს ფასიანი ქაღალდების რეგულაციებს შეთავაზებისა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. ის უნდა შეიცავდეს პროექტთან დაკავშირებული რისკების შესახებ მკაფიო და ყოვლისმომცველ ინფორმაციას, მათ შორის – ტექნიკური, მარეგულირებელი, საბაზრო და ოპერატიული რისკების შესახებ. რისკების არაადეკვატურად გამჟღავნებამ შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ ინვესტორები განიცდიან ზარალს გაუთვალისწინებელი რისკების შედეგად.

განსხვავება და კავშირი ICO-სა და თეთრი ფურცელს შორის

შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ICO და თეთრი ფურცელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ბლოკჩეინის პროექტების კონტექსტით, ისინი ემსახურება განსხვავებულ მიზნებს და აქვთ განსხვავებული მახასიათებლები. ICO არის ფონდების მოზიდვის ღონისძიება, რომელიც მოიცავს ტოკენების გაყიდვას, ხოლო თეთრი ფურცელი არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ ICO და თეთრი ფურცელი ასრულებს განსხვავებულ ფუნქციებს კრიპტოვალუტის პროექტის სასიცოცხლო ციკლში, ისინი ურთიერთდაკავშირებულია და ორივე გადამწყვეტია პროექტის წარმატებისთვის. ICO უზრუნველყოფს საჭირო თანხებს, ხოლო თეთრი ფურცელი აყალიბებს ნდობის საფუძველს, რომელიც საჭიროა ამ თანხების მოსაზიდად.

ისინი ერთად ქმნიან სიმბიოზურ ურთიერთობას, რომელიც განაპირობებს ბლოკჩეინის ახალი ინოვაციების ზრდასა და განვითარებას.

ICO-ს დასრულების/გაუქმების ან გადადების საფუძველი:

ICO-ს დაწყების შემდეგ, მისი მთლიანად გაუქმება, როგორც წესი, მარტივი არ არის, თუმცა, არსებობს რამდენიმე სცენარი, როდესაც ICO შეიძლება ეფექტურად გაუქმდეს ან გადაიდოს:

ნებაყოფლობითი გატანა: ზოგიერთ შემთხვევაში, ICO-ს ორგანიზატორებს შეუძლიათ, აირჩიონ ნებაყოფლობით გააუქმონ შეთავაზება მის დასრულებამდე. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გამონეგული იყოს სხვადასხვა მიზეზით, როგორიცაა: მარეგულირებელი პრობლემები, ინვესტორების არასაკმარისი ინტერესი ან პროექტის მიმართულების ცვლილებები.

სამართლებრივი ან მარეგულირებელი ინტერვენცია: საქართველოში აღნიშნული საკითხი კანონმდებლობით არ წესრიგდება, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში შესაბამის ორგანოებს შეუძლიათ ჩაერიონ და შეაჩერონ ICO, თუ ისინი დაადგენენ, რომ ის არღვევს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონებს ან საფრთხეს უქმნის ინვესტორებს. ასეთ შემთხვევებში, ICO შეიძლება ფაქტობრივად გაუქმდეს ან შეჩერდეს საკითხების გადაწყვეტამდე (Pastwa A., Shrestha P., end others, Unpachikn the black box of ico white papers: a topic modeling approach, Lidam discussion paper LFIN 2021/18).

ტექნიკური საკითხები: თუ მნიშვნელოვანი ტექნიკური საკითხები წარმოიქმნება ICO პროცესის დროს, როგორიცაა: უსაფრთხოების დარღვევა, პლატფორმის გაუმართაობა ან ჭკვიანი კონტრაქტის დაუცველობა, ორგანიზატორებმა შეიძლება გადაწყვიტონ, შეაჩერონ შეთავაზება ამ საკითხების გადასაჭრელად. ამან შეიძლება ეფექტურად შეაჩეროს ან გააუქმოს ICO ტექნიკური საკითხების გადაწყვეტამდე. ფორსმაჟორული მოვლენები: იშვიათ შემთხვევებში, ICO-ს ორგანიზატორების კონტროლის მიღმა გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა, როგორიცაა: ბუნებრივი კატასტროფები, ომები ან პანდემიები, შეიძლება დაარღვიოს ან გააუქმოს ICO. ამ მოვლენებმა, შესაძლოა, არაპრაქტიკული ან შეუძლებელი გახადოს შეთავაზების დაგეგმვის მიხედვით გაგრძელება.

დაბალი მონაწილეობა: თუ ICO ვერ მოიზიდავს ინვესტორების საკმარის ინტერესს ან არ მოიზიდავს თანხების სავარაუდო რაოდენობას მითითებული ვადის მიხედვით, ორგანიზატორებს შეუძლიათ, აირჩიონ შეთავაზების გაუქმება ან გადადება. ეს გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ არასაკმარისი დაფინანსების პროექტი ან გადაიხედოს დაფინანსების მოზიდვის სტრატეგია.

ICO-ს ორგანიზატორებისთვის მნიშვნელოვანია ინვესტორებსა და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია, თუ ისინი გადაწყვეტენ ICO-ს გაუქმებას ან გადადებას, მათ უნდა მიაწოდონ გადაწყვეტილების შესახებ მკაფიო განმარტებები და განჭვრიტონ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელსაც ისინი გადადგამენ სიტუაციის მოსაგვარებლად, როგორიცაა: ინვესტორებისთვის თანხის დაბრუნება ან შეთავაზების ხელახლა დაგეგმვა. გარდა ამისა, ICO-ს ორგანიზატორებმა უნდა იცოდნენ ნებისმიერი სამართლებრივი ან სახელმეპკრულებო ვალდებულება, რომელიც მათ აქვთ ICO-ს გაუქმებასთან ან გადადებასთან დაკავშირებით.

ICO-ს პროექტების სამართლებრივი რეგულირება:

ზოგიერთ ქვეყანაში ICO-ს პროექტები ექვემდებარება სხვადასხვა სამართლებრივ რეგულირებას, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციის მიხედვით. ზოგი ქვეყნის კანონმდებლობით ICO-ების მეშვეობით გამოშვებული ტოკენები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც ფასიანი ქაღალდები და, შესაბამისად, ექვემდებარება ფასიანი ქაღალდების რეგულაციებს. ეს შეიძლება მოიცავდეს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა: რეგისტრაცია მარეგულირებელ ორგანოებში, ინვესტორებისთვის შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნება და ინვესტორების დაცვის კანონებთან შესაბამისობა.

საქართველოში ICO-ს პროექტები ჯერჯერობით სამართლებრივ რეგულირებას არ ექვემდებარება. 2023 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა ვირტუალურ აქტივთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები, (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, №94/04 2023 წლის 13 ივნისი, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე), რომლებიც ითვალისწინებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეგისტრაციას, ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენას და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კუთხით ზედამხედველობას. საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმებას, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენას, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით შემოწმებასა და რეგულირებას, ვირტუალური აქტივის გადაცემისას თანმხლები ინფორმაციის განსაზღვრას, წერილობითი მითითებების გაცემას, დამატებითი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და სანქციების დანესებას. შესაბამისად, ამ ეტაპ-

ზე არ არის გათვალისწინებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ზედამხედველობა და პრუდენციული მონესრიგება.

ბრძანების თანახმად, ვირტუალური აქტივი არის ღირებულების ციფრული გამოხატულება, რომელიც არის ურთიერთჩანაცვლებადი და არ არის უნიკალური, წარმოადგენს ციფრული ფორმით გადაცემის ან ვაჭრობის საგანს და გამოიყენება ინვესტირების ან/და გადახდების მიზნით. ვირტუალური აქტივი არ მოიცავს ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ციფრულ გამოხატულებას. იმ შემთხვევაში, თუ აქტივი ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ციფრულ გამოხატულებაა, ასეთი აქტივის მომსახურების განმახორციელებელი პირი შეიძლება დაექვემდებაროს ლიცენზირებას/რეგისტრაციას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის ან სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე. რეგულირებას ექვემდებარება მხოლოდ კონვერტირებადი ვირტუალური აქტივი. კონვერტირებადი ვირტუალური აქტივი არის ვირტუალური აქტივი, რომელსაც ბაზარზე აქვს ეროვნული ან უცხოური ვალუტის, სხვა ვირტუალური აქტივის ან/და ფინანსური ინსტრუმენტის, ეკვივალენტი ღირებულება, რაზეც, შესაძლებელია გადაცემა).

(ICO-ების სამართლებრივი სტატუსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები ICO-ს განიხილავს, როგორც ფასიანი ქაღალდების შეთავაზებას, რაც ნიშნავს, რომ ისინი უნდა დაემორჩილონ ფასიანი ქაღალდების კანონებს. ამან შეიძლება ICO იურიდიულად სავალდებულო გახადოს იმ გაგებით, რომ მან უნდა დაიცვას მარეგულირებელი მოთხოვნები და ინვესტორების წინაშე აღებული ვალდებულებები. აშშ-ში ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟის კომისიას (SEC) შეუძლია ტოკენების კლასიფიკაცია ფასიანი ქაღალდებად. თუ ICO მიიჩნევა ფასიანი ქაღალდების შეთავაზებად, ემიტენტმა უნდა დაიცვას მკაცრი რეგისტრაციისა და გამჟღავნების მოთხოვნები. ICO-ებს ხშირად აქვთ პირობები, რომლებსაც ინვესტორები უნდა დაეთანხმონ. ეს პირობები შეიძლება ასახავდეს ინვესტორებისა და გამცემი სუბიექტის უფლებებსა და მოვალეობებს. თუ ეს პირობები კანონიერად აღსრულდება, მათ შეუძლიათ, შექმნან იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულება მხარეებს შორის. ზოგიერთი ICO შეიცავს დებულებებს ინვესტორების დასაცავად, როგორიცაა – თანხის დაბრუნების მექანიზმები ან ეტაპები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს პროექტის გუნდში სახსრების გაცემამდე. ამ დებულებებს, თუ სათანადოდ არის შემუშავებული და კანონიერად აღსრულებული, შეუძლია, შექმნას ვალდებულებები ICO-ს ემიტენტის მიმართ).

14.2. ჭკვიანი კონტრაქტი (Smart Contract) და ICO-სთან მისი ურთიერთმიმართება

ჭკვიანი კონტრაქტი არის კომპიუტერული კოდების ნაკრები, რომელიც ავტომატურად ადგენს მთელ ხელშეკრულებას ან მის ნაწილს და ინახება ბლოკჩეინზე დაფუძნებულ პლატფორმაზე (იხ. Munoz A Smart Contracts: What Are They and Will They Replace Traditional Contracts?, June 3, 2021, <https://www.romanolaw.com/2021/06/03/smart-contracts-what-are-they-and-will-they-replace-traditional-contracts/>, [15.08.2022]).

ტერმინი „გონიერი ხელშეკრულება“ პირველად 1994 წელს იქნა შემოთავაზებული ამერიკელი მეცნიერის – ნიკ საბოს მიერ. გონიერი ხელშეკრულება არის თვითშესრულებადი ხელშეკრულება მყიდველსა და გამყიდველს შორის, სახელშეკრულებო პირობების დაწერილი კოდის საფუძველზე. კოდი და მასში შემავალი ხელშეკრულებები არსებობს განაწილებულ, დეცენტრალიზებულ ბლოკჩეინის ქსელში. კოდი აკონტროლებს შესრულებას და ტრანზაქციები შეუქცევადია, რადგან მხარეებს ერთმევათ დისკრეციის უფლება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით (იხ. Haverfield W., The Intersection of Blockchain and M&A: Smart Contracts in a Closing, January 27, 2020, <https://www.walterhav.com/the-intersection-ofblockchain-and-ma-smart-contracts-in-a-closing/>, [15.08.2022])).

არსებობს ჭკვიანი კონტრაქტის ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მოდელები. ინტეგრირებულ მოდელში მხარეთა უფლებები და მოვალეობები ნაწილობრივ ან მთლიანად გამოხატულია პროგრამული ენით და არაბუნებრივი ენით, ხოლო არაინტეგრირებული მოდელის დროს გონიერი კონტრაქტი შეიძლება დაიდოს მხოლოდ ბუნებრივი ენით, მაგრამ მოიცავდეს მხარეთა შორის შეთანხმებას მხარეების მიერ კონკრეტული კომპიუტერული პროგრამის გამოყენებაზე ხელშეკრულებების დადების ან ხელშეკრულებების (მთლიანად ან ნაწილობრივ) შესრულების და/ან აღსრულების მიზნით (მაგალითად, კომპანია და დამზღვევი შეიძლება შეთანხმდნენ დამზღვევის ავტომატიზებული საჩივრების განხილვის პროგრამის გამოყენებაზე), (იხ. გონიერი კონტრაქტები: სამართლებრივი და სახელმძღვანელო მითითებები კანონმდებლებისთვის, ოქტომბერი, 2018).

ჭკვიანი კონტრაქტები ავტომატიზებენ ხელშეკრულებების შესრულებას, ამცირებენ შუამავლების საჭიროებას. ჭკვიანი კონტრაქტები და ICO-ები ხშირად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია, ჭკვიანი კონტრაქტები ICO-ს პროცესის ხერხემალია, მაგალითად, ისინი გამოიყენება ICO-ს დროს ტოკენების შესაქმნელად და გასავრცელებლად, განსაზღვრავს წესებს, თუ როგორ იქმნება, როგორ ნაწილდება და იმართება ტოკენები, ასევე, განკარგავენ ICO-ს დროს მოპოვებულ თანხებს.

მათ შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ სახსრები გადაეცემა პროექტის გუნდს მხოლოდ გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც ინვესტორებისთვის უსაფრთხოების ხარისხს ზრდის. მისი გამოყენება ICO-ებში პროცესების ავტომატიზაციასა და ინვესტორებთან ნდობის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს, რადგან პირობები კოდირებულია და ავტომატურად სრულდება, ეს ამცირებს ადამიანური შეცდომის ან თაღლითობის პოტენციალს.

როგორ გამოიყენება ჭკვიანი კონტრაქტი:

პროექტის გუნდი წერს ჭკვიან კონტრაქტს, რომელშიც მითითებულია ICO-ს პირობები, როგორიცაა: დაწყებისა და დასრულების თარიღები, სიმბოლური ფასი და განაწილების წესები. ჭკვიანი კონტრაქტი განთავსებულია ბლოკჩეინზე, რაც მას საჯაროდ ხელმისაწვდომს და უცვლელს ხდის. მისი კოდი განსაზღვრავს ტოკენის გაყიდვის წესებსა და პირობებს, როგორიცაა: ტოკენების ფასი, მთლიანი მიწოდება და როგორ გადანაწილდება ინვესტორებზე. ინვესტორები აგზავნიან სახსრებს (მაგ. ეთერიუმი, ბიტკოინი) სმარტკონტრაქტის მისამართზე. ჭკვიანი კონტრაქტი ავტომატურად გასცემს ტოკენების შესაბამის რაოდენობას ინვესტორების პორტფელში, ამავდროულად, ინახავს მოზიდულ თანხებს და უგზავნის მათ პროექტის გუნდს წინასწარ განსაზღვრული ეტაპების ან პირობების საფუძველზე. ჭკვიანი კონტრაქტების გამოყენებით, ICO-ებს შეუძლიათ, გააძლიერონ გამჭვირვალობა, უსაფრთხოება და ეფექტურობა, რაც მათ ძლიერ ინსტრუმენტად აქცევს ციფრულ ეპოქაში დაფინანსების მოსაზიდად.

ოფერტი და აქცეპტი ჭკვიანი კონტრაქტის დადებისას

ჭკვიანი კონტრაქტის მიღება (აქცეპტი) უნდა განხორციელდეს შეთავაზების (ოფერტის) მსგავსი ფორმით, ე.ი ელექტრონული შეტყობინები სახით, რომელიც ხელმოწერილია მიმღების (აქცეპტანტის) პირადი გასაღებით. თუ აქცეპტანტი არ თანხმდება ოფერტის ზუსტ პირობებზე, ეს არ არის აქცეპტი, არამედ ახალი ოფერტია (Duke A., What Does the CISG Have to Say About Smart Contracts? A Legal Analysis, Chicago Journal of International Law, Vol. 20, No. 1 (2019), 169). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შეთავაზებას (ოფერტს) უნდა მოჰყვეს მიღება (აქცეპტი) ხელშეკრულების დასადავად. ასეთ დროს, პრობლემას წარმოადგენს ბლოკჩეინის ტექნოლოგიის უცვლელობა. გონიერი ხელშეკრულების კოდი არ შეიძლება შეიცვალოს ბლოკჩეინში. შესაბამისად, არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ მიიღონ ის (ან არ მიიღონ). თუ აქცეპტანტი იწყებს ხელშეკრულების შესრულებას, მისი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს ოფერტის ნამდვილ მიღებად. საჭიროა აქცეპტანტის ცალსახა ქცევა, რომელიც აჩვენებს მკაფიო მიღებას. მაგალითად, ბლოკჩეინის გარკვეული თანხის კონტროლის გადაცემა კოდისთვის შეიძლება

ჩაითვალოს მიღებად (Durovic M., Janssen A., The Formation of Blockchain-based Smart Contracts in the Light of Contract Law, European Review of Private Law 6-2019, 762).

ჭკვიანი კონტრაქტი, როგორც იურიდიულად და სამართლებრივად მბოჭავი ძალის მქონე ხელშეკრულება

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, კანონმდებლებისთვის ფუნდამენტური საკითხია – არის თუ არა გონიერი კონტრაქტი იურიდიული ძალის მქონე და მბოჭავი, რომელიც ხელშეკრული მხარეებისთვის წარმოშობს სამართლებრივ ვალდებულებებს (იხ. გონიერი კონტრაქტები; სამართლებრივი ჩარჩო და სახელმძღვანელო მითითებები კანონმდებლებისთვის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2018).

ბევრ სამართლებრივ სისტემაში ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება, თუ კონკრეტული ტიპის კონტრაქტის არსებით პირობებზე საკმარისი შეთანხმება იქნება მიღწეული.

თუ გონიერი კონტრაქტი ეფუძნება ტრადიციულ შეთანხმებას, რომელიც ჩვეულებრივი წესით არის დადებული (მაგალითად, პირადად მხარეების მიერ, ქალაქად ან ელექტრონული საშუალებით, ანუ ჩვენ არ ვართ ხელშეკრულების დადების მოდელის (Concluding Model) რეალობაში, სადაც კომპიუტერული პროგრამა დებს კონტრაქტს ავტონომიურად), იურიდიული ძალის მქონე კონტრაქტის დასადგენად არსებული მოთხოვნები ისეთივეა, როგორც ნებისმიერი არაგონიერი (ესე იგი, ტრადიციული, სამართლებრივი) კონტრაქტისთვის.

როდესაც კონტრაქტი შედგენილია პროგრამულ ენაზე, აუცილებელია, შესაძლებელი იყოს კონტრაქტის პროგრამული ენიდან ან კონტრაქტის პროგრამულ და ბუნებრივ ენებზე მომზადებული ნაწილების კომბინაციიდან იმის დადგენა, რომ არსებობს „შეთანხმება“ „არსებით პირობებზე“ (იხ. გონიერი კონტრაქტები; სამართლებრივი ჩარჩო და სახელმძღვანელო მითითებები კანონმდებლებისთვის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2018 წელი, 24).

რა არის ეთერიუმი (Eterium)?

ეთერიუმი ეს არის ღია პროგრამული პლატფორმა, რომელის გაჩენაც უკავშირდება ბლოქჩეინტექნოლოგიებს, რომელიც საშუალებას აძლევს დეველოპერებს, შექმნან და განავითარონ დეცენტრალიზებული აპლიკაციები. იგი ბლოქჩეინტექნოლოგიით შექმნილი კრიპტოვალუტისა და სმარტკონტრაქტის სინთეზად მიიჩნევა, მისი საშუალებით შესაძლებელია გონიერი კონტრაქტის შექმნა. კრიპტომოვაჭრეები მას ყველაზე მეტად ბიტკოინს ადარებენ, რეალურად კი რამდენადაც ეს ორი კრიპტოვალუტა ერთმანეთს ჰგავს, იმდენად განსხვავდება კიდევც,

გამომდინარე იქიდან, რომ ეთერიუმი რეალურ ცხოვრებაში უამრავი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებაა.

ეთერიუმის ბლოკჩეინში, ბიტკოინის მაინინგის ნაცვლად, მაინერები გამოიმუშავენ ეთერს, კრიპტოგრაფიული ტოკენის ნაირსახეობას, რომელიც კვებავს ქსელს. ხელმისაწვდომი კრიპტოვალუტის გარდა, ეთერი გამოიყენება აპლიკაციების დეველოპერების მიერაც.

14.3. რა არის „soft cap“ („სოფტ კაპი“)

სოფტ კაპი არის კრიპტოვალუტის პროექტის გუნდის მიერ განსაზღვრული მინიმალური თანხა, რომელიც პროექტს სჭირდება, რათა მოიზიდოს ინვესტიციები ICO-ს განმავლობაში.

სოფტკაპი არ არის მტკიცედ ადმინისტრირებული, რადგან ის უბრალოდ გამოიყენება ზოგადი წარმოდგენის მისაცემად იმ თანხის შესახებ, რომელიც კრიპტოვალუტის სტარტაპს სურს გამოიმუშაოს თავისი პროექტისთვის. როგორც წესი, განიხილება, როგორც კარგი პრაქტიკა პროექტის გუნდისთვის იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ სჭირდებათ მათ ეს თანხა და რისთვის გამოიყენებენ. ეს პოტენციურ ინვესტორებს ეხმარება გაიგონ, სად მიდის მათი ფული.

სხვაგვარად რომ ითქვას, სოფტკაპი არის სახსრების მინიმალური ოდენობა, რომლის მოზიდვასაც მიზნად ისახავს კრიპტოვალუტის პროექტი ICO-ს მეშვეობით. თუ სოფტკაპი მიღწეულია, ეს ზოგადად მიუთითებს იმაზე, რომ პროექტს აქვს საკმარისი სახსრები მისი განვითარების გასაგრძელებლად, ხოლო, თუ სოფტკაპი არ შესრულდა, პროექტი შეიძლება ჩაითვალოს წარუმატებლად და მოზიდული თანხები დაუბრუნდეთ ინვესტორებს (დამოკიდებულია ICO-ს პირობებზე), (იხ. <https://financialsource.co/soft-cap-2/>).

თუ მოზიდული თანხები აკმაყოფილებს ან აღემატება ზომიერ ზღვარს, ეს ნიშნავს, რომ პროექტი შეიძლება გაგრძელდეს ისე, როგორც დაგეგმილია. განვითარების გუნდს შეუძლია გამოიყენოს სახსრები თავისი გეგმის შესასრულებლად და პროექტის განსახორციელებლად (იხ. <https://www.bitdegree.org/crypto/learn/crypto-terms/what-is-soft-cap>).

(სოფტკაპისგან განსხვავდება ჰარდკაპი, რომელიც განსაზღვრავს თანხების მაქსიმალური შეგროვების ოდენობას, რაც პოტენციურად აძლიერებს პროექტის სანდოობასა და ღირებულებას (<https://coinmarketcap.com/academy/glossary/soft-cap>)).

მაგალითი:

სოფტკაპი – 1 მილიონი

ჰარდკაპი – 10 მილიონი

თუ ICO შეაგროვებს 1 მილიონს, პროექტი შეიძლება გაგრძელდეს ისე, როგორც დაგეგმილია. თუ ის შეაგროვებს 10 მილიონს, ICO დაიხუ-

რება და შემდგომი ინვესტიციები არ მიიღება. თუ მან ვერ მოახერხა 1 მილიონი დოლარის მოზიდვა, პროექტმა შეიძლება დაუბრუნოს ინვესტორებს თანხები და გადააფასოს მისი სტრატეგია).

15. ზემოაღნიშნულ ტერმინთა განმარტებების შემდგომ საკასაციო სასამართლო მიუბრუნდება კასატორთა პრეტენზიების არსებითად განხილვას და, ამ მიზნით, თანმიმდევრულად აღწერს იმ მოვლენებს, რომლებიც განვითარდა მხარეთა შორის და რამაც შემდგომში წარმოშვა დავა წინამდებარე სახით.

16. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და მხარეებიც არ ხდიან სადავოდ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

16.1. მოპასუხე კომპანია არის მაინინგის საწარმო, რომელიც მიზნად ისახავდა ინვესტიციის საშუალებით (ეთერიუმის საფუძველზე შექმნილი ჭკვიანი კონტრაქტის გამოყენებით) საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, ფართომასშტაბიანი კრიპტოვალუტის მაინინგს;

16.2. კომპანიას უნდა გამოეცა და გაეყიდა „AMBIT ტოკენები“, ინვესტირებული თანხით კი შეეძინა მაინერები და აუშენებინა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, 20 მგვტ სიმძლავრის მაინინგფერმა;

16.3. 2018 წლის თებერვალში კომპანიამ გამოსცა ICO, რომელშიც გაიწერა ინვესტიციის განხორციელების გზები და პირობები, კერძოდ, ინვესტორებისგან მისაღები მინიმალური და მაქსიმალური თანხის მოცულობა, გასაყიდი და გამოსაშვები ტოკენების მოცულობა, ინვესტიციის ანაზღაურებადობის კოეფიციენტი, გადახდის ფორმა, გამოცემული ტოკენის ფასი და სხვა;

16.4. 2018 წლის 9 აპრილს მოპასუხე კომპანიამ „ა-ტოკენის“ გამოსაცემად ეთერიუმის ბაზაში შექმნა ჭკვიანი კონტრაქტი (ნომრით 0x...), რომელიც უზრუნველყოფდა ტოკენების გამცემის მხრიდან გარკვეული ვალდებულებების ავტომატიზებულ შესრულებას, მასში ასახული იყო ტოკენების მაქსიმალური ლიმიტიც და აუთვისებელი ტოკენების განადგურების შესაძლებლობაც, ასევე განსაზღვრული იყო ე.წ „სოფტ კაპი“, ანუ მინიმალური კაპიტალი – 6 000 000 ა-ტოკენი, რომლის შეგროვება აუცილებელი იყო ICO-ს წარმატებით დასრულებისა და პროექტის შემდგომ ეტაპზე გადასვლისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სოფტკაპი ვერ შეგროვდებოდა, მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა 2018 წლის 10 მაისიდან (ICO-ს დასრულებიდან) 60 დღის ვადის მიხედვით თანხა უკან გაეტანათ.

16.5. მოსარჩელემ 2018 წლის 10 მაისიდან 10 ივნისის ჩათვლით, სამი ტრანზაქციის მეშვეობით მოპასუხე კომპანიისგან შეისყიდა ა-ტოკენები, კერძოდ, 2018 წლის 10 მაისს, 104 156 აშშ დოლარად შეისყიდა 254 039.975 (133 ეთერიუმი) ა-ტოკენი, 2018 წლის 15 მაისს – 26 688 აშშ დოლარად 52 897.45 (29 ეთერიუმი) ა-ტოკენი, ხოლო 2018 წლის 10 ივ-

ნისს – 85 000 აშშ დოლარად 148 324 ა-თოკენი (110 ეთერიუმი). ჯამურად სამი ტრანზაქციით მოსარჩელემ შეიძინა 455 261.425 ა-თოკენი, რაშიც გადაიხადა 216 044 აშშ დოლარი;

16.6. 2018 წლის 13 ივნისს მოსარჩელემ მოპასუხე კომპანიისგან ბონუსის სახით უსასყიდლოდ მიიღო 186 000 ა-თოკენი;

16.7. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული ელექტრონული მიმოწერების მიხედვით ირკვევა, რომ მოსარჩელე ინფორმირებული იყო როგორც ე.წ „soft cap“, ანუ მონეტების საჯარო შესყიდვის პროგრამის მინიმალური თანხა და შეგროვდა თუ არა იგი.

17. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განსახილველ დავაში საკვანძო საკითხია, თუ რომელი დოკუმენტი წარმოადგენს იურიდიულად მხოტავის ძალის მქონე სამართლებრივ დოკუმენტს – ჭკვიანი კონტრაქტი თუ ICO და რომელ მათგანს უნდა დაეყრდნოს სასამართლო დავის გადაჭრისას. ამავე დროს, მხარეები სადავოდ ხდიან იმ საკითხს, თუ რას წარმოადგენს ე.წ „soft cap“, ანუ მონეტების საჯარო შესყიდვის პროგრამის მინიმალური თანხა და შეგროვდა თუ არა იგი.

18. მითითებული პრეტენზიების განხილვამდე, თავდაპირველად, საკასაციო სასამართლო ICO-სა და თეთრი ფურცლის მსგავსებასა და განსხვავებაზე მიუთითებს და წინამდებარე განჩინების 14.1 პუნქტში დეტალურად მოცემული მსჯელობის თანახმად აღნიშნავს, რომ, მართალია, ეს ორი ტერმინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია, თუმცა ისინი ემსახურება განსხვავებულ მიზნებს და აქვთ განსხვავებული მახასიათებლები – ICO არის სახსრების მოზიდვის მეთოდი ინვესტორებისთვის საკუთარი კრიპტოვალუტის ტოკენების გაცემით, ხოლო თეთრი ფურცელი ასახავს პროექტის ტექნიკურ დეტალებს, ხედვასა და ბიზნესმოდელს და მისი მიზანია პოტენციურ ინვესტორებსა და მომხმარებლებს მიანოდოს პროექტის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად, ინვესტორების მოსაზიდად გასაჯაროვებულ თეთრ ფურცელს ხშირად თან ახლავს ICO და, აქედან გამომდინარე, ICO შესაძლოა იყოს თეთრი ფურცლის შემადგენელი ნაწილიც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თეთრ ფურცელს აქვს ინფორმაციული ხასიათი და იგი პოტენციურ ინვესტორებს აწვდის აუცილებელ ინფორმაციას, რათა შეაფასონ და გადაწყვიტონ დასთანხმდებიან თუ არა ICO-ს მიღებას, ხოლო ICO-ს შინაარსი მოიცავს დეტალებს იმის შესახებ, თუ რამდენი ტოკენი იყიდება, რა ფასად და როგორ იქნება გამოყენებული ფული.

19. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს პირველი კასატორის (მოპასუხის) მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თეთრი ფურცელი არ მოიცავს სახელშეკრულებო ურთიერთობის რაიმე ელემენტს და იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრი-

გებულ დოკუმენტად.

20. რაც შეეხება ICO-ს და მის სამართლებრივ ურთიერთქმედებას ე.წ. სმარტკონტრაქტთან, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მითითებული საკითხის მართებულად შეფასება უმნიშვნელოვანესია წინამდებარე დავის სწორად გადაჭრისათვის.

21. როგორც უკვე აღინიშნა, ჭკვიანი კონტრაქტები და ICO-ები ხშირად მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ჭკვიანი კონტრაქტები წარმოადგენს ICO-ს პროცესის ხერხემალს, მაგალითად, ისინი გამოიყენება ICO-ს დროს ტოკენების შესაქმნელად და გასაავრცელებლად. ისინი განსაზღვრავენ წესებს, თუ როგორ იქმნება, როგორ ნაწილდება და იმართება ტოკენები. ისინი მართავენ ICO-ს დროს მოპოვებულ თანხებსაც, შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ სახსრები გადაეცეს პროექტის გუნდს მხოლოდ გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც ინვესტორებისთვის უსაფრთხოების ხარისხს ზრდის. მისი გამოყენება ICO-ებში პროცესების ავტომატიზაციასა და ინვესტორებთან ნდობის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. რადგან პირობები კოდირებულია და ავტომატურად სრულდება, ეს ამცირებს ადამიანური შეცდომის ან თაღლითობის პოტენციალს.

22. წინამდებარე დავის მოსარჩელე ამტკიცებს, რომ იგი გახდა მოპასუხეების თაღლითური სქემის მსხვერპლი, რომლის ფარგლებშიც ინვესტორებზე ყალბი დაპირებების გაცემითა და მოტყუებით, ICO-სა და გონიერი კონტრაქტის მეშვეობით, კომპანიამ მოაგროვა რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი და მას არანაირი დაპირებული პროექტი (მაინინგფერმის აშენება) არ განუხორციელებია. ამდენად, მოსარჩელე მიუთითებს მოპასუხეთა მხრიდან მის მოტყუებაზე, რასაც იზიარებს სააპელაციო პალატაც თავის გადანყვეტილებებში და აღნიშნავს, რომ, ვინაიდან მოპასუხე კომპანიის საქმიანობა, ფინანსები და შესაძლებლობა არ შეესაბამებოდა მის მოლოდინს – სხვა პირობებს მოიცავდა ICO და რეალურად სხვანაირად განვითარდა ჭკვიანი კონტრაქტი (ინვესტირებული თანხით კომპანიას უნდა შეეძინა მაინერები და თბილისის ტექნოლოგიურ პარკში უნდა აეშენებინა 20 მგვტ სიმძლავრის მაინინგფერმა, თუმცა ასე არ მოხდა), იკვეთებოდა გარიგების დადების მიზნით მოტყუების ფაქტი და ამ საფუძვლით სადავო გარიგებების (ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული გარიგებების) ბათილობის წინაპირობა.

23. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მსჯელობას შემდეგ გარემოებათა გამო: მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის საკითხს აგვარებს სამოქალაქო კოდექსის 81-ე-82-ე მუხლები, რომელთა თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია, მოით-

ხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. თუ ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია, მოითხოვოს გარიგების ბათილობა. მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, არასწორი ცნობების შეტყობი-ნებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას თუ მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებას.

24. კანონის მითითებული დანაწესის შესაბამისად, მოტყუების სა-ფუძვლით გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია, რომ მოტყუე-ბას ნების გამომვლენში ისეთი შეცდომის გამომწვევა უნდა შეეძლოს, რომელიც ნების გამოვლენის საფუძველი ხდება. მოტყუების დროს პირს შექმნილი უნდა ჰქონდეს ისეთი ობიექტური ვითარება, რომელიც ხელს შეუშლის ნების გამომვლენს ნამდვილი, ანუ მისთვის სასურველი ნე-ბის გამოვლენაში და აღნიშნული გარემოება ყველა ნორმალურ მოაზ-როვნე ადამიანში არანამდვილი ნების გამოვლენას უნდა იწვევდეს, ანუ ადამიანს ობიექტური განსჯის შედეგად არ უნდა ჰქონდეს თავისი ნამ-დვილი ნების გამოვლენის შესაძლებლობა, შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება იყოს შესაძლებელი (იხ. სუსგ საქმე №ას-182-171-2014, 16 ივნისი, 2014 წე-ლი; საქმე №ას-1117-1051-2015, 20 იანვარი, 2016 წელი).

25. ნების გამოვლენის ფორმებს უაღრესად დიდი პრაქტიკული დატ-ვირთვა აქვს გარიგებებში, ვინაიდან გამოხატული ნებისადმი არსებობს კონტრაპენტის მიერ გამოვლენილი ნდობის დაცვის ღირსი ინტერესი, ამიტომ არ უნდა გათვალისწინდეს პირის მტკიცება, რომ მას ის ნება არ ჰქონდა, რომელიც გამოხატა, თუ მისი ნების გარეგანი გამოხატულებ-ით მეორე მხარემ კეთილსინდისიერად ირწმუნა, რომ იგი უფლებებით აღიჭურვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნების გამოხატვა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგებისკენ არის მიმართული, დაკავ-შირებულია არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმო-შობასთან. შესაბამისად, საინანაღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუ-დება, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება შეესაბამება მის ნამდვილ ნებას. აღნიშნული პრეზუმფცია ქარწყლდება, თუ დადასტურდება, რომ ნება გამოვლენილ იქნა ისეთ პირობებში, რომელიც გამოვლენილი ნების ნამდვილი ნებისადმი შესაბამისობას გამოორიცხავს. მაგალითად, პირის ქმედუუნარობა, სულიერი აშლილობა, ფსიქიკური, ფიზიკური იძუ-ლება, მოტყუება, და ა.შ. ეს ისეთი გარემოებებია, როდესაც პირი მოკ-ლებულია შესაძლებლობას, მართოს ნების გამოხატვის ფორმები. რო-დესაც პირს შეზღუდული აქვს ე.წ. „მოქმედების ნება“, ანუ ასეთ ვითა-

რებაში იგულისხმება, რომ დაუძლეველ გარემოებათა გამო პირი იმ ნებას გამოხატავს, რომელიც მის ნამდვილ ნებას არ შეესაბამება (სულიერი ავადმყოფობა) ან პირი გამოხატავს სხვა პირის და არა თავის რეალურ ნებას (მოტყუება, იძულება და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში, ნების გამომვლენი, რაღა თქმა უნდა, დაცული უნდა იყოს გამომვლენილი არანამდვილი ნების თანამდევი შედეგებისგან (იხ. სუსგ საქმე №ას-1301-1221-2015, 11 მარტი, 2016 წელი).

26. მოტყუების საფუძვლით გარიგების ბათილობის მოთხოვნის შემთხვევაში, მხარემ უნდა ამტკიცოს არასწორი ცნობების მიწოდების ფაქტი. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლი, მოტყუების გამო გარიგების ბათილობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც არანამდვილი ნება ფორმირებულია მოტყუების საფუძველზე და არა ნდობით გამომწვეული უხეში გაუფრთხილებლობის გამო.

27. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე აპელირებს თალლითური სქემის არსებობაზე და მოპასუხის მხრიდან მისი მოტყუების ფაქტზე, თუმცა ამ გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მას სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

28. თავად სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და არც მოსარჩელე არ ხდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ იგი ინფორმირებული იყო, როგორც კომპანიის მიერ გაცემულ ICO-ში, ასევე, ე.წ. ჭკვიან კონტრაქტში ასახული პირობების შესახებ. მითითებულ დოკუმენტებში კი დეტალურადაა აღწერილი კომპანიის სამომავლო ხედვისა და იმ შესაძლო რისკების თაობაზე, რაც პროექტის განხორციელებას უნდა მოჰყოლოდა, კერძოდ, საქმის მასალებში წარდგენილია 2018 წელს გაცემული ICO, რომელშიც მოცემულია კომპანიის საქმიანობის მოდელი და პროექტის ბიზნესგეგმა (დოკუმენტში მითითებულია შემდეგი: „დოკუმენტის მიზანია, რომ შეთავაზებული „ტოკენის გამოშვებასთან“ დაკავშირებით, ტოკენების პოტენციურ მფლობელებს წარუდგინოს ა-მაინინგის და მისი საქმიანობის მოდელი.

ა-მაინინგის კონტრიბუტორები მიიღებენ ეთერიუმზე დაფუძნებულ „AMBT“ ტოკენებს, რომლებიც იქნება მათი წილი ა-მაინინგში. ეს ტოკენები მფლობელს მისცემენ უფლებამოსილებას, რომ მან მიიღოს ა-მაინინგის საქმიანობიდან მიღებული მოგების წილი. სუფთა მოგების 85% იქნება ტოკენის მფლობელებისთვის ხელმისაწვდომი (მაინინგის მთლიანი შემოსავალი). ამ 85%-დან 75% განაწილდება დივიდენდის სახით, ხოლო დარჩენილი 25% ხელახლა ინვესტირდება, რომ მოხდეს ა-მაინინგის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლება იმისთვის, რომ გავუმკლავდეთ მაინინგის მზარდ გამოწვევებს და შევინარჩუნოთ იმავე ინვესტიციის ანაზღაურებადობის კოეფიციენტი წლების განმავლობაში. თუ ხელახლა გაღებული ინვესტიციის ღირებულება 25%-ზე

ნაკლებია, მაშინ დარჩენილი თანხა განაწილდება დივიდენდის სახით. მაინინგის მიმდინარე მოქმედებებზე, ა-მაინინგმა შეძლო 100% ინვესტიციის ანაზღაურებადობის კოეფიციენტის მიღება მხოლოდ 5 თვეში, თუმცა, კრიპტოვალუტის მერყეობის გამო, ინვესტიციის ანაზღაურებადობის კოეფიციენტი შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს. ამჟამად ხელმისაწვდომი მაინინგის მოწყობილობებისა და მაინინგის სერთულების მაჩვენებლით, „ბიტკოინის“ ღირებულებით, რომელიც არის 11 000 აშშ დოლარი, ა-მაინინგის ინვესტიციის ანაზღაურებადობის კოეფიციენტი წლიურად იქნება 141% ან 400% 3 წლის განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ინვესტირებული 1 ეთერიუმი მოიტანს 3(სამ) ნელინადში 4 ეთერიუმს.

მთლიანობაში გამოშვებული იქნება 104 მილიონი „Ambit“ ტოკენი, რომელთაგან 85% იქნება ჩაშვებული გასაყიდად, ხოლო დარჩენილები განაწილდება შემდეგნაირად: გუნდი და მრჩეველები – 9%, „ნამახალისებელი კამპანია“ – 3%, კომპანიის რეზერვი – 3%. ყველა გაყიდვის გარეშე დარჩენილი ტოკენი განადგურდება და არ განაწილდება. გუნდისა და მრჩეველებისთვის განაწილებული ტოკენები ინვესტირდება 6 თვით იმითვის, რომ ა-მაინინგის წარმატებაში ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი.

„ტოკენის გამოშვება“ გულისხმობს საზოგადოებისთვის „AMBT“-ის ტოკენის თავდაპირველ მიყიდვას. ტოკენები შეეთავაზება 30 დღის განმავლობაში, რაც დაიწყება 2018 წლის 10 აპრილიდან და დასრულდება 2018 წლის 10 მაისს. შეთავაზება იქნება საჯარო.

ინვესტორებისგან მისაღები მინიმალური თანხა (soft cap): 3 მილიონი აშშ დოლარი;

ინვესტორებისგან მისაღები მაქსიმალური თანხა (hard cap): 40 მილიონი აშშ დოლარი;

ტოკენის გასაყიდი მოცულობა: 88 მილიონი „AMBT“;

ტოკენის გამოშვების მოცულობა: 104 მილიონი „AMBT“ (გაყიდვის გარეშე დარჩენილი ტოკენები განადგურდება);

ტოკენების განაწილება: 85% – ტოკენის მფლობელები, 9% – გუნდი და მრჩეველები, 3% – „ნამახალისებელი კამპანია“, 3% – კომპანიის რეზერვი.

გამოცემული ტოკენის ფასი: 0.5 აშშ დოლარის ეკვივალენტი;

გადახდის მისაღები ფორმა: ბიტკოინი და ეთერიუმი;

მინიმალური შესაძენი ტოკენი: ბიტკოინის („BTC“) ან ეთერიუმის („ETH“) 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი.

თუ ტოკენი არ გაიყიდება, ინვესტორებისგან მისაღები მინიმალური თანხა არ იქნება შეგროვებული ან აღნიშნული დაყოვნდება, წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს

2018 წლის 10 მაისიდან მოითხოვონ თანხის დაბრუნება.

ეთერიუმით შეძენილი ტოკენები ავტომატურად დაირიცხება თქვენს „ეთერიუმის საფულეში“. ბიტკოინად ან აშშ დოლარად შეძენილი ტოკენები ხელით დაირიცხება „ეთერიუმის საფულეში“ ინვესტორის მიერ მონოდებულ მისამართზე.

თუ ინვესტორებისგან მისაღები თანხა 3 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს, არცერთი ტრანზაქციიდან თანხა არ ბრუნდება.

ტოკენები უნდა შეიძინონ მხოლოდ ისეთმა პირებმა, ერთეულებმა ან კომპანიებმა, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი გამოცდილება და ცოდნა კრიპტოგრაფიული ტოკენების, როგორიცაა: ბიტკოინი („BTC“), გამოყენებისა და სირთულეებისა და ბლოკჩეინის საფუძველზე შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების შესახებ.

„ა-მაინინგი“ არ აგებს პასუხს მყიდველების ქმედებების გამო დაკარგული ფულადი სახსრებისთვის. ყველა შესყიდვა არის საბოლოო“. მასში ასევე მითითებულია ინფორმაცია ზოგადი რისკების შესახებ, რომ:

- არსებობს პროექტის დაფინანსების წარუმატებლობის რისკი;
- შესაძლებელია „AMBIT“ არასდროს იყოს სავალუტო გადაცვლებში ვაჭრობის ობიექტი;

- მაინინგის პროგრამულმა უზრუნველყოფამ შეიძლება მოლოდინი ვერ გაამართლოს. არსებობს პროგრამული ინოვაციური პროცესის ჩავარდნის რამდენიმე საკითხი. მაინინგის სირთულეებმა შეიძლება მოგების ზღვარი ხარჯების განევის შემდეგ უმნიშვნელო ნიშნულამდე შეამციროს;

- დოკუმენტში აღნიშნული მშენებლობის გეგმა ეფუძნება გონივრულ გათვლებს, თუმცა არ არსებობს მისი განხორციელების გარანტია;

- კრიპტოვალუტები ძალიან მერყევია და „AMBIT“ შეიძლება დაზარალდეს ფასების ასეთი მკვეთრი ცვლილებების გამო. მონეტების თავდაპირველი შეთავაზებიდან მიღებული სახსრები დაუყოვნებლივ დაიხარჯება მაინინგის აღჭურვილობაში, ასე რომ, ეს რისკი მაინც არსებობს იმ მაინინგის მოქმედებების შედეგად მიღებული სახსრებისთვის, რომლებიც შენახულია კრიპტოვალუტაში და არ არის განაწილებული მოგების სახით;

შესაძლებელია ბაზარზე შეიზღუდოს ან არ არსებობდეს ტოკენების ლიკვიდურობა. ასეთ შემთხვევაში, თქვენ ვერ გადაცვლით ტოკენებს;

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ტოკენების ღირებულება გაიზრდება. კრიპტოვალუტის მერყევადობა გულისხმობს, რომ მომავალში, რომელიმე მონაკვეთში ტოკენის ფასი შეიძლება შემცირდეს).

29. ამრიგად, უდავოა, რომ დოკუმენტში საკმაოდ ნათლად და არაო-

რაზროვნადაა აღწერილი პროექტის შესაძლო წარუმატებლობის ან მისი საერთოდ განუხორციელებლობის რისკის შესახებ.

30. თავის მხრივ, სადავო არაა ისიც, რომ ICO-ს დოკუმენტი აისახა 2018 წლის 19 აპრილს ეთერიუმის პორტალზე შექმნილ სმარტკონტრაქტში, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, არის კომპიუტერული კოდეზის ერთობლიობა. იგი ავტომატურად ადგენს მთელ ხელშეკრულებას ან მის ნაწილს და ინახება ბლოკჩეინზე დაფუძნებულ პლატფორმაზე, რის გამოც, ჭკვიანი კონტრაქტები ამცირებენ შუამავლების საჭიროებას. აღნიშნული კი, გულისხმობს იმას, რომ გონიერი ხელშეკრულების კოდი არ შეიძლება შეიცვალოს ბლოკჩეინში. შესაბამისად, არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ მიიღონ ის ან არ მიიღონ. ბლოკჩეინში მონაწილე ყველა წევრს (კომპიუტერს) აქვს მთლიანი ბლოკჩეინის მონაცემის ასლი, ისინი ამოწმებენ საკონტროლო კოდის სისწორეს და მხოლოდ მისი დადასტურების შემდეგ იქმნება ახალი ბლოკი და დაემატება ბლოკჩეინს. თუ აქცეპტანტი იწყებს ხელშეკრულების შესრულებას, მისი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს ოფერტის ნამდვილ მიღებად. ამრიგად, საჭიროა აქცეპტანტის ცალსახა ქცევა, რომელიც აჩვენებს მკაფიო მიღებას.

31. მოცემულ შემთხვევაში, 2018 წლის 19 აპრილს სმარტკონტრაქტის პირობებზე მოსარჩელის მხრიდან თანხმობის გამოხატვა დასტურდება როგორც კომპიუტერულ პროგრამაში მის მიერ თანხმობის ლილაკზე ხელის დაჭერით (რაც გაიგივებულია ელექტრონულ ხელმოწერასთან და უდავოა, რომ მის გარეშე მხარე ვერ შეძლებდა პროექტში ინვესტიციის განხორციელებას), ასევე, მოსარჩელის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ოდენობის ეთერიუმებით კომპანიის ICO-ს ანგარიშზე ინვესტიციით (დადგენილია, რომ მოსარჩელეს ICO-ს განმავლობაში შეძენილი აქვს სხვადასხვა რაოდენობის ა-თოკენი (2018 წლის 10 მაისს მოსარჩელემ შეისყიდა 254 039.975 (133 ეთერიუმი) ა-თოკენი, 2018 წლის 15 მაისს – 52 897.45 (29 ეთერიუმი) ა-თოკენი, ხოლო 2018 წლის 10 ივნისს – 148 324 ა-თოკენი (110 ეთერიუმი), (ჯამურად სამი ტრანზაქციით მოსარჩელემ შეიძინა 455 261.425 ა-თოკენი)).

32. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებითა და იმის გათვალისწინებით, რომ სადავო კონტრაქტების გაფორმებისას მოსარჩელეს ჰქონდა შეუზღუდავი შესაძლებლობა, გაცნობოდა მასში მითითებულ პირობებს (მათ შორის, იყო თუ არა ასახული პირობა ბაზარზე ტოკენების ლიკვიდურობის შეზღუდვის, კრიპტოვალუტების ფასების მკვეთრი ცვლილებების გამო პროექტის წარუმატებლობის ან საერთოდ ჩავარდნის რისკის შესახებ) და, შესაბამისად, გამოეხატა მასზე თანხმობის ნება (როგორც ელექტრონულად, თანხმობის ლილაკზე დაჭერით, ასევე მომდევნო ქმედებებით – ტრანზაქციე-

ბის განხორციელებით), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მითითებულ საკითხზე არ არის საკმარისი სადავო ურთიერთობის მოტყუებით დადებულ გარიგებად მიჩნევისთვის.

33. დამატებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ვინაიდან მოსარჩელე დაეთანხმა, როგორც ICO-ს, ასევე, სმარტკონტრაქტის პირობებს, უდავოა, რომ მან თანხმობა გამოთქვა მითითებულ დოკუმენტებში ასახულ სოფთკაპის ოდენობის შესახებ განსხვავებულ ჩანაწერებზე (როგორც საქმის მასალებით დგინდება, ICO-ს დოკუმენტში სოფთკაპის ოდენობად მითითებულია 3 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სმარტკონტრაქტში – 6 000 000 ა-თოკენი). შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია მოსარჩელის პრეტენზია, სოფთკაპის თაობაზე განსხვავებული ჩანაწერების გამო სადავო გარიგებების მოტყუებით დადებულად აღიარების შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ იზიარებდა გარიგებებში ასახულ პირობებს, შეეძლო არ გამოეხატა თანხმობა მათზე და, შესაბამისად, ვერც პროექტის შემდგომ ეტაპზე გადასვლას შეძლებდა). საკასაციო სასამართლო ქვემოთ ვრცლად იმსჯელებს, ზოგადად, რას წარმოადგენს ე.წ „სოფთ კაპი“, ანუ მონეტების საჯარო შესყიდვის პროგრამის მინიმალურ თანხა (კაპიტალი) და შეგროვდა თუ არა იგი).

34. გარიგებების მოტყუებით დადებულად კვალიფიკაციისთვის საკმარისად ვერ მიიჩნევა მეორე კასატორის (მოსარჩელის) მიერ მითითებული გარემოებაც იმის შესახებ, რომ კომპანიის საქმიანობა არ შეესაბამებოდა ჭკვიანი კონტრაქტით ნაკისრ ICO-ს პირობებს, რადგან არ აშენებულა დაპირებული მაინინგფერმა და კომპანიას ინვესტიორების მიერ ჩარიცხული თანხები არ გამოუყენებია სათანადოდ – კასატორი აპელირებს კომპანიის დირექტორის მიერ ინვესტირებული თანხით ძვირადღირებული ავტომობილების შეძენაზე.

35. საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოპასუხეს სასამართლოსთვის წარდგენილი აქვს კომპანიის მიერ მაინინგპროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების მიზნობრიობის დადგენის შესახებ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნები, საიდანაც ჩანს, რომ 2018 წლის 28 თებერვლიდან (კომპანიის დაფუძნებიდან) 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (სადავო პროექტების მოქმედების პერიოდი) კომპანიის მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მოქცეულია 7 486 924 ლარის ღირებულების აქტივები, კომპანიას საქართველოს საწარმოებისგან შეძენილი აქვს სხვადასხვა ღირებულების ძირითადი საშუალებები და სასაქონლო/მატერიალური მარაგები/ინვენტარი, ასევე, გადახდილი აქვს თანხა დენის ქსელზე მიერთებისთვის, ამასთანავე, მოპასუხეს იჯარით აღებული აქვს შენობა მაინინგის განსახორციელებლად, ხოლო შემოსავლების სამსახურის ოფიცია-

ლური მონაცემებით, კომპანიას ბიუჯეტთან დავალიანება არ გააჩნია. საქმეში წარმოდგენილია წერილობითი მტკიცებულებებიც (ამონაწერები კომპანიის დირექტორის პირადი საბანკო ანგარიშებიდან, ცნობა მის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ), რომლებიც ადასტურებს, რომ, მართალია, კომპანიის დირექტორს სხვადასხვა დროს შეძენილი აქვს რამდენიმე ავტომანქანა, თუმცა მათი ნაწილი ნაყიდა სადავო პროექტის დაწყებამდე (2018 წელს და 2019 წლის დასაწყისში), ხოლო ნაწილი – ICO-ს დასრულებიდან საკმაო დროის (8 თვის ან ზოგ შემთხვევაში, წელიწად-ნახევრის) გასვლის შემდგომ.

36. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკვანძო საკითხის (დაიდო თუ არა სადავო გარიგებები მოსარჩელის მოტყუების მიზნით) საფუძვლიანობა სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებთან და საქმეზე დადგენილ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობით განმეორებით უნდა შეაფასოს.

37. საკასაციო სასამართლო ასევე იმსჯელებს წინამდებარე საქმეში მხარეთა მიერ სადავოდ გამხდარ კიდევ ერთ საკითხზე – თუ რას წარმოადგენს ე.წ „სოფთკაპი“, ანუ მონეტების საჯარო შესყიდვის პროგრამის მინიმალურ თანხა (კაპიტალი) და შეგროვდა თუ არა. მოსარჩელე აცხადებს, რომ მოპასუხე კომპანიამ ვერ შეასრულა ICO-ს დოკუმენტით ნაკისრი, 3 მლნ აშშ დოლარის მინიმალური კაპიტალის (soft cap) შეგროვების პირობა, რის გამოც თანხა დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებოდათ ინვესტორებს. მოპასუხე კი ამტკიცებს, რომ ტოკენების გაყიდვის შედეგად ინვესტორებისგან მისაღები მინიმალური თანხა, 6 000 000 ტოკენი, განსაზღვრული იყო ე.წ სმარტკონტრაქტით, რაც შესრულდა კიდევ და, შესაბამისად, ინვესტირებული თანხები უკან დაბრუნებას აღარ ექვემდებარებოდა.

38. ამრიგად, შესაფასებელია ICO-ს დოკუმენტსა და ე.წ სმარტკონტრაქტში მითითებული ორი განსხვავებული ჩანაწერის მნიშვნელობა და დასადგენია, ინვესტორებისგან მისაღები მინიმალური თანხა იყო 3 მლნ აშშ დოლარი თუ 6 000 000 ა-ტოკენი.

39. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სოფთკაპი არის სახსრების მინიმალური ოდენობა, რომლის მოზიდვასაც მიზნად ისახავს კრიპტოვალუტის პროექტი ICO-ს მეშვეობით. თუ სოფთკაპი მიღწეულია, ეს ზოგადად მიუთითებს იმაზე, რომ პროექტს აქვს საკმარისი სახსრები მისი განვითარების გასაგრძელებლად, ხოლო თუ სოფთკაპი არ შესრულდა, პროექტი შეიძლება ჩაითვალოს წარუმატებლად და მოზიდული თანხები დაუბრუნდეთ ინვესტორებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ICO-ს წარმატებით დასრულებისთვის და პროექტის შემდეგ ეტაპზე გადასვლისათვის აუცილებელია ინვესტორთა მხრიდან მინიმალური კაპიტალის

შეგროვება, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროექტი ვერ გაგრძელდება.

40. წინამდებარე დავაში უდავოდ დადგენილია, რომ მოპასუხე კომპანია ახორციელებდა კრიპტოვალუტის პროექტს და გეგმავდა ფართომასშტაბიან კრიპტოვალუტის მაინინგს. ამ მიზნით კი, იგი გამოსცემდა და ყიდდა „AMBIT ტოკენებს“. დადგენილია, ასევე, რომ გადახდის მისაღებ ფორმად განსაზღვრული იყო არა რომელიმე ეროვნული ვალუტა, არამედ კრიპტოვალუტის სახეობა ბიტკოინი და ეთერიუმი, ხოლო მინიმალურ შესაძენ ტოკენად – ბიტკოინის („BTC“) ან ეთერიუმის („ETH“) 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი (იხ. ICO-ს დოკუმენტი). სადავო არაა ისიც, რომ ICO-ს დოკუმენტში სოფთკაპის მინიმალურ ოდენობად მითითებული იყო 3 მლნ აშშ დოლარი, თუმცა მას შემდეგ, რაც ICO კოდის სახით აისახა 2018 წლის 19 აპრილს ეთერიუმის პორტალზე შექმნილ სმარტკონტრაქტში (რომელიც ასევე მოიცავდა ინფორმაციას „AMBIT“ ტოკენების შეძენისა და რეალიზაციის შესახებ), სოფთკაპის მინიმალურ ოდენობად განისაზღვრა 6 000 000 ა-ტოკენი.

41. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ და მხარეთა მიერ შეუდავებელ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოსარჩელეს, ისევე, როგორც პროექტში მონაწილე სხვა ინვესტორებს, სადავო პროექტის ფარგლებში ტრანზაქციები განხორციელებული აქვთ სწორედ კრიპტოვალუტის სახეობა, ეთერიუმის ან ბიტკოინის მეშვეობით და შეძენილი აქვთ სხვადასხვა რაოდენობის ა-ტოკენი (2018 წლის 10 მაისს მოსარჩელემ შეისყიდა 254 039.975 (133 ეთერიუმი) ა-ტოკენი, 2018 წლის 15 მაისს – 52 897.45 (29 ეთერიუმი) ა-ტოკენი, ხოლო 2018 წლის 10 ივნისს – 148 324 ა-ტოკენი (110 ეთერიუმი), (ჯამურად სამი ტრანზაქციით მოსარჩელემ შეიძინა 455 261.425 ა-ტოკენი)). ჯამურად, ICO-ს დასრულებამდე მათ მიერ განხორციელებული ტრანზაქციებით, შეძენილია 6 000 000-ზე მეტი ა-ტოკენი, უფრო ზუსტად კი, 6 104 680 ა-ტოკენი. უდავოდ დადგენილია ისიც, რომ სმარტკონტრაქტი, ისევე, როგორც ICO-ს დოკუმენტი ითვალისწინებდა საჯარო გაყიდვის დასრულების შემდეგ ინვესტირებული თანხის უკან დაბრუნების შესაძლებლობას და განსაზღვრული იყო ვადა (საჯარო გაყიდვის დასრულებიდან 60 დღე), რომლის განმავლობაშიც ინვესტორებს შეეძლოთ თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა. ამ ვადის მიხედვით კი, მოსარჩელეს ინვესტირებული თანხა არ მოუთხოვია.

42. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ყურადღებას გაამახვილებს სადავო ურთიერთობის შინაარსზე (კრიპტოვალუტის გაყიდვით მაინინგპროექტის განხორციელება), ICO-სა და სმარტ კონტრაქტის სამართლებრივ ბუნებაზე და მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში შესა-

ფასებელი მონეტების საჯარო შესყიდვის ხელშეკრულება არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი, სტანდარტული ნასყიდობის ხელშეკრულებისგან, პირველ რიგში, სწორედ იმით, რომ იგი საჯარო ვაჭრობას ადგენს არა ეროვნული ვალუტით, არამედ კრიპტოვალუტით გამოხატული ტოკენებით, რომლის მსყიდველობითუნარიანობა კრიპტოსამყაროში მუდმივად ცვალებადია და ეროვნულ ვალუტასთან (მაგალითად, აშშ დოლართან) მიმართებით შესაძლოა სხვადასხვა დროს არსებითად განსხვავებული ღირებულებით გამოიხატოს.

43. ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება ამ ნაწილშიც – შეგროვდა თუ არა პროექტის მინიმალური კაპიტალი – არ არის საკმარისი და საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებით განმეორებით უნდა იმსჯელოს მასზე.

44. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

45. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდგომ სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და უზენაესი სასამართლოს მიერ წინამდებარე განჩინებაში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად უნდა შეაფასოს სარჩელის საფუძვლიანობა.

46. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების

გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. პ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ა-ისა“ და ბ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტები და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-9, მე-10, მე-11 პუნქტები დარჩეს უცვლელად;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ხანდაზმულობა

პერიოდულად შეისასრულებელი ვალდებულებიდან წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-956-2021

23 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2011 წლის 25 იანვარს სს „თ. ბ-სა“ (შემდეგში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, გამსესხებელი, ბანკი, კრედიტორი, იპოთეკარი) და მ. ბ-ს (შემდეგში – პირველი მოპასუხე, მსესხებელი, მოვალე) შორის დაიდო საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად კრედიტის სახით მოვალეზე გასაცემი თანხის მოცულობა 500 000 აშშ დოლარით ან ნებისმიერი ვალუტაში მისი ეკვივალენტით განისაზღვრა. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად კრედიტორსა და მ. გ-ძეს (შემდეგში – მეორე მოპასუხე, უძრავი ნივთის მესაკუთრე) შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელის სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა თბილისში, ... (ს/კ ...). ვალდებულების დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, იპოთეკარი უფლებამოსილი იყო, იპოთეკის საგნიდან დაეკმაყოფილებინა კრედიტორული მოთხოვნა.

2. 2011 წლის 25 იანვრის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, 2011 წლის 26 იანვარს ბანკსა და მსესხებელს შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კრედიტის თანხა 149 000 აშშ დოლარით, წლიური 19%-ის სარგებლის დარიცხვის პირობით, განისაზღვრა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2017 წლის 2 თებერვლამდე შეთანხმდა. ხელშეკრულების თანახმად, ფიქსირებული პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.5%-ს შეადგენდა.

3. 2011 წლის 25 იანვრის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, ბანკს, მ. მ-ძესა და შპს „ბ. ...-ს“ (შემდეგში – თავდებები, მოპასუხეები) შორის თავდე-

ბობის ხელშეკრულებები დაიდო, რომლის თანახმად, თავდებთა პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა 500 000 აშშ დოლარით, ან ნებისმიერ ვალუტაში მისი ეკვივალენტით განისაზღვრა.

4. მსესხებელმა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დადგენილი გრაფიკით გადახდის ვალდებულება დაარღვია. მოვალემ ვალდებულების შესრულების მიზნით თანხა ბოლოს 2012 წლის 10 სექტემბერს გადაიხადა.

5. 2018 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიმართ მსესხებლის დავალიანებამ 102 861.42 აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც ძირითადი თანხა – 20 761.61 აშშ დოლარი, პროცენტი – 17 275.76 აშშ დოლარი, ხოლო ჯარიმა – 64 824.05 აშშ დოლარია.

6. სასარჩელო მოთხოვნა:

6.1. კრედიტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მსესხებლის, თავდებ პირთა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრის წინააღმდეგ, რომლითაც მოვალისა და თავდებთათვის სესხის სახით გაცემული თანხის – 39 939.6 აშშ დოლარის (თანხა მოიცავს ძირითადი თანხისა და პროცენტის ჯამს და შემცირებულ პირგასამტეხლოს – 2076 ლარის ჯარიმას) გადახდის დაკისრება, ასევე, დავალიანების დაფარვის მიზნით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებით სარეალიზაციოდ მიქცევა მოითხოვა.

7. მოპასუხეთა პოზიცია:

7.1. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მისი საფუძვლიანობა მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებლის წარდგენით უარყვეს. მათ სარჩელის ხანდაზმულობაზე მიუთითეს. გარდა ამისა, თავდებმა პირებმა აღნიშნეს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე კრედიტორს მათთვის არ უცნობებია.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით – კრედიტორის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი:

9.1. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და სამართლებრივი დასკვნები:

10.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ივნისის განჩინებით – კრედიტორის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 სექტემ-

ბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 128-ე, 129.1, 895-ე, 902-ე მუხლებით იხელმძღვანელა. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები.

10.2. სააპელაციო პალატამ სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია, კერძოდ, პალატის მითითებით, მსესხებელმა სესხის/კრედიტის დაფარვა 2012 წლის 10 სექტემბერს შეწყვიტა, სარჩელი კი, კრედიტორმა 2018 წლის 20 დეკემბერს, ანუ ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ წარადგინა სასამართლოში.

10.3. სააპელაციო პალატის განმარტებით, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებდა, რომ თავდებთათვის ცნობილი იყო ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი. პალატის განსჯით, ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის დროული შეტყობინება თავდებ პირებს შესაძლებლობას მისცემდა გამოეყენებინათ ყველა ზომა ვალდებულების შესასრულებლად მოვალის იძულებისა და, ამგვარად, პირადი პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად. პალატამ სსკ-ის 902-ე მუხლზე აპელირებით დაასკვნა, რომ კრედიტორმა შეტყობინების ვალდებულების დარღვევით, თავდებთა მიმართ მოთხოვნის უფლება დაკარგა.

10.4. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელის აღძვრამდე კრედიტორს მოთხოვნის იძულებითი აღსრულების გზით დაკმაყოფილება არ უცდია, მით უფრო, რომ მოთხოვნა იპოთეკით იყო უზრუნველყოფილი, რისი გათვალისწინებითაც პალატამ კრედიტორის მოთხოვნა თავდებთა მიმართ სამართლებრივად უსაფუძვლოდ ამ არგუმენტაციითაც მიიჩნია.

11. აპელანტის საკასაციო საჩივარი:

11.1. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კრედიტორმა, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

11.2. საკასაციო პრეტენზია შემდეგ გარემოებებს ეფუძნება:

11.2.1. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია სარჩელი ხანდაზმულად. კონკრეტულ შემთხვევაში, დავა შეეხებოდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესით, რომლის შესაბამისადაც, ხანდაზმულობის ვადა პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულებისათვის დამოუკიდებლად გამოითვლება. აქედან გამომდინარე, კასატორის მსჯელობით, 2016 წლის 1

იანვრიდან 2017 წლის 1 თებერვლის ჩათვლით სესხის გრაფიკით გადასახდელი თანხის მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება და კრედიტორის მოთხოვნა ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს. ამავედროულად, კასატორის მტკიცებით, 2012 წლის 10 სექტემბერს შეტანილი თანხით წინსწრებით დაიფარა დავალიანების ნაწილი, კერძოდ, 2016 წლის 1 აგვისტომდე დავალიანებული ძირი თანხის ნაწილი, შესაბამისად, 2016 წლის 1 აგვისტოდანაც დაცულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

11.2.2. კასატორის განმარტებით, ბანკის მიერ თავდებთათვის ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე შეუტყობინებლობის გამო, თავდებთა პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლება ეწინააღმდეგება კანონს. კასატორის განსჯით, თავდებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა მხოლოდ პასუხისმგებლობის შემცირების საფუძველი შეიძლება იყოს. ამასთან, შემცირება ვრცელდება იმ ზიანზე, რომელიც კრედიტორის მიერ თავდებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობით წარმოიშობა და კრედიტორს თავდების მიმართ თავისი ვალდებულება ჯეროვნად რომ შეესრულებინა არ იარსებებდა.

12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი:

12.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე პალატის 2022 წლის 16 მარტის განჩინებით, საკასაციო საჩივარი 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის, მხარეთა მოსაზრებების მოსმენისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

13. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები;

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა სარჩელის ხანდაზმულობის ფაქტი და არასწორად შეაფასა თავდებთა პასუხისმგებლობის საკითხი. კასატორის პრეტენზიები ნაწილობრივ საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

14. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალის, სოლიდარულ თავდებთათვის და იპოთეკით დატვირთული ქონების მე-საკუთრის მიმართ სესხისა და სარგებლის დაკისრების, ასევე უძრავი ქონების იძულებით რეალიზების მოთხოვნათა სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 867-ე (საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით), 623-ე (სესხის ხელშეკრულებით გამცესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი), 868.1 (მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ან ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი), 891-ე (თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სამომავლო და პირობით ვალდებულებებისათვის), 893-ე (თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის აღების შემდეგ, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება და ამ გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე არ გავრცელდება), 895-ე (თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება ნაყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდის უუნარობა აშკარაა) და 898.1 (თავდები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე) 301.1 (თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ

არის გათვალისწინებული) მუხლები.

15. სამართალწარმოების ფარგლებში დადგენილია, რომ მოვალემ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა, რაც ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების სტანდარტს არ პასუხობს. ამ ფაქტს მოპასუხეები სადავოდ არ ხდიათ, უფრო მეტიც, თავადვე აღიარებენ 20 761.61 აშშ დოლარის სესხის ნაშთის არსებობას. მოპასუხეთა შესაგებელი არსებითად სარჩელის ხანდაზმულობას ეფუძნება. შესაბამისად, პალატის განსჯის საგანიც არა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძვლიანობის, არამედ მოთხოვნის განხორციელებადობის შეფასებაა.

16. პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობის ვადაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (სსკ-ის 144.1 მუხლი). სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა.

17. საკასაციო სასამართლო ამ მხრივ, ყურადღებას მიაქცევს ბანკისა და მსესხებლის საკრედიტო სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკას. შეთანხმებული პირობების თანახმად, მსესხებელს ბანკისათვის კრედიტის დაბრუნება არა ერთდროულად, არამედ ნაწილ-ნაწილ, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ევალებოდა. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბანკის მოთხოვნა მოვალის მიმართ წარმოშობილია პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან, და ხანდაზმულობის ვადის გამოთვლაც ამ ტიპის ვალდებულებებისათვის დადგენილი განსხვავებული ნესის მიხედვით უნდა მოხდეს.

17.1. სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნების მიმართ, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადაა გათვალისწინებული. ვალდებულების პერიოდულად, დროის განსაზღვრულ შუალედებში (მაგ., ყოველთვე, კვარტალში ერთხელ, თვის კონკრეტულად განსაზღვრულ კალენდარულ დღეს) შესრულების დადგენა მოთხოვნის უფლებას ცალ-

კეულად, ყოველი შესრულებისათვის დამოუკიდებლად წარმოშობს და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადაც კონკრეტული შესრულების დარღვევიდან აითვლება. (ნ. კვანტალიანი, სსკ-ის 129-ე მუხლის კომენტარი, გვ. 752, ზემოაღნიშნული მსჯელობა შეესაბამება ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას (იხ. სუსგ №ას-1432-1351-2012, 2013 წლის 20 მაისის განჩინება №ას-1432-1351-2012, სუს 2017 წლის 14 თებერვლის განჩინება №ას-934-899-2016, სუს 2018 წლის 22 ივნისის განჩინება საქმე №ას-465-462-2018, სუს 2019 წლის 12 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-440-440-2018, სუს 2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-986-2019).

17.2. საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს რა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისათვის ხანდაზმულობის ვადის ათვლის სპეციალური წესით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პერიოდულად შესასრულებელი ცალკეული ვალდებულების შესრულების დროს. კრედიტის დაფარვის გრაფიკის მიხედვით, მსესხებელს სესხი და მასზე დარიცხული სარგებელი 2011 წლის 26 დეკემბრიდან 2017 წლის 2 თებერვლამდე დროის შუალედში, ყოველთვიურად 3492.83 აშშ დოლარის გადახდით უნდა დაეფარა. სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2018 წლის 20 დეკემბერს. შესაბამისად, საკასაციო პალატის განმარტებით, სარჩელის შეტანამდე ბოლო სამი წლის პერიოდის, კერძოდ 2015 წლის 20 დეკემბრის შემდგომ სესხის გრაფიკით დასაფარი ფულადი ვალდებულების მიმართ სარჩელი ხანდაზმული არ არის.

17.3. საკასაციო პალატის განსჯით, სააპელაციო სასამართლოს დავის გადაწყვეტის დროს არ შეუფასებია საბანკო კრედიტის სამართალური თვითობის შინაარსი, მისი სპეციფიკა, რის გამოც არასწორად მიუსადაგა განსახილველ შემთხვევას სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი, შედეგად კი, სარჩელის სრულად ხანდაზმულობის მცდარი ფაქტი დაადგინა. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინებაში დასმული მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქცენტების გათვალისწინებით, ხელახლა უნდა იმსჯელოს და სრულყოფილად გამოიკვლიოს სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი. სააპელაციო სასამართლოს მიერ დავაზე დასადგენ გარემოებათა წრეს მიუკუთვნება ისიც, საბანკო კრედიტის რა ნაწილი (რა პერიოდის) დაფარა მსესხებელმა 2012 წლის 10 სექტემბრამდე და სესხის დარჩენილი თანხისა (20 761.61 აშშ დოლარი) და პროცენტის (17 275.76 აშშ დოლარი) გადაუხდელი ნაწილი რომელ თარიღში (პერიოდში) შესასრულებელ ვალდებულებას შეესაბამება.

18. უშუალოდ თავდებთა პასუხისმგებლობასთან მიმართებით, პალატა განმარტავს, რომ თავდებობის ხელშეკრულება არ არის ძირითა-

დი ვალდებულება. იგი დამატებითი ვალდებულებაა და სამოქალაქო კოდექსის 893-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, სოლიდარულ თავდებთა ვალდებულების განმსაზღვრელია ძირითადი ვალდებულება – საკრედიტო ხელშეკრულება ანუ, თუკი არ არსებობს ან არ შეიძლება არსებობდეს მოთხოვნა ძირითადი ვალდებულების შესრულების შესახებ, არ შეიძლება არსებობდეს ვალდებულება დამატებითი მოთხოვნის შესრულების შესახებ, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლის შესაბამისად, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებით მოთხოვნისთვისაც, მაშინაც, როცა ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა (შდრ. სუსგ. საქმე №ა-114-ა-15-03, 3.02.04). სამოქალაქო კოდექსი 145-ე მუხლის მიზნებისათვის არ იძლევა დამატებითი მოთხოვნის კანონისმიერ დეფინიციას. ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ასეთ დამატებით მოთხოვნებს განეკუთვნება გირაო, თავდებობა, პირგასამტეხლო, პროცენტი, ასეთი ასევე შეიძლება იყოს ნივთისა და უფლების ნაყოფი და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებები (იხ. გ. სვანაძე, სსკ-ის 145-ე მუხლის კომენტარი, გვ 781). ამრიგად, მართალია, ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას კრედიტორს შეუძლია თავდებისგან მოითხოვოს დაკმაყოფილება, მაგრამ თავის მხრივ თავდებსაც აქვს თავდაცვის შესაძლებლობა. ამასთან, თავდებს შეუძლია გამოიყენოს არამხოლოდ საკუთარი უფლებები, არამედ ის უფლებებიც, რომელიც ძირითად მოვალეს კრედიტორის მიმართ აქვს – ე.წ. დერივატიული უფლებები. დერივატიული შესაგებლის გამოყენების უფლება თავდებს სსკ-ის 899.1 მუხლის პირველი წინადადების საფუძველზე აქვს (იხ. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი. ლ. ჭანტურია გვ. 194). კონკრეტულ შემთხვევაში, თავდებმა პირებმა სწორედ ამ შესაძლებლობით ისარგებლეს და შესაგებელში ძირითადი ვალდებულების ხანდაზმულობაზე მიუთითეს. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თავდებობა, მისი აქცესორული ბუნების გათვალისწინებით, ძირითადი სახელშეკრულებო მოთხოვნის ბედს იზიარებს იმ მოცულობით, რა ფარგლებშიც ხანდაზმულია პერიოდულად შესასრულებელი საკრედიტო ვალდებულება.

19. თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მსჯელობასთან ერთად, რელევანტურია იპოთეკის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნის განხორციელებადობის საკითხის შეფასებაც. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც იურიდიულ დოქტრინაში, ისე სასამართლო პრაქტიკით დამატებითი მოთხოვნები გაი-

გივებულია აქცესორულ უფლებებთან, „...რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს“ ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „...იპოთეკა წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით აქცესორულ უფლებას, რომელიც გამომდინარეობდა ძირითადისაგან, შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ვრცელდებოდა იპოთეკის ხელშეკრულებაზეც, რაც მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას აღარ იძლეოდა“ (იხ. სუსგ. საქმე №ას-858-822-2014 28.11.2014). აქედან გამომდინარე, უძრავი ნივთის მესაკუთრის წინააღმდეგ იპოთეკარის მოთხოვნაც, პერიოდულად შესასრულებელი მოთხოვნების მიმართ სარჩელის ხანდაზმულობის პროპორციულად ქარწყლდება.

20. რაც შეეხება კრედიტორის მიერ განსაზღვრული საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულებას – ვალდებულების დარღვევის შესახებ თავდების ინფორმირებას, რასაც გავლენა შეუძლია მოახდინოს თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებზე, ამ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და გამოტანილ სამართლებრივ დასკვნებს (იხ. წინამდებარე განჩინების 10.3. პუნქტი). საკასაციო სასამართლომ არაერთგზის განმარტა და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კრედიტორის მხრიდან მოვალის ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ თავდებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა თავდების პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლებას არ იწვევს. აღნიშნული მხოლოდ მისი პასუხისმგებლობის შემცირების საფუძველია. ამასთან, შემცირება ვრცელდება იმ ზიანზე, რომელიც კრედიტორის მიერ თავდებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობით დგება და რომელიც არ დადგებოდა კრედიტორს თავდების მიმართ თავისი ვალდებულება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ჯეროვნად რომ შეესრულებინა. (მსგავს საკითხზე იხ. სუსგ. საქმე №ას-1153-1108-2016, 10.02.17წ, №ას-910-972-2014, 4.03.15წ). საკასაციო პალატის მითითებით, საქმის ხელახლა განხილვის დროს სააპელაციო სასამართლომ, თავდების მიმართ კრედიტორის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას, თავდების პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დაცვით უნდა შეამოწმოს და ინფორმირების ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის პროპორციულად შემციროს თავდებთა პასუხისმგებლობის ფარგლები.

21. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ვერც იმ მსჯელობას, რომელიც სსკ-ის 894-ე მუხლზე (თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას) აპელირებით, უპირატესად კრედიტორის მოვალის მიერ დაკმაყოფილებას

შეეხება. საკასაციო პალატის განმარტებით, კანონმდებელი ერთმანეთისგან მიჯნავს და განსხვავებულ მოწესრიგებას გვთავაზობს სოლიდარული და არასოლიდარული თავდებობის შემთხვევებისათვის. სსკ-ის 895-ე მუხლის (თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადად მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდის უუნარობა აშკარაა.) საფუძველზე სოლიდარული თავდებობისას კრედიტორის დისკრეციას განეკუთვნება თავდებს წაუყენოს მოთხოვნა მოვალისაგან იძულებით აღსრულებით მოთხოვნის წინმსწრებად მიმართვის გარეშე. შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას განმსაზღვრელია რა სახის თავდებობასთან გვაქვს საქმე. კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედაც, რომ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა საფუძვლიანობას იხილავს სასამართლო, რა დროსაც ნორმის შემფარდებელმა უნდა იხელმძღვანელოს სამართალურთიერთობაზე ზუსტად მორგებული დანაწესით, რაც იმას ნიშნავს, რომ სსკ-ის 894-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგების გავრცელება განსახილველ შემთხვევაზე კანონმდებლის ნებას არ შეესატყვისება და დავის სწორად გადაწყვეტას ვერ უზრუნველყოფს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის 895-ე მუხლის საფუძველზე თავდების პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის არსებობა: 1. მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და 2. გაფრთხილების მიუხედავად, მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას. სოლიდარული მოვალისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას სასამართლომ სსკ-ის 892-ე მუხლით (თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება.) გათვალისწინებულ მოთხოვნასთან ერთად, სწორედ ამ წინაპირობების შემოწმებით უნდა შემოიფარგლოს. ამის შემდგომად კი, თავდებობისა და იზოთეკის უფლებების აქსცესორული ბუნების გათვალისწინებით განსაზღვროს სასესხო ვალდებულების რა ნაწილის დაფარვას უნდა მოემსახუროს სანივთო და პიროვნული უზრუნველყოფის ეს საშუალებები.

22. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭი-

როა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სს „თ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან
წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმით**

№ას-236-2024

9 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2010 წლის 7 სექტემბერს, ა(ა)იპ „თ.ჟ.ს-სა“ (შემდგომში მოიჯარე ან მოსარჩელე) და ნ. ბ-ძეს (შემდგომში მეიჯარე ან მოპასუხე) შორის, 3 წლის ვადით (2013 წლის 7 სექტემბრამდე) დაიდო იჯარის ხელშეკრულება (შემდგომში, ხელშეკრულება), რომლითაც, ქ. ბათუმში, საბაჟოს შესახვევი, ... მდებარე მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს/კ №...) დროებით სარგებლობაში გადაეცა მოიჯარეს.

2. საიჯარო ქირა განისაზღვრა თვეში 500 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარით, საშემოსავლო გადასახადის გარეშე.

3. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოიჯარის მიერ საიჯარო თანხის გადახდა დაიწყებოდა, მის მიერ საიჯარო ფართის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის გაწეული დანახარჯების სრულად ამოღების შემდეგ, მაგრამ არაუადრეს 2012 წლის სექტემბრისა.

4. საბანკო გადარიცხვის ქვითრების მიხედვით, 2012 წლის 5 მარტიდან 6 სექტემბრის ჩათვლით, მეიჯარის ანგარიშზე მოიჯარე ყოველთვიურად რიცხავდა თანხებს, რამაც ჯამურად შეადგინა 4 510,75 ლარი. თანხის გადახდის დანიშნულებაში მითითებულია არენდის/იჯარის ქირა.

5. მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა შეწყდა 2013 წლის 7 სექტემბერს.

6. მოსარჩელის მოთხოვნა

6.1. 2019 წლის 1 მარტს მოიჯარემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მეიჯარის მიმართ და მოითხოვა ზედმეტად გადახდილი საიჯარო ქირის, 4 510,75 ლარის მოპასუხისთვის გადახდის დაკისრება.

7. საქალაქო სასამართლოს განჩინება უფლებამონაცვლების

შესახებ

7.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 8 მაისის განჩინებით მოპასუხის გარდაცვალების გამო მის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა ლ. წ-ი (შემდგომში ტექსტში მოხსენებული, როგორც მოპასუხის უფლებამონაცვლე, მეიჯარის უფლებამონაცვლე, კასატორი ან საკასაციო საჩივრის ავტორი).

8. მოპასუხის უფლებამონაცვლის პოზიცია

7.1. მოპასუხის უფლებამონაცვლემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებობდა საიჯარო ურთიერთობა სადავო თანხა მოსარჩელეს მოპასუხისთვის სწორედ ამ ურთიერთობის ფარგლებში აქვს გადახდილი;

7.2. მოპასუხის უფლებამონაცვლემ მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც.

8. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

8.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

9.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

10.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4510,75 ლარის გადახდა

10.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები, ასევე დაადგინა, რომ მხარეთა შორის საიჯარო ხელშეკრულება შეწყდა 2013 წლის 7 სექტემბერს, ხოლო წინამდებარე სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2019 წლის 1 მარტს, მოთხოვნის წარმოშობიდან 5 წლის, 5 თვისა და 26 დღის გასვლის შემდეგ.

10.3. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 327.1, 979.1 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით და დაასკვნა, რომ 2012 წლის 3 მარტიდან 6 სექტემბრის ჩათვლით მოიჯარის მიერ მეიჯარის ანგარიშზე 4510,75 ლარი გადარიცხულია ვალდებულების გარეშე, რაც კონდიქციური სამართლის ნორმებით უკან დაბრუნებას ექვემდებარებოდა და შესაბამისად, ქმნიდა წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას.

11. მოპასუხის უფლებამონაცვლის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

11.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხის უფლებამონაცვლემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

11.2. კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა და არასწორად შეაფასა ხანდაზმულობის საკითხი. სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა მატერიალური სამართლის ნორმები და პირველ რიგში უნდა ემსჯელა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. სასამართლომ თავადვე დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეზე სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადა 3 წელია, ხოლო სარჩელი აღძრულია მოთხოვნის წარმოშობიდან 5 წლის, 5 თვისა და 26 დღის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ხანდაზმულად არ ცნო მოთხოვნა და არსებითად იმსჯელა მის საფუძვლიანობაზე. ამასთან, არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად დააკმაყოფილა წარდგენილი მოთხოვნა.

12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

12.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 4 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

12.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის უფლებამონაცვლის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნაგანმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებაში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნ-

ქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

14. საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

15. საკასაციო საჩივრის ავტორი გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ძირითადად სადავოდ ხდის მოთხოვნის ხანდაზმულობის მოტივით, და აცხადებს, რომ სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა ხანდაზმული მოთხოვნა. კასატორი, ასევე, არსებითად მსჯელობს წარდგენილი სარჩელის უსაფუძვლობაზე და აცხადებს, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა მოსარჩელის მხრიდან მოპასუხისთვის ვალდებულების გარეშე რაიმე თანხის გადარიცხვის ფაქტი და უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დრო დიდ როლს თამაშობს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საკითხში. მხარეთა შორის გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება იმდენად დიდი ხნის წინ წარმოიშვას, რომ გავლენა მოახდინოს მხარეთა უფლება-მოვალეობებზე. მართლწესრიგი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რომლის ერთ-ერთ სახესაც წარმოადგენს სასარჩელო ხანდაზმულობა. მისი არსებობა განპირობებულია ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მხარეთა თანასწორობისა და მათი ინტერესების თანაბარი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე. გონივრული ხანდაზმულობის ვადების არსებობა უფლების რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნა უფრო მეტად დაცვის ღირსია. სასარჩელო ხანდაზმულობა უფლების განხორციელებისათვის განსაზღვრულ ჩარჩოებს აწესებს. სასარჩელო ხანდაზმულობა წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას და არა თვითმიზანს.

17. უფლების წარმოშობა, ისევე როგორც მისი შეწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრულ დროსთან. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ამცნობს უფლების სუბიექტს მისი დარღვეული უფლების სასამართლოს გზით განხორციელების ვადის თაობაზე. სასარჩელო ხანდაზმულობა

იმ სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია, რომ რაღაც ურთიერთობას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივ დროის გასვლა პირდაპირ გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე (იხ. თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვ. 133; ბესარიონ ზოიძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2003 წ. გვ. 110.).

18. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა, ანუ კრედიტორს შეუძლია დაიცვაყოფილოს მოთხოვნა სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ამ ვადის გასვლა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება ¹1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ო. ს-ი და ი. ხ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). ხანდაზმულობის ვადის გასვლა მოთხოვნას არ აუქმებს (წყვეტს), არამედ მოვალეს შესაძლებლობას ანიჭებს, უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე. ანუ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია. (შდრ: გიორგი სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 144-ე, ველი 1. თბილისი, 2017 წელი).

19. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზმულობის ვადების დანესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით, ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლს და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულიზაციას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63; შდრ. სუსგ №ას-547-515-2012, 11 ივნისი, 2012).

20. ზემოთ ჩამოთვლილი კანონიერი მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. გადაწყვეტილებაში საქმეზე სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (პ.51) (*Stubbings and Others v The United Kingdom*, განაცხადის ნომერი '22083/93; '220095/93, 22 ოქტომბერი, 1996).

21. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი წარმოადგენს უფლების დაცვის მატერიალურ-სამართლებრივ საშუალებას, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს, თუმცა სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი განხორციელება კონკრეტული წინაპირობის არსებობისას, არ ხდება (შდრ. იხ. სუსგ საქმე №ას-1428-2018, 27 დეკემბერი, 2018; №ას-369-350-2015, 30 ივლისი, 2015).

22. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების შედეგად წარმოშობილი საწინააღმდეგო უფლება მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობით შესაგებელია, რომელიც მოთხოვნის განხორციელებას ხანგრძლივად ან დროებით აფერხებს. „მოთხოვნის ხანდაზმულობის მიზანია მოვალის დაცვა იმ პროცესის ნაწილად გახდომისაგან, რომელშიც პოზიციის დაცვა რთული ან შეუძლებელია მოთხოვნის სიძველის გამო“ (შდრ. იხ. სუსგ საქმე №ას-898-860-2014, 09 ოქტომბერი, 2015 წელი). ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. მითითება ხანდაზმულობაზე, როგორც მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ გარემოებაზე, პროცესუალურად მთლიანად მოპასუხის კუთვნილ შესა-

გებელს წარმოადგენს (შდრ. იხ. სუსგ საქმე №ას-1764-2018, 13 აპრილი, 2020წ).

23. მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების შემოწმება მიმდინარეობს მოპასუხის შედავების შემოწმების ეტაპზე. ამ ტიპის შედავების წარდგენის დროს მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაუღერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა, უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი) (იხ. დამატებით: ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, გვ. 170; მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, GIZ, 2013, გვ. 20).

24. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები, ასევე, მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მესხიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისაგან.

25. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა არ არის აბსტრაქტული სამართლებრივი კატეგორია. კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი დაწყებისა და დასრულების მომენტს. მოთხოვნ-

ნის შემომწმებისას აუცილებელია განისაზღვროს ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის გამოყენებისა და მისი ათვლის საკითხი. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხანდაზმულობის ვადის ათვლის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან ანუ იმ მომენტთან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. სანინალმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას (შდრ: ნ. კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 2. თბილისი, 2017 წელი; ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011 წელი, გვერდი 123).

26. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის სწორი გამოთვლისათვის არსებითია, ზუსტად დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის დრო. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს: „ხანდაზმულობის ვადაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (სსკ-ის 144.1 მუხლი). სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე (შდრ: იხ. სუსგ საქმე №ას-1937-2018, 15 მარტი, 2019 წელი, პ-16; საქმე №ას-1343-1263-2017, 20 დეკემბერი, 2017 წელი; საქმე №ას-934-899-2016, 14.02.17წ.; საქმე №ას-68-68-2018, 03.04.2018წ.; საქმე №ას-382-2019, 14 მაისი, 2019 წელი).

27. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი დაკავშირებულია ობიექტურ მომენტთან – უფლების დარღვევის ფაქტთან და სუბიექ-

ტურ მომენტთან – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ გახდა ცნობილი ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეცყო.

28. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც წესი, ივარაუდება, რომ პირი უფლების დარღვევის ფაქტს მისი დადგომისთანავე შეიტყობს ან საშუალო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო შეეცყო ამ ფაქტის თაობაზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოს, ანუ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის მტკიცების ტვირთი კი უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ (მდრ: ნ. კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 5. თბილისი, 2017 წელი).

29. ვინაიდან სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას მხოლოდ მოპასუხის მითითების საფუძველზე იკვლევს, მოთხოვნის ვადაში წარდგენა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. „თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენა“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წელი, გვერდი 64.).

30. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის დაწყებისათვის, როგორც წესი, არ არის სავალდებულო, რომ კრედიტორმა მისთვის ცნობილ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება მისცეს. თუ კრედიტორი მცდარ დასკვნებს გამოიტანს, ფაქტებს მცდარად შეაფასებს, ხანდაზმულობის ვადის დინება მაინც იწყება. ხანდაზმულობის ვადების დაწყებისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის საფუძვლად არსებული ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა მისი სამართლებრივი შეფასების გარეშე, რადგან რთულია შესაბამისი განათლების არმქონე პირს მოეთხოვოს ნორმის ქმედების შემადგენლობის კომპონენტების შეფასება. სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის ათვლის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას, პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ითვალისწინებს ბრალეულ არცოდნასაც. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლე-

ბის დარღვევის თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (იხ. დამატებით: ზურაბ ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999 წელი, მუხლი 130, გვერდი 320.)

31. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საკასაციო საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია სწორედ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობას ეხება. კასატორის (მოპასუხის) განცხადებით, სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა სარჩელი, რომელიც წარდგენილია 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის დარღვევით. კერძოდ, მოსარჩელე დავობს 2012 წელს მოპასუხისთვის გადარიცხული თანხების მიზნობრიობაზე, სარჩელი კი სასამართლოში წარდგენილი აქვს 2019 წელს, რაც ხანდაზმულობის მოტივით მისი უარყოფის შესაძლებლობას ქმნის.

32. უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია განმარტებული, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ №ას-1529-1443-2012, 9 დეკემბერი, 2013 წელი; დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი, §187).

33. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმის სწორად განხილვის მიზნით, აუცილებელია მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის შეფასება, რადგან სწორედ მათ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის სახე განსაზღვრავს სამართლებრივი შედეგის ბედს, შესაბამისად, სასამართლო ვალდებული

ლია პირველ რიგში იმსჯელოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე და მხოლოდ ამის შემდგომ, სასამართლო შეაფასებს სასარჩელო მოთხოვნის წარუმატებლობის შესახებ კასატორის პრეტენზიას.

34. ამ მიზნით, საკასაციო სასამართლო, ყურადღებას მიაქცევს საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ა) 2010 წლის 7 სექტემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება 3 წლით, რომლის ფარგლებშიც, მოპასუხემ მოსარჩელეს დროებით სარგებლობაში გადასცა უძრავი ქონება; ბ) ხელშეკრულებით განისაზღვრა საიჯარო ქირის ოდენობა, რომელიც მოიჯარეს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა მეიჯარისთვის; გ) 2012 წლის 5 მარტიდან 6 სექტემბრის ჩათვლით მოიჯარეს მეიჯარისთვის ჯამურად გადარიცხული აქვს 4510,75 ლარი, ხოლო გადარიცხვის დანიშნულებად მითითებულია „იჯარის ქირა“; დ) საიჯარო ხელშეკრულება შეწყდა 2013 წლის 7 სექტემბერს; ე) 2019 წლის 1 მარტს მოიჯარემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მეიჯარის მიმართ და მოითხოვა 2012 წლის 5 მარტიდან 6 სექტემბრის ჩათვლით მის მიერ მეიჯარისთვის გადარიცხული თანხის 4510,75 ლარის, როგორც ზედმეტად გადახდილი საიჯარო ქირის, უკან დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით; ვ) მოპასუხემ სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში მიუთითა როგორც მოთხოვნის სამართლებრივ უსაფუძვლობაზე, ასევე მის ხანდაზმულობაზე.

35. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) პოზიციას იმის შესახებ, რომ ვინაიდან სარჩელით მოთხოვნილია უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის მოპასუხისთვის დაკისრება, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა არ უნდა შეფასდეს სახელშეკრულებო ურთიერთობად და მასზე არ უნდა გავრცელდეს მსგავს მოთხოვნებზე კანონით დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა.

36. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო პალატა მიუთითებს თავად მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ განმარტებაზე იმის შესახებ, რომ მან მეიჯარისთვის საიჯარო ქირის გადახდა დაიწყო ვადაზე ადრე და მეიჯარეს ზედმეტად გადაუხადა სადავო თანხა (4510.75 ლარი), რომლის, როგორც უსაფუძვლოდ მიღებულის, უკან დაბრუნებასაც ითხოვს წინამდებარე სარჩელით. ამავე პოზიციას ავითარებს მოსარჩელე მის მიერ საკასაციო საჩივარზე წარდგენილ შესაგებელშიც. ამრიგად, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დავა წარმოშობილია საიჯაროსამართლებრივი ურთიერთობიდან (სსკ-ის 581-ე მუხლი: იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებ-

ლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული) და სწორედ ამ ურთიერთობის ფარგლებშია შესაფასებელი კასატორის მოთხოვნის (სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე) საფუძვლიანობა.

37. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

38. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების განმარტებებისა და საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას და აღნიშნავს შემდეგს: ვინაიდან საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მხარეთა შორის არსებობდა პერიოდულად (ყოველთვიურად) შესასრულებელი საიჯაროსამართლებრივი ურთიერთობა (მოიჯარეს ევალეობდა მეიჯარისთვის საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა) და სწორედ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ზედმეტად გადახდილი თანხის (ზედმეტად გადახდილი საიჯარო ქირის) მოპასუხისთვის დაკისრებას ითხოვს მოსარჩელე, აღნიშნულ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხემ გამოიყენა მისთვის კანონით მინიჭებული საპროცესოსამართლებრივი უფლება – შესაგებელში მიუთითა ხანდაზმულობის ვადის დარღვევით სარჩელის სასამართლოში წარდგენის შესახებ, სწორედ მოსარჩელეს ეკისრებოდა მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი, რაც მან სათანადოდ ვერ გასწია. საქმის მასალებით დადგენილია, რომ იჯარის ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2013 წლის 7 სექტემბერს, ხოლო წინამდებარე სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2019 წლის 1 მარტს (5 წელზე მეტი ხნის გასვლის შემდგომ), რაც ნიშნავს იმას, რომ სარჩელი ხანდაზმულია, ხოლო წარდგენილი მოთხოვნა განუხორციელებადი, ხანდაზმულობის საფუძვლით.

39. ვინაიდან დადგინდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ ხანდაზმულია, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად აღარ მიიჩნევს სარჩელის საფუძვლიანობაზე (სადავო თანხის გადარიცხვის

სისწორე) მსჯელობას.

40. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია (სსსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება კი, სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია.

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

42. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

43. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა;

44. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის [მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს: ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს] თანახმად, განსახილველი დავა წარმოადგენს მაგისტრატი მოსამართლის განსჯადს, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა (300 ლარი), იმავე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ნახევრდება და

შეადგენს 150 ლარს. კასატორს საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 226 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მის მიერ ზედმეტად გადახდილი 76 ლარი ექვემდებარება დაბრუნებას.

45. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადანყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

46. განსახილველ შემთხვევაში, რადგან წინამდებარე გადანყვეტილებით დაკმაყოფილდა მოპასუხის საკასაციო საჩივარი, შედეგად კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ყველა ღონისძიება უნდა გაუქმდეს, რადგან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით აღარ არსებობს მისი ძალაში დატოვების საფუძველი. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 1 მარტის განჩინებით (№2-594/2019წ.) გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალა მის სახელზე რიცხვული უძრავი ქონების (მდებარე ქ. ბათუმი, ..., ს/კ №...) გასხვიება და იპოთეკით დატვირთვა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. ლ. წ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 29 ნოემბრის გადანყვეტილება;
3. ა(ა)იპ „თ.ჟ.ს-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ა(ა)იპ „თ.ჟ.ს-ს“ (ს.კ. ...) ლ. წ-ის (პ.წ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟის – 150 ლარის გადახდა;
5. ლ. წ-ს (პ.წ. ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე ი. ყ-ის (პ.წ. ...) მიერ ზედმეტად გადახდილი (საგადახდო დავალება №639, გადახდის თარი-

ლი 07.02.2024) 76 ლარი;

6. გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 01 მარტის განჩინებით №2-594/2019წ. გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფა, რომლითაც მოპასუხე ნ.ბ-ძეს (პ/ნ ...) აეკრძალა მასზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე ქ. ბათუმი, ..., ს/კ №..., – გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-327-2020

18 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
თ. ზამბახიძე (მომხსენებელი),
რ. ნადარაია**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. შპს „ჩ.რ. ბ.ჯ-მა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „კასატორი“, „დამზღვევი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს.კ.ჯ.პ.პ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „მზღვეველი“) მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.10.2018 წლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.12.2019 წლის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. განჩინება ეფუძნება შემდეგს:

4.1. მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის საფუძველია 05.10.2010 წლის სადაზღვევო მომსახურების ხელშეკრულება №GA 020/10. ხელშეკრულება ძალაში შევიდა ხელმოწერისთანავე და მოქმედებდა 05.10.2013 წლამდე.

4.2. სასამართლომ მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმულად და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. სსკ-ის 131-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო ემოქმედა. ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაშია, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე.

4.3. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა რომ სარჩელი არ არის ხანდაზმული. მან პირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა 05.11.2015 წელს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 140-ე მუხლზე (სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან) და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ განმეორებითი სარჩელით 6 თვის ვადაში სასამართლოსთვის მიმართვა.

4.4. სადაზღვევო შემთხვევები მოხდა 13.06.2011 წლიდან 25.03.2013 წლის ჩათვლით (სულ 17 შემთხვევა), ბოლო შემთხვევა – 25.03.2013 წელს, შესაბამისად, 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 26.03.2013 წლიდან და შესაბამისად, ამონურულად უნდა ჩაითვალოს 26.03.2016 წელს.

4.5. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან გამოვლინდა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი გარემოება, აღარ იმსჯელებდა აპელანტი მხარის სხვა პრეტენზიებზე.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორის განმარტებით, მან პირველი ინსტანციის სასამართლოს სარჩელით მიმართა ჯერ კიდევ 05.11.2015 წელს, რაც მიუთითებს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა სარჩელის შეტანით (სსკ-ის 138-ე, 139-ე მუხლები).

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 11.07.2023 წლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამოწმებს.

8. საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია სააპელაციო სასამარ-

თლოს განჩინების კანონიერება, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამზღვევის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

9. სსკ-ის 799-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, ხოლო ის, თუ რა შეიძლება იყოს დაზღვევის ობიექტი, მოცემულია სსკ-ის 820-ე-858-ე მუხლებში, კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს პიროვნება ან ქონება. აქედან გამომდინარე, დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, სსკ-ის 799-ე მუხლის თანახმად, მზღვეველმა სადაზღვევო შემთხვევის დროს დამზღვევის მიმართ საკუთარი ვალდებულებების განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელოს სადაზღვევო ხელშეკრულების დებულებებით.

10. საკასაციო სასამართლო უპირველესად იმ გარემოებაზე გაამახვილებს ყურადღებას, რომ მოპასუხე მზღვეველს პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი ჰქონდა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი – ხანდაზმულობის შესაგებელი. როდესაც მოპასუხე ასეთი სახის შესაგებელს წარადგენს, სასამართლო იწყებს კვლევას, თუ როდის წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, რათა შესაბამისად ათვალოს ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის შესაგებელი წარუმატებლად აქცევს სარჩელს, მიუხედავად იმისა, მოთხოვნა საფუძვლიანია თუ არა.

11. სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია, საკუთარი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (სსკ-ის 144-ე

მუხლის პირველი ნაწილი).

12. სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე (სუსგ №ას-1191-2019, 04.12.2019წ.). ამასთან, ნორმის აღწერილობითი ნაწილის მითითება – როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო, არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ გარემოების შეტყობა რაიმე განსაკუთრებულ ფაქტს ან მოვლენას უნდა უკავშირდებოდეს. კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი, პრაქტიკულად, ერთმანეთის თანხვედრია და ორიენტირებულია კრედიტორის ობიექტურ აღქმაზე ვალდებულების დარღვევის მიმართ. სუბიექტურ ფაქტორზე – „უნდა შეეტყო“, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაყრდნობა, თუ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტური ფაქტორის განსაზღვრა (იხ.სუსგ №ას-782-2019, 18.02.2022 წელი, პ. 23).

13. ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქეს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლს და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულირებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემათურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63; სუსგ №ას-986-2019, 16.10.2019წ., პ.42).

14. ყოველი კონკრეტული მოთხოვნის განხორციელებადობის შემოწმებისას უნდა დაზუსტდეს, თუ ხანდაზმულობის რომელი ვადა გამოიყენება და რომელი კანონიდან გამომდინარეობს ეს ვადა (ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2011, გვ.123). სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზ-

მულობის ვადა შეადგენს სამ წელს. სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დამზღვევის სარჩელის მიმართ მოქმედებს სწორედ აღნიშნული ვადა (იხ. სუსგ №ას-782-2019, 18.02.2022 წელი, პ. 22,24).

15. როგორც უკვე აღინიშნა, მითითება ხანდაზმულობაზე, როგორც მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ გარემოებაზე, პროცესუალურად მთლიანად მოპასუხის კუთვნილ შესაგებელს წარმოადგენს, რაც შეეხება ხანდაზმულობის შეჩერებისა და შეწყვეტის წინაპირობებს, მისი შესწავლა, შესაბამისი შედავების არარსებობის პირობებშიც კი, სასამართლოს ვალდებულებაა (იხ. სუსგ №ას-1764-2018, 13.04.2020წ., პ. 17.1).

16. გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ – ვინაიდან გამოვლინდა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი გარემოება, სააპელაციო პალატა აღარ იმსჯელებდა აპელანტი მხარის სხვა პრეტენზიებზე. სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე განჩინების დასაბუთება ეფუძნება სასამართლოს მსჯელობას სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ. კერძოდ, სასამართლომ 05.10.2010 წლის სადაზღვევო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმულად და განმარტა, რომ სადავო სადაზღვევო შემთხვევები მოხდა 13.06.2011 წლიდან 25.03.2013 წლის ჩათვლით პერიოდში (სულ 17 შემთხვევა), ბოლო შემთხვევა – 25.03.2013 წელს, 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 26.03.2013 წლიდან და, შესაბამისად, ვადა ამოწურულად უნდა ჩაითვალოს 26.03.2016 წელს. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება 05.11.2015 წელს სარჩელის შეტანით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის შესახებ და განმარტა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ განმეორებითი სარჩელის 6 თვის ვადაში წარდგენის ფაქტი.

17. სსკ-ის 138-ე მუხლით, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად, გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები. სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისას, შეჩერებისაგან განსხვავებით, შეწყვეტამდე გასული დრო

მხედველობაში არ მიიღება და ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან იწყება. ხანდაზმულობის შეწყვეტა არ ნიშნავს მოთხოვნის შეწყვეტას. პირიქით, ამ დროს არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც უფლებამოსილი პირის მდგომარეობას კიდევ უფრო ამყარებს და უფლების განხორციელების ხანდაზმულობის ვადის ათვლას თავიდან იწყებს (ქანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2011, გვ. 126). სსკ-ის 138-ე მუხლი განსაზღვრავს იმ კონკრეტულ სამართლებრივ მექანიზმებს/საშუალებებს, რომელთა უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო ფორმით გამოყენების შემთხვევაშიც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, კერძოდ, აღნიშნული საშუალებებია: სარჩელის შეტანა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად (სარჩელის შეტანა ყოველთვის არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას (იხ. სსკ-ის 140-ე მუხლი)); განცხადებით მიმართვა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში მოთხოვნის არსებობის შესახებ; აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს აღნიშნული სამართლებრივი საშუალებების უფლებამოსილი პირის მიერ გამოყენება (სვანაძე გ. „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი I, რედ. ქანტურია ლ. მუხ. 138, ველი 1).

18. სსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან. მითითებული ნორმის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენას არ შეწყვეტს მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენა იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ნებაყოფლობით უარს განაცხადებს სარჩელზე ან სასამართლო განუხილველად დატოვებს სარჩელს კანონში მითითებული წინაპირობების დაცვით, რაც შევა კანონიერ ძალაში. კანონის აღნიშნული დანაწესი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას უკავშირებს ისეთ გარემოებას, როდესაც მოსარჩელე განმეორებით სარჩელს წარადგენს სასამართლოში პირველი სარჩელის შეტანიდან ექვს თვეში. მითითებული ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყება თავდაპირველი სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლო განჩინების კანონიერ ძალაში შეტანის მომენტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ განუხილველად დატოვებული სარჩელი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენაზე გავლენას ვერ იქონიებს (სუსგ №ას-1759-2018, 15.02.2019.).

19. კასატორი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას უკავშირებს

საქმეში წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.11.2015 წლის განჩინებას, რომლითაც დამზღვევის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე მზღვეველის სარჩელი არ იქნა მიღებული სასამართლოს წარმოებაში. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ წინამდებარე საქმეში თავდაპირველი სარჩელი სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის 05.10.2010 წლის სადაზღვევო მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს წარედგინა 07.04.2016 წელს. მითითებული გარემოებები სასამართლოს მიერ შეფასებული არ არის, სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებული მსჯელობა, სადაც სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს სარჩელის წარდგენით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ფაქტს. პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი მსჯელობის გათვალისწინებით და საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებების სსსკ-ის 105-ე მუხლის (სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყევითლებაში) მოთხოვნათა დაცვით გამოკვლევის შედეგად უნდა გაირკვეს – თითოეული სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ანაზღაურების უფლების დარღვევის მომენტი, ასევე, ხომ არ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა. პალატა აქვე განმარტავს, რომ წინამდებარე საქმის განხილვის პროცესში მოსარჩელემ რამდენჯერმე წარადგინა ე.წ. დაზუსტებული სარჩელი (11.01.2018 წლის დაზუსტებული სარჩელი; მიღებული იქნა განსახილველად, რის თაობაზეც ეცნობა მოსარჩელეს 16.01.2018 წელს); 19.06.2018 წლის დაზუსტებული სარჩელი (მიღებული იქნა განსახილველად, რის თაობაზეც ეცნობა მოსარჩელეს 20.06.2018 წელს), რის შემდეგაც, საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 21.06.2018 წლის საოქმო განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული წინა სარჩელები. სააპელაციო პალატამ უნდა გამოარკვიოს – დაზუსტებული სარჩელები ხომ არ იყო შინაარსობრივად ახალი სარჩელები ახალი მოთხოვნებით. ამ შემთხვევაში, თითოეული მოთხოვნის მიმართ ცალკე უნდა შემოწმდეს ხანდაზმულობის საკითხი. ხოლო თუ ასეთს არ ჰქონია ადგილი, აღნიშნული არ წარმოადგენს იმგვარ ფაქტორს, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს

ნოს სასარჩელო ხანდაზმულობაზე, რამეთუ სარჩელების წარდგენა ხდებოდა ერთი საქმის განხილვის ფარგლებში განხილვის პროცესის უწყვეტობის გათვალისწინებით. შესაბამისად, ხანდაზმულობის საკითხზე მსჯელობისას სამართლებრივად რელევანტური იქნება 07.04.2016 წელს სარჩელის წარდგენის ფაქტის შეფასება.

20. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო საჩივარი. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება სამართლებრივად რელევანტური გარემოებები. ამდენად, საკასაციო პალატა ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს.

21. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადანაწილდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხლმძღვანელა სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

დადასტოვება:

1. შპს „ჩ.რ. ბ.ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.12.2019 წლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-193-2023

20 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ბ. დ-ემ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ა-იას (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ 7750 აშშ დოლარის გადახდის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2015... წლის იანვარში მოპასუხეს სესხის სახით გადასცა 10 000 აშშ დოლარი, რისთვისაც ყოველთვიურ სარგებლად იღებდა 500 აშშ დოლარს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელე ძირ თანხას დაიბრუნებდა პირველივე მოთხოვნიდან 1 თვის ვადაში. მოპასუხემ მოსარჩელეს გადაუხადა 2100... აშშ დოლარი და 300 ლარი, გადასახდელი დარჩა 7750... აშშ დოლარი, თუმცა დარჩენილი სესხის თანხას მოსარჩელეს არ უბრუნებს.

მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ სესხი მოსარჩელეს სრულად დაუბრუნა, გარდა ამისა, სარჩელი ხანდაზმულია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7750 აშშ დოლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

6. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი ხანდაზმული არ არის. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ სადავო გარემოებას წარმოადგენს მოპასუხის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა.

7. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 623-ე მუხლით და მიუთითა, რომ მოპასუხემ სადავო თანხის მიღება დაადასტურა, თუმცა განმარტა, რომ ვალდებულება სრულად შეასრულა.

8. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმით გათვალისწინებული მტკიცებების ტვირთის განაწილების ზოგად წესზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თანხის გადაცემის მტკიცებების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება, ხოლო მსესხებლის მტკიცებების ტვირთი შემოიფარგლება სესხის დაფარვით ან თანხის სხვა სამართლებრივი საფუძვლით მიღებით.

9. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ სარჩელში მითითებული ოდენობით თანხის მიღების ფაქტი დაადასტურა და სადავოა მხოლოდ თანხის გადაცემის მიზნობრიობა. მოპასუხემ განაცხადა, რომ ვალდებულება სრულად შეასრულა, მაგრამ როდის და რა ფორმით, არ ახსოვს.

10. სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 624-ე მუხლის შესაბამისად განმარტა, რომ მოცემული ნორმით არ არის გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმი და დასადგენი გარემოებების თავისებურების გამო, შეიძლე-

ბა, გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პროცესუალური მტკიცებულებების სახე.

11. სსკ-ის 102-ე მუხლისა და სსკ-ის 429-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვალდებულების შესრულების შესახებ მოპასუხის მხოლოდ ზეპირი განმარტება სესხის დაბრუნების ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ რელევანტურ მტკიცებულებად ვერ შეფასდება, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე აღნიშნულს სადავოდ ხდის. სათანადო მტკიცებულების წარდგენა მოპასუხემ ვერ უზრუნველყო.

12. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ 2017 წლის 21 დეკემბერს თბილისის პროკურატურისათვის განცხადების წარდგენით ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა და განახლდა 20... წლის .. ივნისის თბილისის პროკურატურის წერილობით პასუხით. სარჩელი საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა 2021 წლის 7 აპრილს, შესაბამისად, სსკ-ით სესხის ხელშეკრულებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა დაცულია.

13. სსკ-ის 129-ე და 138-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელემ 2017 წლის 21 დეკემბერს თბილისის პროკურატურას მიმართა მოპასუხის მიმართ თაღლითობის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით. საქმეში წარდგენილია თბილისის პროკურატურის მიერ 2022...წლის 20 მაისს გამოგზავნილი გამოძიების მასალები, კერძოდ, 2017-2018 წლებში ჩატარებული გასაუბრების ოქმები როგორც მხარეებთან, ისე სხვა ფიზიკურ პირებთან. აღნიშნული ოქმების თანახმად, თბილისის პროკურატურამ 2020 წლის 25 ივნისის წერილით მოსარჩელეს აცნობა, რომ 2017 წლის 21 დეკემბერს წარდგენილი განცხადება, რომელიც შეეხება მათ შორის წარმოქმნილ დავას სასესო ვალდებულებასთან მიმართებით, არ შეიცავდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ამიტომ აღნიშნული განცხადების საფუძველზე გამოძიება არ დაწყებულა.

14. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტად თბილისის პროკურატურის მიერ 2020 წლის 25 ივნისის გაცემული წერილობითი პასუხი უნდა მიჩნეულიყო. ვინაიდან მოსარჩელემ განცხადებით სასამართლოს მიმართა პროკურატურას სსკ-ის 141-ე მუხლის გათვალისწინებით, სასარჩელო მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული, რადგან დასახელებული ნორმის დანაწესით, ხანდაზმულობის ვადის დენა თბილისის პროკურატურის წერილობითი პასუხის შემდგომ დაიწყო თავიდან.

15. მითითებული მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საკუთარი მოთხოვნის დაცვის ნებას

ავლენს და გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავს დარღვეული უფლებების აღსადგენად, ამასთან, აღნიშნული ნორმის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ მხარის მიერ მიჩნეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი სარჩელი (განცხადება) წყვეტს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს. სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის დარღვევით გამოწვეული შედეგები კი, თავად მხარის რისკია.

16. სააპელაციო პალატის მითითებით, მოსარჩელემ თავდაპირველად, თანხის თაღლითური დაუფლების დადგენის მიზნით, მიმართა კომპეტენტურ ორგანოს, სადაც 2020 წლის 25 ივნისამდე მიმდინარეობდა გამოძიება. ამ გარემოების გათვალისწინებით, მოსარჩელემ უფლებამოსილ ორგანოს მიმართა. სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა 2021 წლის 7 აპრილს, მოსარჩელეს ამ დრომდე მიმართული ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოსათვის, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადა დაცულია.

17. ამდენად, მტკიცების ტვირთის ობიექტური განაწილებისა და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების გონივრული განსჯის შედეგად სააპელაციო პალატას მიიჩნია, რომ სარჩელი ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

18. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

19. კასატორმა მოითხოვა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტების საფუძველზე, რადგან საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ასევე, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული

პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მოცემულ საქმეზე მიღებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

20. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორადაა შეფასებული ის ფაქტი, რომ მოსარჩელის მიერ უდავოდ 2016 წლის დეკემბერში გახდა ცნობილი სესხის ზეპირი ხელშეკრულების დარღვევის შესახებ, თუმცა სესხის ხელშეკრულების პირობები შესრულებული იყო მოპასუხის მხრიდან და მოსარჩელე უკანონოდ ითხოვდა პროცენტის სახით თანხის დამატებას, რაზედაც მოპასუხემ უარი განუცხადა. ამდენად ხელშეკრულების თანახმად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის თებერვლიდან და არა თბილისის პროკურატურიდან მოსარჩელის მიერ 2017 წლის 21 დეკემბერს წარდგენილ განცხადებაზე 2020 წლის 25 ივნისს მიღებული წერილობითი პასუხიდან. მოცემულ საქმეზე ხანდაზმულობის დენის შეწყვეტასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული მსჯელობა, თითქოს 2017 წლის 21 დეკემბერს მოსარჩელის მიერ თბილისის პროკურატურაში წარდგენილი განცხადებით ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა, არ არის კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული. იგი განსხვავდება უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაში (სუსგ საქმეზე ას-1586-1489-2012) მითითებულია, რომ სსკ-ის 138-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საკუთარი მოთხოვნის დაცვის ნებას ავლენს და გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავს დარღვეული უფლების აღსადგენად, ამასთან, აღნიშნული ნორმის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ მხარის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი სარჩელი (განცხადება) წყვეტს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს. სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსათვის მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს, თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის დარღვევით გამოწვეული შედეგები კი თავად მხარის რისკია.

21. ამდენად, სესხის ზეპირი ხელშეკრულების არსებობის პირობებში, მოსარჩელეს 2017 წლის თებერვლიდან 2020 წლის თებერვლამდე სამოქალაქო სარჩელით უნდა მიემართა სასამართლოსათვის, ვინაიდან

სამოქალაქო კოდექსით რეგულირებად დავებს განიხილავს სასამართლო და არა პროკურატურის ორგანოები. მოსარჩელემ კი იცოდა, რომ სესხის ხელშეკრულებით რეგულირებად ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხესთან და აღნიშნულზე 2021 წლის 7 აპრილს მიმართა სასამართლოს, მიუხედავად ამისა, მანამდე, 2021 წლის 21 დეკემბერს პროკურატურას მიმართა განცხადებით, მოპასუხის მიერ თაღლითური გზით თანხის მითვისების გამო, გამოძიების დასაწყებად. მან აშკარად იცოდა, რომ გამოძიება არ დაიწყებოდა, მსგავსი ფაქტის არარსებობის გამო, და ცდილობდა საგამოძიებო სამსახურები გამოეყენებინა მოპასუხისათვის დისკომფორტის შესაქმნელად და მისი უკანონო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მით უფრო, როდესაც პროკურატურაში წარგენილ განცხადებასა და სასამართლოში წარგენილ სარჩელშიც უთითებდა მის მიმართ დარღვეულ, აშკარად სამოქალაქო კანონმდებლობით რეგულირებად საკითხებზე. ამდენად, სხვა სახელმწიფო ორგანო, სასამართლოს გარდა, არ იყო კომპეტენტური, დაეკმაყოფილებინა მოსარჩელის მოთხოვნა, შესაბამისად, მან არაკომპეტენტურ ორგანოს მიმართა.

22. კასატორმა მიიჩნია, რომ სსკ-ის 129-ე, 130-ე და 138-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს არ შეეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ 2017 წლის 21 დეკემბერს თბილისის პროკურატურისათვის მოსარჩელის მიერ განცხადების წარდგენით ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა, რის გამოც შემდეგში სააპელაციო სასამართლომ მიიღო არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება.

23. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 129-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი და მოცემულ საქმეზე მისი ათვლა დაიწყო 2017 წლის თებერვლიდან და არ შემწყდარა 2017 წლის 21 დეკემბერს პროკურატურაში მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადებით. შესაბამისად, ხანდაზმულობის დაწყების მომენტად მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება მიჩნეული მოსარჩელისათვის პროკურატურიდან 2020 წლის 25 ივნისს გაცემული წერილობითი პასუხი. ასევე, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სსკ-ის 130-ე და 138-ე მუხლები, რის გამოც საქმეზე მიღებულ იქნა უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 28 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023... წლის 11 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

26. 2023... წლის 03 ივლისს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. კ-ამ, რომელმაც მიუთითა, რომ განსახილველ საქმეზე გარდაიცვალა მოსარჩელე, ხოლო განმცხადებელი კი არის გარდაცვლილი მოსარჩელის მეუღლე. განმცხადებელმა მოითხოვა გარდაცვლილი მოსარჩელის უფლებამონაცვლის დადგენამდე საქმის წარმოების შეჩერება.

27. საკასაციო პალატამ 2023 წლის 17 ივლისის განჩინებით სსსკ-ის 92-ე მუხლის, 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 284-ე, 285-ე მუხლების საფუძველზე დააკმაყოფილა განმცხადებლის შუამდგომლობა და შეაჩერა საქმის წარმოება 2023 წლის 18 სექტემბრამდე.

28. 2023 წლის 04 სექტემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. კ-მ, წარმოადგინა 2023 წლის 01 სექტემბერს გაცემული №2... სამკვიდრო მოწმობა, მოითხოვა საქეში მოსარჩელის უფლებამონაცვლედ ჩაბმა და შეჩერებული საქმის წარმოების განახლება.

29. საკასაციო სასამართლოს 2023... წლის 12 სექტემბრის განჩინებით განმცხადებლის მოთხოვნა საქმეში გარდაცვლილი მოსარჩელის უფლებამონაცვლედ ჩაბმისა და შეჩერებული საქმის წარმოების განახლების შესახებ, დაკმაყოფილდა.

სამოტივაციო ნაწილი:

30. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის და მტკიცებულებათა გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

31. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავების საფუძვლიანობა.

32. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ

სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

33. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილი იქნა, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეუფასებლობის საპროცესო სამართლებრივი საფუძველით [სსკ-ის 105-ე, 407.1, 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 396-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი].

34. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილადგვის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

35. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს კერძოდ, თანხის დაბრუნების მოთხოვნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 623-ე მუხლიდან [სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი], გამომდინარეობს.

36. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარ-

მატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და განაწილოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

37. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

38. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველებთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ.პოელინგი, ლ.ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა, მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

39. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლე-

ბის ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

40. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოიწვევს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

41. სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამომწებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონიშნების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კა-

ნონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, საკასაციო სასამართლოს შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და განჩინებით ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

42. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, სესხის (ძირი თანხა) დაბრუნების მოთხოვნა, თანმიმდევრობით განხორციელებული უნდა იყოს მოთხოვნის საფუძვლის განმაპირობებელი შემდეგი წინაპირობები: მსესხებელს გადაცემული უნდა ჰქონდეს განსაზღვრული (სადავო) თანხა საკუთრებაში და უნდა კისრულობდეს გადაცემული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულებას.

43. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულება ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: 1) სესხის ხელშეკრულება არის ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულება, თუმცა, იგი განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ისეთი ხელშეკრულებებისაგან, როგორიცაა ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, სამისდღე-შიო რჩენა. 2) სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებად დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რამდენი პირის ნებაა გამოვლენილი (რამეთუ ხელშეკრულება ზოგადად გულისხმობს ორი ან მეტი პირის ნების გამოვლენას), არამედ იმაზე, თუ როგორაა განაწილებული უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების მხარეებს შორის. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს სესხად გადაცემულის დაბრუნება, ხოლო მსესხებელი კი, ვალდებულია დააბრუნოს უკან სესხად მიღებული იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. 3) სესხის ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება. შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება დადებულია ითვლება, როცა გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ხელშეკრულების საგანს (იხ. დამატებით: ზ. ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010 წ, გვ. 345).

44. ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც სადავო იყო მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საკითხი, საკასაციო პალატამ შემდეგი განმარტება გააკეთა: „სსსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სესხი რეალურ

ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება)“ (შდრ: სუსგ №ას-1245-1168-2015, 20 მაისი, 2016 წელი). სხვა საქმეშიც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას ანუ, იგი დადებულიად ითვლება და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის შემდეგ (შდრ: სუსგ №ას-71-2023, 24 ივლისი, 2023 წ; №ას-662-2022, 11 ნოემბერი, 2022 წ; №ას-301-2021, 25 ივნისი, 2021 წ. პ.48; №ას-361-343-2015, 14 დეკემბერი, 2015 წელი).

45. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მარტოოდენ სესხის შესახებ შეთანხმება ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგან სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და სამართლებრივი ძალის აუცილებელი პირობაა გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლის საკუთრებაში რეალურად გადაცემა, სადავოობის შემთხვევაში, მოსარჩელემ (გამსესხებელმა) უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოებაც (იხ. თამარ ზამბახიძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 623, ველი 3, www.gccc.ge; თამარ შოთაძე, სესხის ხელშეკრულების მოდერნიზაციის აუცილებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, თბილისი, 2012, გვ.361).

46. სსკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სსკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა, უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მოწმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო პალატა გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გა-

რემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნეეს წერილობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი (შდრ: სუსგ №ას-398-371-2017, 06 ივნისი, 2017 წ; №ას-71-2023, 24 ივლისი, 2023 წ.).

47. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

48. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნილობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

49. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარისთქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

50. მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარ-

ჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

51. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

52. გამსესხებლის ვალდებულება შემოიფარგლება სესხის თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცებით, ხოლო მსესხებლის მტკიცების ტვირთი კი შემოიფარგლება სესხის თანხის დაბრუნებით.

53. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტა. შეწყვეტის შემდეგ ვალდებულება აღარ არსებობს. მის მონაწილეებს ერთმანეთთან აღარ აკავშირებთ უფლებები და მოვალეობები. ვალდებულების შეწყვეტას იწვევს განსაზღვრული გარემოებები, რომლებსაც ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებს უწოდებენ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეწყვეტის სხვადასხვა საფუძვლები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მიზა-

ნი არის ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების მიღება მხარეების მიერ, ე.ი. შესრულებით მიიღწევა ის მიზანი, რასაც ვალდებულების მონაწილეები ისახავდნენ. ამის შემდეგ უკვე აღარ არსებობს ამ ურთიერთობის გაგრძელებისათვის სამართლებრივი საფუძველი. ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს. სსკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).

54. სსკ-ის 427-ე მუხლის მიზნებისათვის ვალდებულების შეწყვეტის ქვეშ იგულისხმება, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა ვინრო ან/და ფართო გაგებით დასრულებულია, შეწყვეტილია და აღარ არსებობს (იხ. დამატებით: გიორგი სვანაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 427, ველი 5, www.gecc.ge).

55. საკასაციო პალატა განმარტავს, იმისათვის, რომ სსკ-ის 427-ე მუხლის საფუძველზე, ვალდებულება კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით შეწყდეს, სახეზე უნდა იყოს შესრულების მიზნით განხორციელებული ქმედება, რომელიც განხორციელებულია: ა) ჯეროვნად, ბ) კეთილსინდისიერად, გ) დათქმულ დროსა და ადგილას, დ) უფლებამოსილი პირის მიმართ. ჩამოთვლილი წინაპირობები კუმულატიურად უნდა იყოს დაკმაყოფილებული. ასეთი შესრულება ვალდებულების შეწყვეტას ნიშნავს და ასეთ შემთხვევაში, კრედიტორს არა აქვს უფლება, ხელმეორედ მოითხოვოს შესრულება (შდრ. სუსგ №ას-736-704-2016, 25 ნოემბერი, 2016 წელი).

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვალდებულების შესრულების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მოვალეს აკისრია. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულება შეასრულა და ამით ვალდებულება შეწყდა. მოვალეს ესაჭიროება სათანადო მტკიცებულება, რომ შეწყვეტის მიზნით ვალდებულების შესრულების ფაქტი დაამტკიცოს. კრედიტორი ასეთი დოკუმენტის გაცემით ადასტურებს, რომ მან შესრულება მიიღო, ვალდებულება შესრულდა და შეწყვეტილია. პრაქტიკაში ვალდებულების შესრულების ან/და მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის სხვადასხვა სახე არსებობს, როგორიცაა: ქვითარი, მიღება-ჩაბარების აქტი, ხელწერილი, საბანკო გადარიცხვის ამონაწერი და სხვა.

57. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სასარჩლო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 625-ე მუხლები წარმოადგენდა, რომლის ფარგლებშიც მოსარ-

ჩელე ვალდებულია სარჩელში მიუთითოს: ა) მხარეთა შორის სესხის სა-ხელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა (თანხის მოვალისათვის გა-დაცემა); ბ) მხარეთა შეთანხმება სარგებელზე; გ) შესრულების ვადის დადგომა; დ) მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა (მითითების ტვირთი), იმის მიხედვით კი, თუ რომელ გარემოებებს შეეძლება დად-გენილი წესით მოპასუხე (სსსკ-ის 201-ე და 219-ე მუხლები), სასამარ-თლო განსაზღვრავს მტკიცების საგანს და გარდა უკანასკნელი ფაქ-ტობრივი გარემოებისა, ყველა ზემოხსენებულის მტკიცება ეკისრება მოსარჩელეს (სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები), რაც შეეხება ვალდებუ-ლების შესრულების მტკიცების ტვირთს, როგორც საპროცესო, ისე მა-ტერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით იგი მოვალის ვალდებუ-ლებას წარმოადგენს (სსსკ-ის 102-ე მუხლი, ასევე, სკ-ის 429-ე მუხლი). მხარეთა შორის უდავოა, რომ სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის შესაბამისად, მსესხებელმა ვალდებულების შესრულების ფაქტი ვერ დაამტკიცა. შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნა სესხის დაკირების მოთხოვნის ნაწილში, წარმატებულია“ (შდრ. სუსგ-ები: №ას-250-2022, 28 აპრილი, 2023 წ. პ.20-23; №ას-346-2021, 14 ივლისი, 2021 წ; №ას-488-2021, 29 სექტემბერი, 2021 წ; №ას-1755-2018, 22 თებერვალი, 2019 წ; №ას-481-481-2018, 19 თებერვალი, 2019 წელი).

58. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესრულების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი წერილობითი ფორმით უნდა იქნეს შედგენილი, რათა დავის შემთხვევაში, გამოყენებული იქნეს მოვალის მიერ, რო-გორც ვალდებულების შეწყვეტის დამადასტურებელი მტკიცებულე-ბა. ფორმა, ნების გამოვლენის განცხადების საშუალებაა. კრედიტორი და მოვალე შეიძლება შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების და-მადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონულ ფორმაზეც (ასეთ შემ-თხვევაში, შესაძლებელია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაც). მოვალეს შეუძლია მოითხოვოს არა მხოლოდ ვალდებულების მთლია-ნად შესრულების დამადასტურებელი, არამედ მისი ნაწილობრივ შეს-რულების/მიღების დამადასტურებელი დოკუმენტიც.

59. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩ-ნია, რომ მსესხებელმა ვერ წარადგინა სადავო თანხის გადახდის დამა-დასტურებელი სათანადო, ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებუ-ლი მტკიცებულება. (შდრ. სუსგ №ას-1755-2018, 22 თებერვალი, 2019 წელი). სხვა საქმეებშიც დადგენილი იქნა, რომ მხარეთა შორის წარმო-შობილია სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით სა-მართლებრივი ურთიერთობა. საკასაციო პრეტენზია შეეხებოდა სეს-ხის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობას. საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სააპელა-ციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მო-

წინააღმდეგე მხარისათვის სადავო თანხის გადახდის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება მსესხებლის მიერ წარმოდგენილი არაა [სსსკ-ის 102-ე მუხლი]. სსკ-ის 429-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების მიღების წესს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება. მან ვერ წარმოადგინა საკმარისი და სარწმუნო მტკიცებულება სადავოდ ქცეული თანხის ფარგლებში ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ. [სსსკ-ის 105-ე მუხლი].“ (მდრ. სუსგ №ას-474-474-2018, 13 ივლისი, 2018 წელი; №ას-1425-1345-2017, 30 აპრილი, 2018 წელი; №ას-1452-1372-2017, 26 იანვარი, 2018 წელი).

60. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სასესხო ვალდებულების შესრულების ნამდვილობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მონმეთა ჩვენებები. მონმეთა ჩვენებებთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებდნენ სადავო ფაქტს (მაგალითად, უშუალოდ კრედიტორის წერილი, თუნდაც, მესამე პირისადმი მიმართული, რომელშიც მითითებული ინფორმაცია ვალდებულების შესრულების თაობაზე, ან/და კრედიტორის მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ ვალდებულების მიღებაზე და სხვა). ამდენად, სასესხო ვალდებულებების შესრულების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) მონმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად“ (მდრ. სუსგ №ას-855-799-2017, 22 სექტემბერი, 2018 წელი;).

61. მოსარჩელის (გამსესხებლის) მიერ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოპასუხეს (მსესხებელს) ვალდებულება (სესხის დაბრუნება) შესრულებული არ აქვს. ამდენად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს). მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია მსესხებლის (მოპასუხეს) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) აკისრია მსესხებელს (მოპასუხეს). ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმას, რომ მოვალემ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, არამედ იმას, ეს შესრულება რამდენად ითვლება კრედიტორის მიერ მიღებულად. ამდენად, სასესხო ვალდებულებების შესრულების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) მონმეების ჩვენება

დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად (შდრ: სუსგ №ას-872-830-2013, 17 ოქტომბერი, 2014 წელი).

62. საქმეზე დადგენილად ცნობილი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა (მსესხებელმა) ვერ წარმოადგინა სესხის დაბრუნების (მოთხოვნის შეწყვეტა) დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულება, შესაბამისად, სახეზე არაა სსკ-ის 427-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი.

63. თუმცა საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მოპასუხემ (მსესხებელი) წარადგინა არა მხოლოდ მოთხოვნის შეწყვეტი, არამედ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელიც (ხანდაზმულობა) და მიუთითა, რომ სსკ-ის 144.1 მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

64. კასატორის ძირითადი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ საპელაციო სასამართლომ არასწორად აითვალა ხანდაზმულობის დენის დაწყების მომენტი და ამიტომაც არასწორად მიიჩნია მოთხოვნა განხორციელებადად.

65. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლის წარდგენისას, მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაუღერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე, ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა, უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი).

66. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დრო დიდ როლს თამაშობს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საკითხში. მხარეთა შორის გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება იმდენად დიდი ხნის წინ წარმოიშვას, რომ გავლენა მოახდინოს მხარეთა უფლება-მოვალეობებზე. მართლწესრიგი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რომლის ერთ-ერთ სახესაც წარმოადგენს სასარჩელო ხანდაზმულობა. მისი არსებობა განპირობებულია ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და მათი ინტერესების თანაბარი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე. გონივრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების არსებობა უფლების რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნა უფრო მეტად დაცვის ღირსია. სასარჩელო ხანდაზმულობა უფლების განხორციელებისათვის განსაზღვრულ ჩარჩოებს აწესებს. სასარჩელო ხანდაზმულობა წარმოადგენს მიზნის მიღწე-

ვის საშუალებას და არა თვითმიზანს.

67. სასარჩელო ხანდაზმულობა იმ სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია, რომ რაღაც ურთიერთობას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა პირდაპირ გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე (იხ. დამატებით: თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვ. 133; ბესარიონ ზოიძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2003 წ. გვ. 110.).

68. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა, ანუ კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ამ ვადის გასვლა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ო. ს.-ი და ი. ხ.-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). ხანდაზმულობის ვადის გასვლა მოთხოვნას არ აუქმებს (წყვეტს), არამედ მოვალეს შესაძლებლობას ანიჭებს, უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე. ანუ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია (შდრ: გიორგი სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 144-ე, ველი 1. თბილისი, 2017 წელი; შდრ: ასევე სუსგ №ას-1437-1357-2018, 11 მაისი, 2018 წელი).

69. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სს.კ.-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზმულობის ვადების დანესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით, ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლს და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის

სტიმულიზაციას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63; შდრ. სუსგ №ას-547-515-2012, 11 ივნისი, 2012 წელი).

70. ზემოთ ჩამოთვლილი კანონიერი მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. გადაწყვეტილებაში საქმეზე სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (პ.51). (Stubbings and Others v The United Kingdom, განაცხადის ნომერი №22083/93; №220095/93, 22 ოქტომბერი, 1996).

71. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. საკსაციო პალატამ არერთ საქმეზე განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი წარმოადგენს უფლების დაცვის მატერიალურ-სამართლებრივ საშუალებას, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს, თუმცა სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი განხორციელება კონკრეტული წინაპირობის არსებობისას, არ ხდება (შდრ. სუსგ №ას-1428-2018, 27 დეკემბერი, 2018; №ას-369-350-2015, 30 ივლისი, 2015).

72. საკსაციო პალატა განმარტავს, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების შედეგად წარმოშობილი სანინააღმდეგო უფლება მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობით შესაგებელია, რომელიც მოთხოვნის განხორციელებას ხანგრძლივად ან დროებით აფერხებს. „სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის მიზანია მოვალის დაცვა იმ პროცესის ნაწილად გახდომისაგან, რომელშიც პოზიციის დაცვა რთული ან შეუძლებელია მოთხოვნის სიძველის გამო“. (შდრ: სუსგ №ას-898-860-2014, 09 ოქტომბერი, 2015 წელი). ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელ-

დება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. მაგალითად, მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების შემოწმება მიმდინარეობს მოპასუხის შედავების შემოწმების ეტაპზე (იხ. დამატებით: ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, გვ. 170; მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, GIZ, 2013, გვ. 20).

73. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი აერთიანებს ორ ნაწილს: სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. რადგან სასარჩელო ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი განხორციელების ვადა, ის უკავშირდება სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა მატერიალური და არა საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი მიჩნეული უნდა იქნეს მატერიალური სამართლის კუთვნილებად კანონმდებლობაში მისი ადგილისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით.

74. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ასევე მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მეხსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისაგან.

75. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა არ არის აბსტრაქტული სამართლებრივი კატეგორია. კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი დაწყებისა და დასრულების მომენტს. მოთხოვნის შემოწმებისას აუცილებელია განისაზღვროს ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის გამოყენებისა და მისი ათვლის საკითხი. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხანდაზმულობის ვადის ათვლის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან ანუ იმ მომენტთან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. სანინალმდევოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას (მდრ: ნ. კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 2. თბილისი, 2017 წელი; ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011 წელი, გვერდი 123).

76. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის სწორი გამოთვლისათვის არსებითია, ზუსტად დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის დრო. სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. (მდრ: სუსგ-ები №ას-1937-2018, 15 მარტი, 2019 წელი, პ-16; №ას-1343-1263-2017, 20 დეკემბერი, 2017 წელი; №ას-934-899-2016, 14.02.176.; №ას-68-68-2018, 03.04.2018წ.; №ას-382-2019, 14 მაისი, 2019 წელი.).

77. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი დაკავშირებულია ობიექტურ მომენტთან – უფლების დარღვევის ფაქტთან და სუბიექტურ მომენტთან – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ გახდა ცნობილი ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეტყო.

78. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც წესი, ივარაუდება, რომ პირი უფლების დარღვევის ფაქტს მისი დადგომისთანავე შეიტყობს ან საშუალო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო შეეტყო ამ ფაქტის თაობაზე. აღნიშნულის საწინაარმდევოს, ანუ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის მტკიცების ტვირთი კი უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შე-

სახე (მდრ: ნ.კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 5. თბილისი, 2017 წელი).

79. ვინაიდან სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას მხოლოდ მოპასუხის მითითების საფუძველზე იკვლევს, მოთხოვნის ვადაში წარდგენა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. „თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენა“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წელი, გვერდი 64.).

80. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის დაწყებისათვის, როგორც წესი, არ არის სავალდებულო, რომ კრედიტორმა მისთვის ცნობილ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება მისცეს. თუ კრედიტორი მცდარ დასკვნებს გამოიტანს, ფაქტებს მცდარად შეაფასებს, ხანდაზმულობის ვადის დინება მაინც იწყება. ხანდაზმულობის ვადების დაწყებისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის საფუძველად არსებული ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა მისი სამართლებრივი შეფასების გარეშე, რადგან რთულია შესაბამისი განათლების არმქონე პირს მოეთხოვოს ნორმის ქმედების შემადგენლობის კომპონენტების შეფასება. სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის ათვლის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას, პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ითვალისწინებს ბრალეულ არცოდნასაც. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პირს უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ (იხ. დამატებით: ზურაბ ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999 წელი, მუხლი 130, გვერდი 320.).

81. კასატორის პრეტენზიის ფარგლებში საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სსკ-ის 138-ე მუხლის დანაწესზე, კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქ-

მედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება სკ-ს 139-ე და 140-ე მუხლები) (იხ. დამატებით: გიორგი სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017, მუხლი 138, ველი 1.).

82. „სსკ-ის 138-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საკუთარი მოთხოვნის დაცვის ნებას ავლენს და გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავს დარღვეული უფლების აღსადგენად, ამასთან, აღნიშნული ნორმის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ მხარის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი სარჩელი (განცხადება) წყვეტს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს. სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა წესრიგდებოდეს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის დარღვევით გამოწვეული შედეგები კი, თავად მხარის რისკია. (იხ. სუსგ-ები: №ას-1586-1489-2012, 22 აპრილი, 2013 წ; №ას-960-909-2015, 04 დეკემბერი, 2015 წ; №ას-1345-2018, 15 მარტი, 2019 წ; №ას-192-2022, 28 აპრილი, 2022 წ.).

83. „უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მიუთითა, რომ არ იზიარებს კასატორების პრეტენზიას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოსარჩელემ თავისი დარღვეული უფლების დასაცავად მიმართა იმ სახელმწიფო ორგანოს (პროკურატურას), რომელსაც ხელეწიფებოდა ამ უფლების აღდგენა (სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე წინადადება). საქართველოს პროკურატურისადმი მიმართული საჩივრით განმცხადებელი კუთვნილი ქონების დასაბრუნებლად, როგორც დაზარალებულად, ასევე მოსარჩელედ ცნობასაც ითხოვდა. იმ დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლეოდა. ამ ნორმის თანახმად: „პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი“. იმავე კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად კი, სამოქალაქო სარჩელი წარედგინებოდა იმ მომკვლევს, გამოძიებელს ან პროკურორს, რომლის წარმოებაშიც იყო სისხლის სამართლის საქმე“ (იხ: უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, პ.214.).

84. „ერთ-ერთ საქმეზე დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელემ 2012

წელს მიმართა პროკურატურას დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით, შე-
საბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნის მიმართ შეწყდა
ხანდაზმულობის ვადა. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის
აღნიშნული მოსაზრება და განმარტა, რომ პროკურატურისათვის მი-
მართვა ვერ მიიჩნევა ნამდვილ შეცილებადა საკანონმდებლო მიზნები-
დან გამომდინარე, ვინაიდან, 2012 წელს მოქმედი სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პროკურატურა ვერ მიიჩნევა უფ-
ლებამოსილ ორგანოდ. რადგან მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,
პროკურატურა არ არის უფლებამოსილი განსაზღვროს და დაადგინოს
დანაშაულებრივი გზით მიყენებული ზიანის დაზარალებულისათვის
ანაზღაურების საკითხი. აღნიშნულ საკითხს წყვეტს მხოლოდ სასამარ-
თლო. კასატორი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს, სა-
კასაციო სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის №ას-664-
635-2016 გადაწყვეტილებაზე და აღნიშნავს, რომ მითითებულ საქმეში
სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად სწორედ
პროკურატურისათვის მიმართვის ფაქტი მიიჩნია. აღნიშნულ პრეტენ-
ზიასთან მიმართებით, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ კასატორის
მიერ მოხმობილ საქმეში პროკურატურისათვის მიმართვის დროს (2008
წლის 1 დეკემბერი და განმეორებით მიმართვის თარიღი – 2009 წლის
29 იანვარი და 12 მარტი), განმცხადებელი საჩივრით, კუთვნილი ქონე-
ბის დასაბრუნებლად, როგორც დაზარალებულად, ასევე მოსარჩელედ
ცნობასაც ითხოვდა და იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპრო-
ცესო კოდექსის 30-ე მუხლის რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლეო-
და. აღნიშნული ნორმის თანახმად: „პირს, რომელსაც უშუალოდ დანა-
შაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი,
უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს
ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩე-
ლი“. იმავე კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად კი, სამოქალაქო სარჩელი
წარედგინებოდა იმ მომკვლევს, გამომძიებელს ან პროკურორს, რომ-
ლის წარმოებაშიც იყო სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნულიდან გა-
მომდინარე, დიდი პალატის განმარტება ვერ გავრცელდება მოცემულ
საქმეზე, ვინაიდან, მოსარჩელემ პროკურატურას მიმართა 2012 წელს,
რა დროსაც პროკურატურა ვერ განიხილებოდა უფლებამოსილ ორგა-
ნოდ, შეეფასებინა პირის მოთხოვნა სამოქალაქო სამართლებრივი კუთ-
ხით და პროკურატურის კომპეტენცია განისაზღვრებოდა კონკრეტულ
სუბიექტთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების
ფარგლებში. შესაბამისად, 2012 წელს პროკურატურისათვის მიმართვა
ვერ განიხილება ხანდაზმულობის ვადის შემწყვეტ ქმედებად.“ (შდრ:
სუსგ №ას-192-2022, 28 აპრილი, 2022 წ, პ.25.3).

85. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „გამომძიე-

ბისათვის მიმართვით, ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყვეტილა (სს-ის 138-ე მუხლი), რადგანაც გამოძიება სამოქალაქო ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს არ წარმოადგენს. გამოძიებისათვის მიმართვა ხანდაზმულობის ვადის დენას წყვეტდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელებამდე, ვიდრე დასაშვები იყო სამოქალაქო სარჩელის განხილვა ზიანის ანაზღაურების თაობაზე (ადრე მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე და 31-ე მუხლების თანახმად, პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი“. სამოქალაქო სარჩელი წარედგინებოდა იმ მომკვლევს, გამომძიებელს ან პროკურორს, რომლის წარმოებაშიც იყო სისხლის სამართლის საქმე). შესაბამისად, საკასაციო პალატა უარყოფს კასატორთა პრეტენზიებს და მიიჩნევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს დასკვნები მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე შეესაბამება კანონის მოთხოვნებს“ (მდრ: სუსგ №ას-491-491-2018, 25 იანვარი, 2019 წ., პ.1.4.).

86. „სსკ-ის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი განცხადებით მიმართავს იმგვარ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც მოვალის მიმართ მისი მოთხოვნის არსებობის დადგენა შეუძლია. საგამოძიებო ორგანოები კი მოპასუხის მიმართ აპელანტის მოთხოვნის არსებობას ვერ დაადასტურებდნენ. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოებისათვის მიმართვას ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეუწყვეტია. ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი სარჩელი (განცხადება) წყვეტს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს. სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის დარღვევით გამოწვეული შედეგები კი, თავად მხარის რისკია. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული იურიდიული მოქმედებებიდან ერთ-ერთის განხორციელებას მხოლოდ მაშინ მოჰყვება ამავე ნორმაში მითითებული სამართლებრივი შედეგი, ვიდრე ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასული ვადის დენის შეწყვეტაზე საუბარი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, 2015 წლის 27 აპრილს ქალაქ თბილისის

პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება ცალკეული თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის ფაქტზე; ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის 2016 წლის 12 აპრილის დადგენილებით საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. კასატორი მიიჩნევს, რომ საგამოძიებო ორგანოსათვის (პროკურატურისათვის) მიმართვით მისი მოთხოვნის მიმართ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, ვინაიდან, სსკ-ის 138-ე მუხლის მიზნებისათვის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანია უფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვა, მოცემულ შემთხვევაში კი, პროკურატურა არ წარმოადგენს ასეთ ორგანოს. კერძოდ, გამოძიების მიზანს წარმოადგენდა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების გამოაშკარავება და არა მოსარჩელის მოთხოვნის არსებობის დადგენა ან/და მისი დარღვეული უფლების აღდგენა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საგამოძიებო ორგანოები მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას ვერ დაადასტურებდნენ. საგამოძიებო ორგანოსათვის მიმართვის გზით ვერ განხორციელდებოდა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის მიერ პროკურატურისათვის მიმართვას არ გამოუწვევია მოპასუხეთა მიმართ არსებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა“ (შდრ: სუსგ №ას-1544-1464-2017, 03 ივლისი, 2019 წ. პ.34-36).

87. „კასატორი განმარტავდა, რომ სსკ-ის 138-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილი იყო, რადგან მან, დარღვეული უფლების აღსადგენად, სახელმწიფო ორგანოებს მიმართა. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული, რადგან მოსარჩელემ საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა, სადაც მას განემარტა, რომ მესაკუთრის მოთხოვნა სამოქალაქო დავის საგანი იყო და პროკურატურის კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მხარის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი უნდა იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად“ (შდრ: სუსგ №ას-1259-1179-2017, 22 დეკემბერი, 2017 წ. პ.15.; №ას-591-2019, 15 მაისი, 2020 წ. პ.1.3.7.).

88. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საერთო სასამართლობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამარ-

თლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის სასამართლოსათვის.

89. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელის მიერ 2017 წლის 21 დეკემბერს ქალაქ თბილისის პროკურატურისათვის განცხადების წარდგენით შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დინება და განახლდა 2020 წლის 25 ივნისის პროკურატურის წერილობითი პასუხით.

90. თუმცა საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, შემდეგ გარემოებათა გამო:

91. საქმეში განთავსებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022...წლის 03 მაისის განჩინებით ქალაქ თბილისის პროკურატურიდან 2018 წლის 29 აგვისტოს მოპასუხესთან მოსარჩელის განცხადების საფუძველზე ქალაქ თბილისის პროკურატურაში გასაუბრების ოქმი, სადაც მოპასუხე ადასტურებს, რომ მან მოსარჩელისაგან ნამდვილად მიიღო სესხად 10000 აშშ დოლარი, რომელიც დღეის მდგომარეობით დაბრუნებული აქვს მისთვის უკან და არანაირი ვალი არ გააჩნია. გასაუბრების ოქმის სისწორეს მოპასუხე ადასტურებს ხელმოწერით. საქმის მასალებში განთავსებულია მოსარჩელის საპაექრო სიტყვა, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მოპასუხემ შესაგებელში მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. მოსარჩელე განმარტავს, რომ მოპასუხესთან გასაუბრების ოქმი, რომლითაც იგი უარს აცხადებს სესხის დაბრუნებაზე იმ საფუძველით, რომ სესხი უკვე დაბრუნებული აქვს, დათარიღებულია 29.08.2018. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხემ რა თარიღიც არ უნდა მიუთითოს ხანდაზმულობის ვადის გამოსათვლელად – 2018 წლის 29 აგვისტო, თუ 2020 წლის 25 ივნისი – პროკურატურის დადგენილება გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, 2021 წლის 7 აპრილს რეგისტრირებული სარჩელი ხანდაზმული მაინც ვერ იქნება.

92. საკასაციო პალატას საქმეზე დადგენილი გარემოებების და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2018 წლის 30 აგვისტოდან – (მოპასუხესთან გასაუბრების მომდევნო დღიდან, როდესაც მოსარჩელემ შეიტყო ან უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ). დადგენილია, რომ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი იქნა 2021 წლის 07 აპრილს, ამიტომაც დაცულია სსკ-ით სესხის ხელშეკრულებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. შესაბამისად, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ სარჩელი არ არის ხანდაზმული.

93. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

94. სსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, რადგან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

95. ვინაიდან საკასაციო საჩივარი უარყოფილია, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი რჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. ა-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებულ
მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმით**

№ას-1178-2021

16 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე**

დავის საგანი: იპოთეკის საგნის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2007 წლის 26 აპრილს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა, ერთი მხრივ, გ. დ-ს (როგორც „მსესხებელს“) და მეორე მხრივ, დ. ბ-ს, გ. პ-ძეს და მ. ხ-ს (როგორც „მსესხებლებს“) შორის, რომლის თანახმად, მსესხებელს გ. პ-ძემ (შემდგომში როგორც „გამსესხებელი“ ან „კრედიორი“) ასესხა 11 600 აშშ დოლარი, დ. ბ-მა – 10 600 აშშ დოლარი, ხოლო მ. ხ-მა – 5 250 აშშ დოლარი, ყოველთვიური სარგებლის, 3%-ის დარიცხვის პირობით. მსესხებელმა სრულად მიიღო თანხა.

2. ხელშეკრულების თანახმად, სესხი და საპროცენტო სარგებელი უნდა დაბრუნებულიყო 2007 წლის 26 ივლისს, სამი თვის შემდეგ. ამასთან, ხელშეკრულების შეუსრულებლობის და არაჯეროვანი შესრულებისათვის განისაზღვრა პირგასამტეხლო, საერთო თანხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადანყვეტილების აღსრულებამდე.

3. სესხისა და მასზე დარიცხული სარგებლის გადახდა უზრუნველყოფილი იყო მსესხებლის კუთვნილი საცხოვრებელი ბინით (მდებარე, თბილისი, ..., ფართი – 165,00 კვ.მ. საკადასტრო კოდი ...).

4. ხელშეკრულების თანახმად, მხარეთ შორის დავა გადანყვებოდა კერძო არბიტრის მიერ, რომელსაც აირჩევდა იპოთეკარი.

5. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მსესხებელმა ვალდებულება ვერ შეასრულა.

6. მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის („მ.“) 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ერთ-ერთი გამსესხებლის, გ. პ-ის მოთხოვნა და დადგინდა იპოთეკით დატვირთული მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაცია და რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან სესხის ძირითადი თანხის 11 600 აშშ დოლარის გამსეს-

ხეblისტვის დაბრუნება; ასევე, მსესხებელს დაეკისრა 2007 წლის 27 ნოემბრიდან ვალდებულების სრულად შესრულებამდე ყოველთვიურად სესხის სარგებლის, 348 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს, ყოველდღიურად 34.80 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილებაში მითითა, რომ მისი აღსრულება შესაძლებელი იყო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 წლის ვადაში, ხოლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედიოდა მისი მიღების დღეს.

7. 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებაზე იმავე წლის 25 ივლისს საარბიტრაჟო სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც განისაზღვრა მოვალის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაცია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით განსაზღვრული თანხის გადახდის მიზნით.

8. 2015 წლის 23 იანვრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ მოვალის იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრე გახდა ხ.მ-ა (შემდგომში „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“), ხოლო უფლების დამდგენ დოკუმენტად მითითებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 5 აპრილის განკარგულება. ამავე ამონაწერში მითითებულია, რომ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია იპოთეკა (სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება), ხოლო იპოთეკარია გ. პ-ძე.

9. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 13 თებერვლის წერილი, კრედიტორს, გ. პ-ძეს უარი ეთქვა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2008 წლის 25 ივნისის გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულებაზე გადაწყვეტილებაში მითითებული აღსრულების ვადის გასვლის გამო.

10. „მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით“ დასათაურებული დოკუმენტის თანახმად, გ. პ-ძემ დ. მ-ს (შემდგომში „მოსარჩელე“) დაუთმო 2007 წლის 26 აპრილის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით იყო დატვირთული მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. დოკუმენტს ხელს აწერს მხოლოდ გ. პ-ძე, ხელმოწერის ნამდვილობა დადასტურებულია ნოტარიუსის მიერ 2019 წლის 1 მარტს.

11. სადავო ქონების რეალიზაციის მოთხოვნით, 2018 წლის 20 ივნისის მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განჩინებით სარჩელის მიღებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი, რაც უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 დეკემბრის განჩინებით.

12. 2019 წლის 7 მარტს მოსარჩელემ განმეორებით წარადგინა ანალოგიური სარჩელი, რაც ასევე არ იქნა წარმოებაში მიღებული.

13. მოსარჩელის მოთხოვნა

12.1. 2019 წლის 28 მარტს მოსარჩელემ კვლავ სარჩელით მიმართა სასამართლოს და 199 520 აშშ დოლარის სასესხო დავალიანების ანაზღაურების მიზნით მოითხოვა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია.

12.2. მოსარჩელის განცხადებით, სადავო უძრავი ქონების ამჟამინდელი მესაკუთრეა მოპასუხე, რომელიც იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების შემძენი გახდა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 5 აპრილის განკარგულებით. მართალია, კერძო არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული მოვალის უძრავი ქონება, მაგრამ აღნიშნულით დაკმაყოფილდნენ სხვა კრედიტორები, ხოლო გამსესხებელს, გ. პ-ძეს თანხა არ მიუღია. მოსარჩელემ მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულებით გ. პ-ძისგან (გამსესხებლისგან) შეიძინა 2007 წლის 27 იანვრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციისა და ამ რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან სესხის თანხის მოთხოვნის უფლება, ამდენად, ვინაიდან გამსესხებელს გასესხებული თანხა დღემდე არ მიუღია, არსებობს სადავო ქონების რეალიზაციისა და წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, მოსარჩელის განცხადებით, სარჩელის სასამართლოში წარდგენა საჭირო გახდა იმის გამო, რომ გამსესხებელმა იძულებითი აღსრულების შესახებ მოთხოვნა აღსრულების ბიუროში წარადგინა 3-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

13. მოპასუხის პოზიცია

13.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე და განმარტა, რომ სადავო ბინა მან შეიძინა 2013 წელს, როდესაც უკვე გასული იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამსესხებლის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა. კერძოდ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ვადად სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული იყო სამი წელი, რომელიც ამოიწურა 2011 წლის 5 ივნისს, შესაბამისად, საჯარო რეესტრის ჩანაწერში იპოთეკის უფლების მითითება არ შეიძლება გახდეს ხანდაზმული მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და უკვე გაცემული სააღსრულებო ფურცლის განმეორებით გაცემის საფუძველი. ამასთან, მოპასუხემ აღნიშნა, რომ გამსესხებელმა, სახელმწიფო ბაჟის გადახდისთვის თავის არიდების მიზნით შეგნებულად დაუთმო მოთხოვნა მოსარჩელეს, რომელიც სოციალურად დაუცველი პირია და თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

14.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

15. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

15.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

16.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის („მ.“) 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დადგინდა მოპასუხის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა.

16.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-11 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

16.3. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 198-ე-202-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ ვინაიდან კანონი არ განსაზღვრავს მოთხოვნის უფლების დათმობის ფორმას და იგი კონკლუდენტური მოქმედებითაც შეიძლება გამოიხატოს, ხელშეკრულება, რომლითაც გამსესხებელმა მოსარჩელეს დაუთმო (გადასცა) სადავო გარიგებიდან გამომდინარე გამსესხებლის უფლება-მოვალეობები, ნამდვილია და იგი შესაბამის უფლებებს წარმოუშობს მოსარჩელეს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულების არანამდვილობასთან მიმართებით.

16.4. სააპელაციო სასამართლო ასევე არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ, მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 142-ე, 144-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა არა სამ, არამედ ათ წელს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან. ამრიგად, ვინაიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (2008 წლის 5 მაისი) 10 წლის ვადაში კრედიტორმა სააღსრულებო ბიუროში წარადგინა მოთხოვნა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით, ძირითადი თანხის, 11 600 აშშ დოლარის ნაწილში მოთხოვნა ხანდაზმულად ვერ მიიჩნეოდა, ხოლო რაც შეეხება პერიოდულად შესასრულებელ (მზარდ) ვალდებულებას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოთხოვნის

ამ ნაწილზე უნდა გავრცელებულიყო სამოქალაქო კოდექსის 129.1 მუხლის რეგულირება და მოპასუხეს უნდა დაჰკისრებოდა სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენამდე ბოლო სამი წლის მანძილზე დასაკისრებელი ყოველთვიური სარგებლისა და პირგასამტეხლოს გადახდა.

17. მოპასუხის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

17.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

17.2. კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლის მოთხოვნა, რომლითაც განსაზღვრულია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები. კრედიტორს ერთხელ უკვე მიმართული აქვს სააღსრულებო ბიუროსთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ამდენად, სასამართლოს ეს საქმე საერთოდ არ უნდა განეხილა, ვინაიდან არსებობდა სააღსრულებო ბიუროს უარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე ხანდაზმულობის მოტივით, რაც მხარეს (კრედიტორს) სადავოდ არ გაუხდია. ამასთან, სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს დავა, რომელიც მხარეთა შეთანხმებით არბიტრაჟს ექვემდებარება. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რა შემთხვევაში შეიძლება გააუქმოს სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. კერძოდ, ა) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო დავის საგანი; ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონს. მოცემულ დავაში არცერთი კონკრეტული შემთხვევა სახეზე არაა. გარდა ამისა, მოსარჩელე არ წარმოადგენს მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს, ვინაიდან ე.წ. „ხელშეკრულება მოთხოვნის დათმობის შესახებ“, რომელზეც მხარე მიუთითებს, შედგენილია ცალმხრივად, მოთხოვნის უფლების დამდგენი პირის მიერ და მას ხელს არ აწერს მოთხოვნის მიმღები, ანუ არ დგინდება მოთხოვნის მიმღების (მოსარჩელის) ნება. ამრიგად, საკუთრების უფლების მოპოვება მოთხოვნაზე წარმოშობილად და ნამდვილად არ უნდა ჩაითვალოს. ამასთან, იმ შემთხვევაშიც, კი თუ მოსარჩელე მიიჩნეოდა სასარჩელო მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირად, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი მაინც არ იარსებებდა, ვინაიდან მოთხოვნა ხანდაზმულია. კერძოდ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაშივეა მითითებული, რომ იგი კანონიერ ძალაში შედის მიღებისთანავე, ხოლო სააღსრულებო ფურცლის მოქმედების ვადაა სამი წელი. დადგენილია, რომ 2008 წლის 5 მაისის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურ-

ცელი გაიცა იმავე წლის 25 ივნისს, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2008 წლის 25 ივნისს და ამოიწურა 2011 წლის 25 ივნისს. ამდენად, 2011 წლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნა სააღსრულებო ბიურომ მართებულად მიიჩნია ხანდაზმულ მოთხოვნად. აღსანიშნავია ისიც, რომ კრედიტორმა „მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულება“ გააფორმა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სააღსრულებო ბიუროდან მიიღო უარი ხანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო წარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ – 2019 წელს. ამდენად, უკვე დასრულებულ დავაზე, სადაც კანონიერ ძალაში შესული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი ხანდაზმულია, 12 წლის გასვლის შემდეგ დავის ხელახლა დაწყება დაუშვებელია და ამკვიდრებს უკანონო სასამართლო პრაქტიკას.

18. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

18.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 17 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

18.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 9 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

19. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამტკიცებული იყო სააპელაციო სა-

სამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

20. საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

21. საკასაციო საჩივრის ავტორი გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ძირითადად სადავოდ ხდის შემდეგი საფუძვლებით: 1) საპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულების ნამდვილობა და მოსარჩელე არასწორად მიიჩნია მოთხოვნის უფლების მქონე პირად; 2) სასამართლომ განიხილა და შეაფასა კანონიერ ძალაში შესული და ერთხელ უკვე აღსრულებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძველიანობა; 3) სასამართლომ არასწორად გამოთვალა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა და დააკმაყოფილა ხანდაზმული მოთხოვნა.

22. მითითებული პრეტენზიების შემოწმებამდე, საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ საქმე №ას-1338-2018, 25 იანვარი, 2019 წელი; საქმე №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი). თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას.

ნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

23. საკასაციო პრეტენზიების შემოწმებამდე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ და მხარეთა მიერ შეუდავებელ, საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

23.1. 2007 წლის 26 აპრილის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით მსესხებელმა მიიღო სხვადასხვა რაოდენობით სესხის თანხა სამი ფიზიკური პირისგან, მათ შორის, 11 600 აშშ დოლარი – გ. პ-ძისგან;

23.2. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონება;

23.3. ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის დავა გადაწყდებოდა კერძო არბიტრის მიერ, რომელსაც აირჩევდა იპოთეკარი.

23.4. მსესხებელმა ვალდებულება ვერ შეასრულა, რის გამოც მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის („მ.“) 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ერთ-ერთი გამსესხებლის მოთხოვნა და დადგინდა იპოთეკით დატვირთული მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონების საჯარო ვაჭრობის წესით რეალიზაცია და რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან სესხის ძირითადი თანხის გამსესხებლისთვის დაბრუნება; ასევე მოვალეს დაეკისრა სესხის სარგებლისა და პირგასამტეხლოს გადახდა. გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ მისი აღსრულება შესაძლებელი იყო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 წლის ვადაში, ხოლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედიოდა მისი მიღების დღეს;

23.5. 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებაზე იმავე წლის 25 ივლისს საარბიტრაჟო სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც განისაზღვრა მოვალის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაცია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით განსაზღვრული თანხის გადახდის მიზნით;

23.6. 2015 წლის 23 იანვრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ იპოთეკით დატვირთული მოვალის უძრავი ქონების მესაკუთრე გახდა მოპასუხე, ხოლო უფლების დამდგენ დოკუმენტად ამონაწერში მითითებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 5 აპრილის განკარგულება. ამავე ამო-

ნაწერში მითითებულია, რომ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია იპოთეკა (სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება), ხოლო იპოთეკარია გამსესხებელი გ. პ-ძე.

23.7. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 13 თებერვლის წერილით კრედიტორს უარი ეთქვა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2008 წლის 25 ივნისის გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულებაზე გადაწყვეტილებაში მითითებული აღსრულების ვადის გასვლის გამო;

23.8. „მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით“ დასათაურებული დოკუმენტის თანახმად, გამსესხებელმა მოსარჩელეს დაუთმო 2007 წლის 26 აპრილის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით იყო დატვირთული მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. დოკუმენტს ხელს აწერს მხოლოდ გამსესხებელი (კრედიტორი), ხოლო ხელმოწერის ნამდვილობა დადასტურებულია ნოტარიუსის მიერ 2019 წლის 1 მარტს;

23.9. მითითებული „ხელშეკრულების“ (მოთხოვნის დათმობის შესახებ) საფუძველზე, მოსარჩელემ გამსესხებლის ნაცვლად მოპასუხის მიმართ წარადგინა სარჩელი და მოითხოვა იპოთეკის საგნის რეალიზაცია.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადად, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, კრედიტორს მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ მოვალის მიმართ. რადგანაც ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლება წარმოადგენს ქონებრივ უფლებას, შესაბამისად, მისი გადაცემა (გასხვისება) თავისუფლად შეიძლება. ეს გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმიდან: მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება). 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა).

25. მოხმობილი ნორმებით დადგენილია მოთხოვნის დათმობის თავისუფლების ზოგადი პრინციპი. ყოველი მოთხოვნა, როგორც წესი, ექვემდებარება სხვა პირისათვის გადაცემას და ამისათვის საჭირო არ არის მოვალის თანხმობა. ამასთან, მოთხოვნის გადაცემის შემთხვევაში, ადგილი აქვს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში აქტიური მხარის – კრედიტორის შეცვლას. კრედიტორის შეცვლა კი, ყოველთვის

გარკვეული სამართლებრივი საკითხების წარმოშობასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ამ უკანასკნელს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებს მოვალესთან. მისი გასვლა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან იწვევს მის მიმართ ვალდებულების შეწყვეტას. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო სამართლის მიერ შემუშავებული იქნა ცალკე ინსტიტუტი – მოთხოვნის დათმობა იგივე, „ცესია“.

26. უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაშია განმარტებული, რომ სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის მიხედვით, მოთხოვნის დათმობა თავდაპირველ და ახალ კრედიტორებს შორის დადებული ორმხრივი, განკარგვითი გარიგებაა, რომლითაც თავდაპირველი კრედიტორი მოვალის მიმართ თავის მოთხოვნას გადასცემს (უთმობს) ახალ კრედიტორს. თავდაპირველ კრედიტორს „ცედენტი“ ეწოდება, ხოლო ახალ კრედიტორს – „ცესიონერი“ (იხ. სუსგ საქმე №ას-502-2021, 9 თებერვალი, 2022 წელი).

27. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ვადასთან მიმართებით, მიიჩნევს, რომ სასამართლომ ამ საკითხის დასარეგულირებლად მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 142.1 მუხლით (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ათ წელს მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება) და კანონიერ ძალაში შესული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ მოთხოვნის უფლების წარდგენაზე მართებულად გაავრცელა არა სამი (როგორც ეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში იყო მითითებული), არამედ 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა მითითებული ნორმა და შესაბამისად, არასწორად გამოთვალა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

28. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლი განმარტებულია იმგვარად, რომ ნორმაში მითითებული ათწლიანი ვადა უკავშირდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნის უფლებას, ამდენად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობაში იგულისხმება არა სარჩელის წარდგენის გზით უფლების რეალიზაცია, არამედ გადაწყვეტილებით უკვე მინიჭებული მოთხოვნის უფლების განხორციელება, აღსრულება (იხ. სუსგ საქმე №ას-559-534-2016, 14 ივლისი, 2017 წელი).

29. მითითებული ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო

სასამართლო ასკვნის, რომ წინამდებარე დავაში 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადის მოქმედების პირობებშიც, მოსარჩელეს გაშვებული აქვს ეს ვადა შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2008 წლის 5 მაისის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება (რომლითაც განისაზღვრა იპოთეკით დატვირთული მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაცია და რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან სესხის გამსესხებლისთვის დაბრუნება) კანონიერ ძალაში შევიდა იმავე დღეს, 2008 წლის 5 მაისს, შესაბამისად, 2008 წლის 5 მაისიდან დაიწყო აღსრულების მოთხოვნის უფლების 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა და იგი ამოიწურა 2018 წლის 5 მაისს. დადგენილია, ასევე, რომ კრედიტორმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით, სააღსრულებო ბიუროს მიმართა 2018 წლის თებერვალში, თუმცა 2018 წლის 13 თებერვლის წერილით მას უარი ეთქვა სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიქცევაზე (ხანდაზმულობის მოცივით).

30. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვინაიდან კრედიტორმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადაში, 2018 წლის თებერვალში მიმართა სააღსრულებო ბიუროს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით, მას არ დაურღვევია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ 142.1 მუხლის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ იძულებითი აღსრულების შესახებ მოთხოვნა კრედიტორმა წარადგინოს სწორედ 10 წლის ვადაში სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, რაც წინამდებარე დავაში სახეზეა, თუმცა ასევე დადგენილია, რომ კრედიტორს მის მიერ წარდგენილ მოთხოვნაზე სააღსრულებო ბიურომ უთხრა უარი, რაც მას არ გაუსაჩივრებია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღსრულებაზე უარი შედავებული იქნებოდა კრედიტორის მიერ, სააღსრულებო ბიუროსთვის თავდაპირველად მოთხოვნის წარდგენიდან (2018 წლის თებერვალი) სააღსრულებო წარმოება დაწყებულად და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადაც დაკუთლად მიიჩნეოდა, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე აღსრულების მიზნით ერთხელ უკვე წარდგენილ მოთხოვნას ეთქვა უარი, რაც კრედიტორს სადავოდ არ გაუხდია, იგი მოკლებულია შესაძლებლობას სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით ხელახლა განაცხადოს პრეტენზია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ, აღსასრულებელ საკითხზე.

31. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ საქმის მასალებით არ ირკვევა, თუ როდისაა შედგენილი ე.წ ხელშეკრულება მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ (რის საფუძ-

ველზეც წარადგინა წინამდებარე სარჩელი მოსარჩელემ). მასზე დასმულია კრედიტორის ხელმოწერა, რომელიც ნოტარიულად დამოწმებულია 2019 წლის 1 მარტს. სასამართლო მიუთითებს იმ უდავო გარემოებაზეც, რომ მოსარჩელემ წინამდებარე დავაზე თავდაპირველი სარჩელი (იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით) წარადგინა 2018 წლის ივნისში. ამრიგად, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ სადავო მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულება, სავარაუდოდ, დადებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის განსაზღვრული 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ (2018 წლის 5 მაისის შემდეგ). სამოქალაქო კოდექსის 198.1 მუხლის მიხედვით, მოთხოვნის უფლების დათმობისას ახალ კრედიტორზე მოთხოვნები და უფლებები გადადის ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ. იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ „ახალმა კრედიტორმა“ თავდაპირველი სარჩელი წარადგინა 2018 წლის ივნისში, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მოთხოვნის წარდგენისთვის ხანდაზმულობის კანონით დადგენილი 10-წლიანი ვადა ამოიწურა 2018 წლის 5 მაისს, სასამართლო ასკვნის, რომ „ძველი კრედიტორის“ მიერ „ახალ კრედიტორზე“ გადასულია უკვე ხანდაზმული მოთხოვნა, რაც თავისთავად ქმნის, კიდევ ერთი საფუძვლით (ხანდაზმული მოთხოვნის უფლების გადაცემა ერთი პირიდან მეორეზე) მისი უარყოფის წინაპირობას.

32. ამასთან, თუნდაც დგინდებოდეს, რომ მოთხოვნის უფლება ძველმა კრედიტორმა ახალ კრედიტორს 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით გადასცა, წინამდებარე დავის პირობებში, წარდგენილი სარჩელი მაინც ვერ იქნებოდა წარმატებული შემდეგ გარემოებათა გამო: როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქმის მასალებით დადგენილია, რომ კანონიერ ძალაში შესულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე აღსრულების პროცედურები დაიწყო ძველმა კრედიტორმა, თუმცა მას სააღსრულებო წარმოების დაწყებაზე ეთქვა უარი, რაც არ გაუსაჩივრებია. ამრიგად, იმ პირობებში, როდესაც სააღსრულებო ბიურომ ერთხელ უკვე განიხილა და უარყო კრედიტორის მოთხოვნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ (იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის მოთხოვნით), ანალოგიური მოთხოვნის განმეორებით (სარჩელით) წარდგენა საფუძველსმოკლებულია და მასზე სასამართლო ვერ იმსჯელებს. აქვე საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სარჩელში, თავად მოსარჩელის აღიარებაზეც, სადაც იგი განმარტავს, რომ სწორედ სააღსრულებო ბიუროს მიერ მიღებული უარი აღსრულების დაწყებაზე გახდა იმავე მოთხოვნით სასამართლოსთვის სარჩელის წარდგენის საფუძველი.

33. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია (სსსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება კი, სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

35. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით, 412-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. ბ. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. დ. მ-ს ბ. მ-ას სასარგებლოდ დაეკისროს იურიდიული მომსახურების ხარჯი – 3 000 ლარი და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 6 000 ლარი;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge